# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 ივნისი **ოთხშაბათი** 2013

№136 (14 052) ფასი 80 თეთრი




# 27:3

# საქართველო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ვაი, ვაი ურუგვაი...

12

## დანიელები სომხურ დინამიტზე აფეთქდნენ

### საქართველო ბოლოსწინა ადგილზე დარჩა

წუხელ ევროპაში 2014 წლის მუნდიალის სამ სხვადასხვა შესარჩევ ჯგუფში სამი მატჩი გაიმართა. აქედან ორი წყვილი განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩვენთვის. ბელარუსისა და ფინეთის შეხვედრა საქართველოს ნაკრების ქვეჯგუფისა იყო - მატჩი 1:1 დასრულდა, მასპინძლებმა ბოლოსკენ გადაარჩინეს ქულა. სლავები წამოგვეწიენ ქულებით (4 ქულა), თუმცა ბოლო ადგილზე დარჩნენ.

ამ რამდენიმე დღის წინ, **თემურ ქეცბაიას** გუნდი ამხანაგურ დაპირისპირებაში დანიის ნაკრებთან 1:2 დამარცხდა. წუხელ კი იგივე გუნდს კი მისსავე მოედანზე ბოლო მოუღო სომხეთის ნაკრებმა - 4:0! თავი სომეხთა სამივე ლიდერმა გამოიჩინა: **იურა მოვსისიანმა** დუბლი შეასრულა, **ჰერნრიხ მხითარიანმა** და **არაზ ოზბილიზმა** კი თითოჯერ დაამწუხრეს „ბეტისის“ ახალწვეული **სტეფან ანდერსენი**. თამამად შეიძლება თქმა, რომ დანიელებს ბრაზილიაში არაფერი ესაქმებათ და ალბათ არც იქნებიან.

დღის მესამე შეხვედრაში შვედეთის ნაკრებმა ფარერის კუნძულების გუნდი 2:0 დაამარცხა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**





ანდრე ვილაშ ბოაში

## პსჟ-ს ვილაშ ბოაში განწვრთნის?

„პარი სენ-ჟერმენში“ სამწვრთნელო საკითხი კრიზისული გახდა - **კარლო ანჩელოტის** მადრიდის „რეალში“ წასვლა სურს და იტალიელის დაკავება ჭირს, **გუუს ჰიდინკმა**, რომელსაც მის შემცვლელად განიხილავდნენ, „ანჟისთან“ ხელშეკრულება გაახანგრძლივა. ამიტომაც პარიზელები სარეზერვო გეგმაზე გადაერთვნენ - „ტოტენჰემის“ პორტუგალიელ თავკაც **ანდრე ვილაშ ბოაშთან** მოლაპარაკება დაიწყეს - წერს „სქაი სპორტს იტალია“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● დინამო


დინამომ მზადება დაიწყო

## მზადება არასრული გუნდით

გასული სეზონი მართლაც წარმატებული გამოდგა თბილისის „დინამოსათვის": ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბი ხუთწლიანი პაუზის მერე საქართველოს ჩემპიონი გახდა და მერე, თასიც მოიპოვა! არადა, „დინამოს" ათი წელიწადი არ ჰქონდა „დუბლი" შესრულებული და აი, სრულად დამსახურებული ტრიუმფიც! თუმცა, კლუბის ხელმძღვანელებს, სამწვრთნელო შტაბს, ფეხბურთელებსა თუ გუნდის ერთგულ ქომაგებს კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდნენ და წინ არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩებია: „დინამოს" ხომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ელოდება და ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე ხუთწლიანი პაუზის მერე ღირსეულ ასპარეზობასაც გეგმავს. ახალი სეზონისათვის მზადება „დინამომ" 10 ივნისს დაიწყო (ფეხბურთელების ერთმა ჯგუფმა სამედიცინო შემოწმება გაიარა). გუშინ კი ხანმოკლე შვებულებიდან დაბრუნებული **დუშან უჰრინის** ხელმძღვანელობით დილმის საწვრთნელ ბაზაზე გუნდმა ორჯერ ივარჯიშა. დილით გამართულ ვარჯიშზე მხოლოდ 15 ფეხბურთელი მონაწილეობდა: მეკარეები - **თორნიკე ზარქუა, ლევან ტყეშელაშვილი**; მცველები - **გივი კვარაცხელია, გიორგი სეთურიძე, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი გველესიანი, ოთარ კაკაბაძე, სანდრო გურეშიძე**; ნახევარმცველები - **ლევან ხმალაძე, გიორგი მერებაშვილი, გიორგი მიქაბერიძე, ჯაბა ჯიღაური, გიორგი პაპავა**; თავდამსხმელები - **ჯაბა დვალი, ლაშა შინდაგორიძე**. მცირე ტრავმის გამო არ უვარჯიშია **დავით ხოჭოლავას**, საქართველოს ნაკრებიდან დაბრუნებული **გიორგი ლორია** და **ირაკლი ძარია** გუნდს 14 ივნისს შეუერთდებიან, ისე როგორც - **ჩისკო. მიკელ ალვარო, უსტარიცი** და **პეტერ გრაიციარი** კი უკვე დღეიდან „დინამოსთან" ერთად დაიწყებენ მზადებას.

მოგვიანებით შეუერთდება „დინამოს" მარცხენა მცველი **დარკო გლიშიჩი**, რომელიც მაკედონიის ნაკრებშია გამოძახებული და გუშინ ნორვეგიელების წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობდა.

**გია ტუხაშვილი**

● ეროვნული ნაკრები. მეტოქეები

## მესამე ადგილი კიდევ უფრო რეალურია

11.06. გომელი. ცენტრალური

**ბელარუსი–ფინეთი 1:1**

0:1 პუკი (22), 1:1 ვერხოვცოვი (85)

ბელარუსი: ვერემკო, ტრუბილა, ვერხოვცოვი, ვერეტილო (46. კისლიაკი), მარტინოვიჩი (79. სიტკო), ა. გლები, პუცილა (64. რენანი), კალაჩევი, დრაგუნი, ოლეხნოვიჩი, როდიონოვი

მწვრთნელი: გ. კონდრატიევი

ფინეთი: მაენპაა, პასანენი, რაიტალა, მოისანდერი, ჰურმე, რ. ერიომენკო, სპარვი, ჰამალაინენი (83. არაიური), ჰეტემაი, რინგი, პუკი (76. ფურუჰოლმი)

მწვრთნელი: მ. პაატელაინენი

გაფრთხილება: ჰეტემაი (5), რ. ერიომენკო (8), ვერეტილო (33), კისლიაკი (50), ჰურმე (71), არაიური (84)

არბიტრი: ლ. კოვარიკი (ჩეხეთი)

დროისოთხდღიან მონაკვეთში ბელარუსები და ფინელები ერთმანეთს ორჯერ დაუპირისპირდნენ და ამ მატჩების შედეგებს მნიშვნელობა მხოლოდ მათთვის კი არა, ჩვენთვისაც ჰქონდა. ჯგუფში მესამე ადგილისთვის ბრძოლა გადამწყვეტ სტადიაშია შესული და საინტერესო იყო, რა შედეგი დაფიქსირდებოდა ქალაქ გომელში, სადაც მასპინძელთა გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს ნაკრები საშემოდგომო მატჩებს ბოლო საფეხურზე შეხვდებოდა.

ხელს არც ფინელთა წარმატება გვაძლევდა, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში მესამე პოზიციას გაიმყარებდნენ და **თემურ ქეცბაიას** გუნდს მათი დაწევის მიზერული შანსიღა შერჩებოდა. ასე რომ, გუშინ ჩვენთვის ხელსაყრელი შედეგი დაფიქსირდა - თუ 10 სექტემბერს ჩვენი ეროვნული გუნდი თბილისში ფინეთის ძლევას შეძლებს, დიდი ალბათობით, მესამე ადგილსაც შესწვდება.

**I ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-2 | 11 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 3. ფინეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 4. საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 5. ბელარუსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |

**დარჩენილი მატჩები**

**6 სექტემბერი**
საქართველო-საფრანგეთი
ფინეთი-ესპანეთი

**10 სექტემბერი**
ბელარუსი-საფრანგეთი
საქართველო-ფინეთი

**11 ოქტომბერი**
ესპანეთი-ბელარუსი

**15 ოქტომბერი**
ესპანეთი-საქართველო
საფრანგეთი-ფინეთი

**ლევან ჯანეზაშვილი**

● U 19. ელიტ რაუნდი

## მერვე ფინალისტიც გაირკვა

გუშინ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ბოლო, მე-8 მონაწილე გაირკვა. ბოლო ტურამდე შანსებს ოთხივე გუნდი ინარჩუნებდა: შვეიცარია (4 ქულა), სერბეთი (3 ქულა), ირლანდია (2 ქულა) და სლოვაკეთი (1 ქულა).

შვეიცარიელებმა ბოლო შეხვედრა სლოვაკებთან 0:2 დათმეს, სერბებმა კი ირლანდიასთან 0:0 ითამაშეს. საბოლოოდ, 4-4 ქულა დააგროვეს მასპინძელმა სერბეთმა, შვეიცარიამ და სლოვაკეთმა, ბურთების უკეთესი სხვაობით კი ევროფინალის საგზური სერბებმა მოიპოვეს, რომლებსაც **გია ცეცაძის** გაწვრთნილებმა ელიტ რაუნდამდე ბელგრადში ამხანაგურ შეხვედრაში 1:0 მოუგეს.

ამგვარად, ფინალურ ეტაპზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ყველა შესაძლო მეტოქე ცნობილი: ლიტვა, თურქეთი, პორტუგალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ჰოლანდია და სერბეთი.

**მერაბ მამულაშვილი**

● თვალსაზრისი

# პრეზიდენტობის ვირტუალური კანდიდატი?

სოციალური ქსელი დიდი შესაძლებლობების მქონე გამოგონებაა და **მერაბ ჟორდანიამაც** საფეხბურთო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის ეს გზა აირჩია.

პირველად მაშინ გამოჩნდა ჟორდანიას განცხადება სოციალურ ქსელში, როცა თბილისის „დინამოს" წინა ხელმძღვანელობამ უწინდელი პოზიციების დაბრუნება სცადა, ახალა კი ჟორდანიამ საკუთარი სურვილი გააჟღერა:

*„მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში მე აუცილებლად ვიფიქრებ იმაზე, თუ რა ფორმით და პროგრამით დავბრუნდე ქართულ ფეხბურთში".*

„მოვლენათა ასეთ განვითარებაში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები უნდა ვიგულისხმოთ, ასე ჩანს ჟორდანიას მიმართვიდან.

რა უნდა აინტერესებდეს ჟორდანიას საქართველოში? ის უკვე იყო თბილისის „დინამოს" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ამაზე მაღალი თანამდებობები კი ქართულ ფეხბურთში მგონი არ არსებობს.

ჟორდანია არნემის „ვიტესის" პრეზიდენტია, კარგ ქვეყანაში ცხოვრობს და კარგადაც უძღვება კლუბის საქმეებს, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა ამბიციაც გაუჩნდა.

ჟორდანიამ შესაფერისი დრო შეარჩია ასეთი განცხადებისთვის, რადგან ქართულ კლუბებს ახლა ცუდი დროება უდგათ, თან ფული შემოაკლდათ, თან კი ის არ ასვენებთ, რომ სახელმწიფომ გორის „დილას" ორი მილიონი ლარი მისცა, სხვა გუნდებს კი ჯერ არაფერი. ანუ უკვე არსებობს გარკვეული პლაცდარმი - უკმაყოფილო კლუბები, რომლებიც ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტები არიან და შესაბამისად ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ხმის უფლება აქვთ.

და რა უნდა შესთავაზოს ჟორდანიამ კლუბებს? ალბათ ისეთი პროექტი, რომელიც კლუბების მოფულიანებას და განვითარებას ითვალისწინებს. ასეთ


მარცხნიდან: მერაბ ჟორდანია, ზვიად სიჭინავა, რევაზ არველაძე

პროექტზე სპორტის სამინისტრო, ანუ სახელმწიფო უკვე მუშაობს, თუმცა ამ პროექტის შინაარსი ჯერ უცნობია.

და ვინ იქნება ჟორდანიას მოკავშირე საქართველოში? ესეც უცნობია.

იცის კი ჟორდანიამ ის ვითარება, რაც ახლა არის ქართულ ფეხბურთში? ჟორდანია ამ ყველაფერს გარედან უყურებს, არ არის ჩართული პროცესებში და წარმოუდგენელია, რომ მას ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეს ქართული ფეხბურთის ახლანდელ ავან-ჩავანზე.

ჟორდანია ბოლო წლებში ერიდება ურთიერთობას ქართულ მედიასთან და შესაძლოა მოსწონს კიდეც თავისებური ფანტომის როლი, რადგან ეს ამძაფრებს ურთიერთობის სურვილს.

ერთი სიტყვით, ჟორდანიას განცხადებამ კითხვები გააჩინა, ოლონდაც რამდენად აქტუალურია ჟორდანია დღეს ქართული ფეხბურთისთვის?

მე მაინც მგონია, რომ ჟორდანიამ თავისი გასაკეთებელი საქართველოში უკვე გააკეთა, ქართული ფეხბურთის დახმარება კი ჰოლანდიიდანაც შეუძლია - „ვიტესში" სამი ქართველი ფეხბურთელი რომ მივიდა, ეს არ უნდა იყოს პატარა საქმე, ქართველი ფეხბურთელების ტრანსფერი კარგ ევროპულ ქვეყნებში ადვილი გასაკეთებელი ნამდვილად არ არის.

ჟორდანიას საქართველოში ამბიცია დარჩა, სხვანაირად ის არ გამოაქვეყნებდა ასეთ მიმართვას. მან პოლიტიკურ ფაქტორზეც გააკეთა მინიშნება, ქართველი საზოგადოება შიშისა და ძალადობისგან გათავისუფლებულიაო.

ქართველ საზოგადოებას მართლაც არ უნდა ჰქონდეს მოკლე მეხსიერება და ისიც კარგად ემახსოვრება, რა ხდებოდა 90-იან წლებში ქართულ ფეხბურთში. რა თქმა უნდა, მაშინ სხვა დრო იყო, თუმცა მხოლოდ ეს ვერ იქნება იმის გამართლებდა, რაც ხდებოდა.

ჟორდანიას არაერთი კარგი თვისება აქვს, რომ არა ეს თვისებები და ძლიერი ნებისყოფა, ვერ დასძლევდა სიძნელეებს და ვერ გახდებოდა „ვიტესის" პრეზიდენტი.

წარსულის უგულებელყოფა უბრალოდ, არ გამოდის, ის თავისებური ტვირთია ადამიანისთვის. ჟორდანიამ განსაცდელიც ნახა და წარმატებაც, ის არ არის უბრალო ადამიანი, მას შეუძლია მართვა და რაღაც ახლის გაკეთება.

და რა იქნება ჟორდანიას მომდევნო ნაბიჯი?

ალბათ ის, რომ ვირტუალური სამყაროდან სხვაგან გადაინაცვლებს და **რომან აბრამოვიჩის** მეგობარი ასეთნაირად წარმოგვიდგენს საკუთარ, კონკრეტულ გეგმებს.

**დავით თავართქილაძე**

● გამოხმაურება

# აწმყოზე რომ ფიქრობ, წარსულიც უნდა გახსოვდეს

**მერაბ ჟორდანიას მიმართვას თავისებური რეზონანსი მოჰყვა ჩვენს საფეხბურთო სამყაროში. ყველა საკუთარ აზრს გამოთქვამს, ყველა საკუთარ პროგნოზს აკეთებს.**

**ამ ყოველივეზე სალაპარაკოდ რესპონდენტიც შევარჩიეთ - საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის და ვეტერან ფეხბურთელთა ასოციაციის(საქველმოქმედო ფონდი) თავმჯდომარე ვაჟა ჟვანია.**

**ჟორდანია და ჟვანია ფეხბურთელობისას თანაგუნდელები იყვნენ თბილისის „დინამოში", მერე კი ამ კლუბის დირექტორატში მუშაობდნენ ერთად. ჟორდანია და ჟვანია მეგობრები იყვნენ, თუმცა მათ შორის უთანხმოებაც მომხდარა, ჟვანია ღიად აკრიტიკებდა კიდეც ჟორდანიას.**

**მოკლედ, „ლელოს" კითხვებს ვაჟა ჟვანია პასუხობს...**

**- მერაბ ჟორდანიას მიმართვა საქართველოს საზოგადოებისადმი თქვენთვისაც მოულოდნელი იყო? ჟორდანია ხომ ფაქტობრივად საქართველოში დაბრუნებაზე და ფედერაციის პრეზიდენტობაზე აცხადებს პრეტენზიას...**

- ჟორდანიას განცხადება ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, დაახლოებით ორი თვის წინ ვამბობდი, მერაბი ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებსო, მაგრამ მაშინ ჩემი პროგნოზი ბევრმა არ დაიჯერა.

**- რას ემყარებოდა თქვენი პროგნოზი?**

- იმას, რომ ჟორდანიას "მოხარშულს" ვიცნობ.

**- თუ გავითვალისწინებთ ჟორდანიას ბიოგრაფიას, რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ მისი წარმატებული დაბრუნება ქართულ ფეხბურთში? ფაქტია, ჟორდანია დაპატიმრებული იყო საქართველოში....**

- თვითონ ალბათ არ ფიქრობს ამ ყველაფერზე, ჩემი აზრით, არ სურს წარსულის გახსენება. არადა, აწმყოზე რომ ფიქრობ, წარსულიც უნდა გახსოვდეს.

**- ჟორდანიას მხოლოდ უარყოფითი კუთხით უყურებთ? ის 90-იან წლებში იყო თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი და მაშინ რა სიტუაციაც იყო საქართველოში, ყველას გვახსოვს...**

- რა თქმა უნდა, მას დადებითსაც ვერ წაართმევ. ჟორდანია ყურადღებით ეპყრობოდა ქართული ფეხბურთის ვეტერანებს, ქველმოქმედი იყო. საქმეს სჭირდებოდა და მე და ჟორდანია ოცდაოთხი საათი ერთად ვიყავით, თუმცა რაც ერთად გავაკეთეთ, დიდი ვერაფერი გამოდგა. როცა ჟორდანია „დინამოს" პრეზიდენტი იყო, მაშინდელი საქმიანობით თუ რამე სამაყო აქვს, ჯობია, ამაზე თვითონ ისაუბროს.

**- მაინც როგორ გახდა ჟორდანია „დინამოს" პრეზიდენტი? როგორ ააწყო საქმე?**

- ჟორდანიას ინტელექტუალური საფეხბურთო გუნდი დავახვედრე, ეს გუნდი ქაჩავდა „დინამოსაც" და საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც. მოგეხსენებათ, „დინამო" შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი იყო, მერე ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალა, გაიმართა კრება და „დინამოს" ფეხბურთელებმა დაიჯერეს, რომ ჟორდანია მოახერხებდა კლუბის გაძღოლას. ამ ყველაფერში მე ვიყავი ჩართული, ჟორდანია კი იმ დროს ისლანდიაში თამაშობდა ფეხბურთს და „დინამოში" რომ მოვიდა, ფინანსური აქტივებიც დავახვედრე: 214 000 გერმანული მარკა და 140 000 დოლარი, კიდევ ფეხბურთელთა სატრანსფერო თანხები.

**- თქვენი და ჟორდანიას თანამშრომლობა რატომ დასრულდა „დინამოში"?**

- კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი, მერე კი ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა ჩამომაშორეს კლუბს.

**- ჟორდანიას ღიად მაშინ დაუპირისპირდით, როცა კახა კალაძის სატრანსფერო თანხაზე ატყდა აჟიოტაჟი - რა მოხდა მაშინ, რა იყო კონფლიქტის მიზეზი?**

- თუ არ ვცდები, 1996/97 წლების სეზონი იყო, როცა „დინამოში" დავბრუნდი სამი თვით. კალაძე თბილისის „დინამოდან" გადავიდა კიევის „დინამოში", იქიდან კიდევ „მილანში". კონტრაქტი იმის თაობაზე, რომ თბილისის „დინამოს" უკრაინული გუნდიდან ეკუთვნოდა იმ ტრანსფერის ღირებულების ნახევარი, რითაც კალაძე გადავიდოდა კიევის „დინამოდან" სხვა გუნდში, „აგრომრეწვბანკში" ინახებოდა. კალაძე უკრაინულ გრანდში რომ გადავიდა, ჩვენს „დინამოს" ამაში 300 000 დოლარი უნდა აეღო. კონტრაქტის თანახმად, კალაძის „მილანში" გადასვლით მიღებული თანხიდან კი კიევის „დინამოს" უნდა გამოექვითა კალაძის ხელფასის, პრემიების, მანქანის, ბინის ხარჯები და რაც დარჩებოდა, იმ თანხის ნახევარი უნდა მიეცა თბილისის „დინამოსთვის". ამ საქმესთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები საგანგებოდ ჩავიდნენ კიდეც კიევში. „დინამოს" 80 პროცენტი შპს „ბერმუხას" ეკუთვნოდა, 10 პროცენტი მერაბ ჟორდანიას და 10 პროცენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს. თუ არ ვცდები, გამოძიებამ დაადგინა, რომ „დინამოს" დამფუძნებლებმა აზარალეს სახელმწიფო.


ვაჟა ჟვანია

**- როგორ ფიქრობთ, ახლა რა სიკეთის გაკეთება შეუძლია ჟორდანიას ქართული ფეხბურთისთვის? ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ჟორდანია უუნარო ნამდვილად არ არის...**

- ჟორდანია რომ უნარიანი კაცია, ეს არნემის „ვიტესშიც" დაამტკიცა, პერიფერიული გუნდი ევროსარბიელზე გაიყვანა. თუ ასეთ რამეს გააკეთებს საქართველოშიც, ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ეს ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნება, რადგან აქ ინტელექტუალური საფეხბურთო რესურსი მცირეა.

**- ჟორდანია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც იყო - ამ თანამდებობაზე როგორ შეაფასებდით მის საქმიანობას?**

- შეიძლება იმის თქმა, რომ ფედერაციის პრეზიდენტობისას ჟორდანიამ ნაწილობრივ გაართვა საქმეს თავი. აშენდა ფედერაციის ახალი ოფისი, ნაკრების ბაზა... თუმცა გაცილებით მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა.

**- როგორც მეგობარს, რას ურჩევდით ჟორდანიას?**

- ილუზიებით ნუ იცხოვრებს.

**დავით თავართქილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფუტსალი

# კახა დევდარიანი: მე ბრეჟნევი მინოდა, შუშაკს კი შუშანიკი...

**გუშინ ფუტსალის ასოციაციის (სფა) საპატიო პრეზიდენტმა კახა დევდარიანმა და გენერალურმა მდივანმა ბექა კვიციანმა პრესკონფერენცია გამართეს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ზვიად სიჭინავას ბრალდებები წაუყენეს.**

**გთავაზობთ მათი მიმართვის ფრაგმენტებს:**

*„ქართულ ფეხბურთში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, „ნაციონალური მოძრაობის" და ბატონი ზვიად სიჭინავას ერთობლივი მოღვაწეობის პირდაპირი შედეგია. უალტერნატივოდ ჩატარებულ არჩევნებს და სუბიექტების მისამართით ირიბ თუ პირდაპირ ზეწოლას სფა-ც ვერ გადაურჩა. მასზე პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა 2009 წლის 15 ოქტომბრიდან დაიწყო. სიჭინავას სანქციით ამოქმედდა ფეხბურთის ფედერაციის ფუტსალის კომიტეტი, რომელმაც უსახსრობის საბაბით, ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის სამი ტურის შედეგები ბათილად გამოაცხადა.*

*სფფ-ს პრეზიდენტს დაავიწყდა, რომ ყველა ქვეყანაში ფუტსალის საქმიანობას ეროვნული ფედერაცია უზრუნველყოფს. სიჭინავამ თქვა, რომ ასოციაციის მოქმედი პრეზიდენტი კახა დევდარიანი ბრეჟნევს აგონებდა, ფუტსალში მოღვაწე ხალხს უცოდინრები უწოდა და რომ, "სულ ფეხებზე კიდია, ნაკრებში ლეგიონერი ითამაშებს თუ ქართველი" (სტილი დაცულია).*

*სიჭინავამ დევდარიანს პირად საუბარში თანამდებობის დატოვება და (მისთვის რიგით) მე-2 არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა ურჩია. დევდარიანი 1992-2005 წლებში გახლდათ სფა-ს (მანამდე მინი-ფეხბურთის ასოციაციის) ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, 2005-2009 წლებში კი საპატიო პრეზიდენტი და უმძიმესი წლები ღირსეულად გამოიარა. სიჭინავას ნათქვამს უცნაური ამბები მოჰყვა - ფუტსალში მოღვაწე ყველა პირის ლაპარაკი, გარეშე პირებისათვის ოპერატიულად ხდებოდა ცნობილი!*

*ცხადი გახდა: თუ დევდარიანი თანამდებობას არ დატოვებდა, ზეწოლა გაძლიერდებოდა და მოვლენები უფრო მძაფრი სცენარით განვითარდებოდა. სიჭინავასგან (და არა მარტო მისგან) ისმოდა: "ძალა ჩვენ მხარესაა", "სახელმწიფო ჩვენია", "თავად თუ არ დაიშლებით, ჩვენ დაგშლით, შევქმნი ახალს და ვისაც მინდა, იმას მოვიყვან და ვაღიარებ".*

*დევდარიანის გადაყენების შემდეგ, პირველი საერთაშორისო მატჩი საქართველო-საფრანგეთი (U 21) გლდანში, შსს-ს დარბაზში, ფაქტობრივად, უმაყურებლოდ ჩატარდა, რამაც საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი გააკვირვა.*

*ფუტსალის კომიტეტმა ბოლშევიკური მისია შეასრულა და მისივე შემქმნელმა სიჭინავამ უკვალოდ გააქრო, მას შემდეგ დებულების შეცვლაც არ მოუთხოვია. შედეგად მკაცრი რეალობა მივიღეთ - ფუტსალში ვკარგავდით რეგიონულ კლუბებს. სფფ-მ დევდარიანი უფინანსობის ალიბით გადააყენა, მაგრამ არავითარი კაპიტალდაბანდება არ გაუკეთებია, რაზეც სიჭინავა აპელირებდა.*

*ეროვნული ნაკრების წარმატებული მწვრთნელი ავთანდილ ასათიანი თანამდებობიდან ისე გაათავისუფლეს, რომ სფფ და ფუტსალის კომიტეტი მწვრ-თნელისა და ნაკრების პრობლემებით არ დაინტერესებულა (!). ამ პროცესებს ემსხვერპლა ბავშვთა სკოლა (სამი ასაკობრივი გუნდი) და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. იკლო საერთაშორისო მატჩების რაოდენობამ, რაც საერთაშორისო იზოლაციის დასაწყისი გახდა.*


კახა დევდარიანი

*სიჭინავას ხელმძღვანელობით, კომიტეტი გაუქმებული სფა-ისგან (ანუ სფფ-ს უკვე ყოფილი სუბიექტისგან) დაჟინებით მოითხოვდა მოქმედ ბეჭედს. სფფ-სთვის მთავარი მიზანი ახალი სუბიექტის, ფუტსალის კომიტეტის ლეგიტიმაცია და მომავალ არჩევნებზე სფა-დან ხმის გარანტირებულად მიღება იყო.*

*სფფ-ის დაჟინებული მოთხოვნით, ზეწოლის ქვეშ, მაშინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა ბექა კვიციანმა უეფა-ში ახსნა-განმარტება გაგზავნა, ახალ ჩემპიონატს ლეგიტიმაცია რომ ჰქონოდა.*

*ამ წერილის ხელისმომწერნი ზეწოლის ფაქტებს ვაღიარებთ და მოვითხოვთ:*

*1. ქართულ ფეხბურთში კრიზისი შეუქცევადი რომ არ გახდეს, გადადგეს სფფ-ის მოქმედი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა; 2. დაინიშნოს თავისუფალი, დემოკრატიული რიგგარეშე არჩევნები; 3. სფფ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა გაითვალისწინოს ჩვენ მიერ მოყვანილი გარემოებები და სფა-ს 2009 წლის ოქტომბრამდე არსებული სტატუს კვო აღუდგინოს; 4. ამის შემდეგ სფა-მ თავისივე წესდება სრულყოს და სფფ-ის და უეფა-ფიფას მოქმედ კანონმდებლობას შეუსაბამოს; 5. წესდების სისრულეში მოყვანისთანავე, ბატონმა კახა დევდარიანმა გამოაცხადოს რიგითი საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი სფა-ში, რაც სპორტის ამ სახეობაში სამართლიანობის აღდგენას უზრუნველყოფს.*

*2009 წლის სფა-ს გამგეობის წევრები:*
*კახა დევდარიანი, ბექა კვიციანი, პეტრე თაბუკაშვილი, მზია კალანდარია, გრიგოლ მერკვილაძე.*

■ ■ ■

ამის შემდეგ პრესკონფერენცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა:

*__კახა დევდარიანი:__ - მეგონა, კომუნისტებს გაჰყვა ის ეპოქა, როდესაც საკითხები ძალადობით წყდებოდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს პერიოდი კიდევ ერთხელ უნდა გაგვევლო. სიჭინავამ მითხრა, ორ კვირაში მონახეთ დამფინანსებლები, ასე მუშაობა არ შეიძლებაო. იცოდა, რომ ორ კვირაში ეს შეუძლებელი იქნებოდა. იმავე საღამოს პირდაპირ ეთერში ბრეჟნევი მიწოდა და ფუტსალი გასაწმენდიაო. ამას ამბობდა ადამიანი, რომელიც ვატიკანის წინამძღოლს რომის პაპას ეძახის, ივო შუშაკი კი შუშანიკში აერია. ანუ, ქართული ფეხბურთი 1400-წლოვანი ისტორიის ყოფილა, რაც ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. შესანიშნავი შვიდეულის გმირებივით, ჩვენს სოფელს ვიცავდით და ბევრს არ ესმის, რომ ამას 20 დოლარისთვის არ ვაკეთებდით.*

*...ახლა ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ გასულ წლებში მომხდარისა და სისტემის ჩამოყალიბებისთვის პასუხისმგებლები არ იყვნენ. აბა, ვისი დუმილითა და ხელშეწყობით ჩამოყალიბდა დანაშაულებრივი სისტემა?*

*... სიჭინავა არ არის არჩეული პრეზიდენტი და რიგგარეშე არჩევნები იმიტომ გვჭირდება, რომ ფეხბურთს შემთხვევითი ხალხი არ ხელმძღვანელობდეს. ამ თავსმოხვეული კოაბიტაციით, ფეხბურთი უკან-უკან მიდის.*

*... ჩვენი განზე გაწევის ზუსტი მიზეზი არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ სიჭინავა და შსს ფუტსალში ვითარების გაკონტროლებას ერთად ცდილობდნენ. შსს-ს დაინტერესებაზე საფრანგეთთან მატჩის სამინისტროს დარბაზში ჩატარებაც მეტყველებს, როდესაც ეს "ქარიშხალასა" და სპორტის სასახლეშიც შესაძლებელი იყო.*

*__ბექა კვიციანი:__ 17 და 19-წლამდელების წარმატებით თავს ტყუილად იწონებენ. ეს ჩვენი ბავშვების ბუნებრივი ნიჭის შედეგია და არა მათი მუშაობის. კარგი მენეჯმენტითაც ტყუილად ტრაბახობს, 100 სტადიონიც რომ აეშენებინა, ესეც არ ღირდა იმ ფასად, რაც თანამდებობაზე ყოფნაში გადაიხადა.*

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

## მარცვალაძე და ხოჯავა ალანიაში


ოთარ მარცვალაძე

რუსეთის პრემიერლიგიდან გავარდნილი ვლადიკავკაზის "ალანია" მომდევნო სეზონისთვის მზადებას თურქეთში იწყებს. კლუბის პრეზიდენტმა **ვალერი გაზაევმა** გამოაცხადა, რომ "ალანიაში" ორი ახალწვეული ქართველია - ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა** და თავდამსხმელი **ოთარ მარცვალაძე**.

ვლადიკავკაზელთა ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ხოჯავამ კონტრაქტი უკვე გააფორმა, მარცვალაძე კი შეთანხმებას ხელს უახლოეს დღეებში მოაწერს.

მაისამდე ხოჯავა და მარცვალაძე ხაბაროვსკის "სკა-ენერგიაში" თამაშობდნენ. მაგრამ გუნდი პრემიერლიგაში ვერ გადავიდა და ჩვენებურებიც იქიდან წამოვიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ვალერი გაზაევი მხოლოდ კლუბის პრეზიდენტი იქნება, მწვრთნელად კი ისევ მისი ვაჟი, **ვლადიმირ გაზაევი** იმუშავებს. ბოლო განცხადებით, "ალანია" ახალ სეზონამდე სხვა ფეხბურთელებს არც დაიმატებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფეხბურთი ყველასათვის

## ახალი ფედერაცია

უკვე ოფიციალურად გატარდა საჯარო რეესტრში როგორც იურიდიული პირი „საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ფეხბურთის ფედერაცია". ფედერაციის პრეზიდენტად ახლახან გამართულმა დამფუძნებელმა ყრილობამ თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი **ავთანდილ კოკაია**, ვიცე-პრეზიდენტად კი **გოდერძი ზაქარაია** აირჩია.

- ჩვენი ამოცანაა დავეხმაროთ ინვალიდებს სოციალურ აქტივობაში. ფედერაციის კონტინგენტს განეკუთვნებიან საქართველოს მასშტაბით მცხოვრები ამპუტანტები, სმენადაქვეითებულები, შეზღუდული მხედველობის ადამიანები, ტოტალურად მხედველობა დაქვეითებულები, გონებრივად შეზღუდულები და ცერებრალური დამბლით დაავადებულები. ახლა მთავარია, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანადგომა - გვითხრა ავთანდილ კოკაიამ.

**თენგიზ თომაშვილი**

ჩვენს სამეზობლოში

# ხმაურიანი ტრანსფერების მოლოდინი

აზერბაიჯანის ჩემპიონატში ახალი სეზონი აგვისტოში დაიწყება და საქართველოსაგან განსხვავებით, ყველაფერი გარკვეულ-გადაწყვეტილია: 10 გუნდი ოთხ წრედ იასპარეზებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე სეზონი აზერბაიჯანში 12-გუნდიანი ჩემპიონატი იყო და პირველი ეტაპის შემდეგ ზედა და ქვედა ექვსეულებად იყოფოდა. მაისში გასრულებული სეზონის მიხედვით კი უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი ორი გუნდის („ქიაფაზი", „თურანი") ნაცვლად პირველი ლიგიდან... აღარავინ დაიმატეს და ექვსეულებად დაყოფის სისტემაც გააუქმეს. გუნდების შემცირება კი მხოლოდ და მხოლოდ ერთ რამეს ემსახურებოდა: აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ფინანსურად შეჭირვებულ არც ერთ კლუბს არ უნდა ესასპარეზა! რა თქმა უნდა, პრემიერლიგის ათივე კლუბს ერთნაირი ბიუჯეტი ვერ ექნება: „ნეფთჩი", „ხაზარი", „ბაქი", „გაბალა" და „ყარაბაღი" ამ მხრივ მართლაც გამორჩეული გუნდებია და **მესის, რონალდოს, იბრაჰიმოვიჩს, რიბერისა** თუ **ინიესტას** ნაღდად ვერ „შესწვდებიან", თორემ ხმაურიანი ტრანსფერების განხორციელება მაინც არ უჭირთ. ვერც „აზალის" მწვრთნელ-ფეხბურთელები დაიწუწუნებენ დაბალი ანაზღაურებით, ურიგო პირობები არც „რევანსა" და „სუმგაითშია" (ორივეგან უცხოელი მწვრთნელები მუშაობენ), ჰოდა, რომელი გუნდებილა დარჩა? რომელი და ქართველი სპეციალისტების განწვრთნილი გუნდები — **კახა ცხადაძის** „ინტერი" და **გიორგი ჩიხრაძის** „სიმურგი"! ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ კონკურენტებთან შედარებით ბევრად ნაკლები ბიუჯეტის მიუხედავად, ყოველი სეზონის დაწყების წინ „ინტერი" ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრება და გამონაკლისი არც წინა სეზონი იყო. თუმცა, წამყვანი ფეხბურთელების ტრავმიანობისა თუ სხვა ობიექტური მიზეზების გამო „ინტერი" მხოლოდ მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ „ნეფთჩის" ზედიზედ მეორე საჩემპიონო ტრიუმფი მნიშვნელოვნად განპირობებული იყო ამ გუნდში მოასპარეზე ძვირადღირებული ლეგიონერებით: **ჟულიუს ვობაი** (სიერა ლეონე), **ნიკოლას კანალესი** (ჩილე) და **საშა სტამენკოვიჩი** (სერბეთი) ნებისმიერ ევროპულ კლუბში უპრობლემოდ მოხვდებოდნენ ძირითად შემადგენლობაში, აი, მოსკოვის „სპარტაკისა" და „მაინცის" ყოფილ ფეხბურთელს **იგორ მიტრესკის** (მაკედონია) კი, ვფიქრობთ, წარდგენა არ სჭირდება. თუმცა, ახალი სეზონიდან არანაკლებ „ხმაურიანი" ახალწვეულების გამოჩენაა მოსალოდნელი: სანკტ-პეტერბურგის „ზენიტისა" და ლონდონის „არსენალის" ყოფილი შემტევი **ანდრეი არშავინი,** სავარაუდოდ, ერთ-ერთ აზერბაიჯანულ კლუბში გააგრძელებს კარიერას! ყოველ შემთხვევაში, არშავინის „მადის" დაკმაყოფილება (წელიწადში - 2 მილიონი ევრო) იმავე „ნეფთჩის", „ხაზარსა" თუ „გაბალას" არ უნდა გაუჭირდეს. მოკლედ, ფეხბურთელები ხომ ჩამოჰყავთ, თუმცა, ბოლო წლებში უფრო მეტად ლეგიონერ-მწვრთნელებს ეყრდნობიან და სეზონი არ გავა, აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში ცნობილი უცხოელი სპეციალისტი რომ არ გამოჩნდეს. მაგრამ, აქვე აუცილებელი განმარტებაც საჭიროა: ბოლო წლების განმავლობაში მართლაც თითზე ჩამოსათვლელია ის უცხოელი მწვრთნელები, ერთი სეზონის სრულად ჩატარება რომ მოახერხეს. სასიამოვნოა, რომ ამ რიცხვს ჩვენებურები არ მიეკუთვნებიან: გიორგი ჩიხრაძე „სიმურგს" წინა სეზონშიც წვრთნიდა (ბევრისთვის მოულოდნელად, ზედა ექვსეულში რომ დაამთავრა ასპარეზობა ამ პერიფერიულმა კლუბმა) და ახლაც იქ აგრძელებს მუშაობას; აი, კახა ცხადაძე კი თავის მეხუთე სეზონს იწყებს „ინტერთან" ერთად და ახალ-ახალი რეკორდების დამყარებასაც შეეცდება: ამ ქვეყანაში ოთხი სეზონი გადაბმულად არც ერთ ლეგიონერ მწვრთნელს არ უმუშავია და ქართველი სპეციალისტი სულ მალე თავის მეორასე მატჩსაც ჩაატარებს აზერბაიჯანში. „თანამეგობრობის თასის" გამარჯვებული, აზერბაიჯანის ჩემპიონი და ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, — აი, ასეთია ცხადაძის აზერბაიჯანული მონაგარი და რომელთანაც ვრცელ ინტერვიუს „ლელოს" უახლოეს ნომრებში გაეცნობით. ამ დაანონსებულ ინტერვიუში ერთ-ერთი პირველი და მთავარი კითხვა კი, რაღა თქმა უნდა, „ინტერის" ცნობად ახალწვეულზე **ალექსანდრე იაშვილზე** იქნება...

## სიომინი, ანტიჩი და ზიკოც?

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში თითზე ჩამოსათვლელია ისეთი შემთხვევები, როცა ლეგიონერმა მწვრთნელმა, სრულად,



კახა ცხადაძე

სულ მცირე, ერთი სეზონი მაინც გაატარა. **ანატოლი კონკოვი, რომან პოკორა, ვალენტინ ხოდუკინი, ანატოლი დემიანენკო, ოლეგ სმოლიანინოვი, ვიქტორ პასულკო** (ყველა — უკრაინა), **ფატიხ კავლაკი, ჯევად გულერი, ჯიუნეთ ბიჩერი, რასიმ კარა** (ყველა — თურქეთი), **ანდრეი ჩერნიშოვი, სტანისლავ ჩერჩესოვი, სერგეი იურანი** (ყველა — რუსეთი), **ვინი შეფერი, ბერჰარდ რააბი** (ორივე — გერმანია), **ვალდას ივანაუსკასი** (ლიტვა), **ვლასტიმილ პეტრჟელა** (ჩეხეთი), **ტონი ადამსი** (ინგლისი), **მირჩა რედნიკი** (რუმინეთი), **ჯოკიჩა ხაჯიევსკი** (რუმინეთი), **ალექსანდრ სტარკოვსი** (ლატვია), **კარლეს ბაკესი** (ესპანეთი), **ბოჟიდარ ბანდოვიჩი** (სერბეთი), **ქემალ ალისპახიჩი** (ბოსნია), — აი, არასრული ჩამონათვალი იმ უცხოელი მწვრთნელებისა, დაარსებიდან (2004 წლიდან) აზერბაიჯანის პრემიერლიგაში რომ უმუშავიათ. წინა სეზონის ბოლოს ამ სიას კიდევ ერთი გამორჩეული პერსონა მიემატა: უელსის ნაკრებისა და „ლივერპულის" ლეგენდარული ცენტრფორვარდი, შემდგომში კი მადრიდის „რეალის", „რეალ-სოსიედადის", მაკედონიის ნაკრებისა და უელსის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჯონ ტოშაკი!** ამ ცნობილმა უელსელმა სპეციალისტმა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბი „ხაზარი" ჩაიბარა, თუმცა ახალ სეზონში ტოშაკზე არანაკლებ ტიტულიანი მწვრთნელების წინააღმდეგ მოუწევთ კახა ცხადაძესა და გიორგი ჩიხრაძეს დაპირისპირება: ამ ცოტა ხნის წინათ, „გაბალას" მთავარ მწვრთნელად ცნობილი რუსი სპეციალისტი **იური სიომინი** დაინიშნა. 66 წლის სპეციალისტი ბოლოს კიევის „დინამოში" მუშაობდა, თუმცა ბევრად მეტ წარმატებებს მოსკოვის „ლოკომოტივში" მიაღწია: ორჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი და ოთხჯერ თასი აღებინა. სხვათა შორის, სიომინს ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართველებთან: ფეხბურთელობის დროს **გივი ნოდიასთან** მეგობრობდა, მისი ხელმძღვანელობით კი **ზაზა ჯანაშიამ** და **მალხაზ ასათიანმა** კარიერაში გამორჩეული პერიოდი გაატარეს. სიომინის ხელმძღვანელობით „ლოკომოტივში" სხვა ქართველებსაც უთამაშიათ (**მიხეილ აშვეთია, გიორგი დემეტრაძე, რომან ახალკაცი**), თუმცა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ზაზა ჯანაშიასთან და მალხაზ ასათიანთან განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა...

იური სიომინის ამბავი გადაწყვეტილია, ახლა კი სავარაუდო და მართლაც „მყვირალა" სამწვრთნელო ტრანსფერებიც ვახსენოთ: არ არის გამორიცხული, რომ ახალი სეზონიდან სოლიდურბიუჯეტიანი „ბაქის" მთვარ მწვრთნელად ცნობილი სერბი სპეციალისტი **რადომირ ანტიჩი** დაინიშნოს! ანტიჩი ბოლოს ჩინეთში მოღვაწეობდა, მანამდე კი სერბეთის ნაკრებსაც თავკაცობდა და რაც მთავარია, 16 (!) სეზონის განმავლობაში პრიმერა-დივიზიონში მუშაობდა; „სარაგოსა", „ოვიედო", „სელტა", — ამ გუნდების გარდა ანტიჩმა ესპანურ გრანდებშიც იმუშავა და, რაც მთავარია, ერთადერთი სპეციალისტია მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში, სხვადასხვა დროს სამივე ესპანური გრანდი („ბარსელონა", „რეალი", „ატლეტიკო") ვისაც გაუწვრთნია. ყველაზე წარმატებული პერიოდი კი, რაღა თქმა უნდა, მადრიდის „ატლეტიკოში" ჰქონდა: 1995-96 წლების სეზონში „დუბლი" შეასრულა! ანტიჩის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, ისე როგორც კიდევ ერთი სავარაუდო ტრანსფერისა; თუმცა, ამ შემთხვევაში, არ დავმალავთ და, ცოტა არ იყოს, გვეეჭვება ყველაფერი რეალური რომ იყოს; რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთმა აზერბაიჯანულმა ინტერნეტ-გამოცემამ მართლაც სენსაციური ცნობა გაავრცელა: თითქოსდა, ბაქოს „ნეფთჩის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას აწარმოებს ლეგენდარულ ბრაზილიელ ფეხბურთელთან... **ზიკოსთან!** „თეთრ პელედ" მონათლული ზიკოს ტიტულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა საკლუბო დონეზე უამრავი პრიზის მომგებმა ბრაზილიის ნაკრებთან ერთად სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწია. „ფლამენგოსა" და „უდინეზეს" ვარსკვლავმა კარიერა იაპონიაში დაამთავრა. ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც იყო, ერთი პერიოდი ბრაზილიის სპორტის მინისტრიც გახლდათ, შემდეგ კი „ფენერბახჩეს", უზბეკური „ბუნიოდკორის", მოსკოვის ცსკას, „ოლიმპიაკოსსა" და ერაყის ნაკრებს თავკაცობდა. ზიკოს „ნეფთჩიში" სავარაუდო დანიშვნა უფრო ჭორი გვგონია, თუმცა, ყველაფერი რომ რეალობად იქცეს, არც ეს გაგიკვირდეთ...

**გია გაგოშიძე**

***P.S.*** *თურქეთში შეკრებაზე მყოფმა ბაქოს „ინტერმა" გუშინწინ პირველი სპარინგ-მატჩი გამართა „ქართალსპორთან" და 13:0 გაიმარჯვა. სადებიუტო მატჩი გოლით აღნიშნა ალექსანდრე იაშვილმა, ორი გოლი კი ბაჩანა ცხადაძემ გაიტანა.*

XXIV ჩემპიონატის შეჯამება



ფოთის კოლხეთს წელს საუკუნოვანი იუბილე აქვს

# გაუფერულებული იუბილე

ფოთის "კოლხეთი 1913"-ს წლეულს საუკუნოვანი იუბილე შეუსრულდა, მაგრამ ფოთში საზეიმო განწყობა სულაც არ სუფევს – ამ ქალაქის გუნდი უმაღლეს ლიგაში ბოლო ადგილზე გავიდა და პირველ ლიგაში დაქვეითდა, რასაც კლუბის არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა და ბუნდოვანი მომავალი ემატება.

"კოლხეთს" გასულ სეზონში საქმე თავიდანვე ცუდად წაუვიდა – გუნდი ვერაფრით ახერხებდა პირველი გამარჯვების მოპოვებას და ჩემპიონატის პირველი ეტაპი ისე ჩაამთავრა, მოგებათა გრაფაში ნული ეწერა. იმ დროისთვის უკვე ნათელი იყო, რომ "კოლხეთი" უძლიერესთა შორის დარჩენას ვერ შეძლებდა.

ჩემპიონატის მეორე ეტაპი ზღვისპირელებმა გაცილებით ხარისხიანად ჩაატარეს და სამი გამარჯვებაც მოიპოვეს. თუმცა ეს არათუ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, არამედ ბოლო ადგილისთვის თავის დასაღწევადაც არ აღმოჩნდა საკმარისი და მომავალ სეზონს "კოლხეთი" პირველ ლიგაში დაიწყებს.

იმედია, კლუბის არსებობას საფრთხე არ დაემუქრება და ერთ-ერთი უძველესი ქართული საფეხბურთო კლუბი ახლო მომავალში საკუთარ გულშემატკივრებს წარმატებებით გაახარებს. დღეისთვის კი, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ "კოლხეთში" არასახარბიელო ვითარებაა.

## საუკეთესო მატჩი

მეორე ეტაპზე "კოლხეთმა" რამდენიმე გამოსარჩევი შეხვედრა ჩაატარა, რომელთაგანაც სტუმრად მოპოვებულ ერთადერთ გამარჯვებას უნდა გავუსვათ ხაზი. ფოთელებმა მარტვილში "მერანს" 1:0 სძლიეს.

## ყველაზე ცუდი მატჩი

ასეთი, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი იყო. მეორე ეტაპიდან უნდა გავიხსენოთ ბოლნისში გამართული მატჩი, რომელიც "კოლხეთმა" დიდი ანგარიშით, 2:6 დათმო.

## მეკარე

გასულ სეზონში "კოლხეთის" ღირსება სამმა მეკარემ დაიცვა, რომელთაგანაც ყველაზე მეტი, 14 მატჩი, 25 წლის **მიხეილ ხარშილაძემ** ჩაატარა.

## დაცვა

ჩემპიონატის 32 მატჩში "კოლხეთმა" 56 გოლი მიიღო, რაც უმაღლესლიგელთა შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. ზამთარში გუნდის შემადგენლობაში არაერთი ცვლილება განხორციელდა და ეს პროცესი უკანა ხაზსაც შეეხო.

## ნახევარდაცვა

გამოცდილმა **გიორგი კრასოვსკიმ** (33 წლის) და **ომარ გოგონაიამ** (23 წლის) "კოლხეთის" მაისური ნახევარმცველთა შორის ყველაზე ხშირად მოირგეს. სისტემატურად ხვდებოდა სასტარტო შემადგენლობაში ზამთარში დამატებული 25 წლის ბრაზილიელი **ვიტორ როსინი.**

## თავდასხმა

გასულ ჩემპიონატში ფოთელებმა მხოლოდ 22 გოლი გაიტანეს. გუნდის საუკეთესო ბომბარდირი 25 გოლით 22 წლის **შალვა კვანტალიანი** გახდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**კოლხეთის ყველა მატჩი**

| I ეტაპი | | |
|---|---|---|
| I ტური | კოლხეთი-ჩიხურა | 0:2 |
| II ტური | სიონი-კოლხეთი | 0:0 |
| III ტური | კოლხეთი-ზუგდიდი | 1:1 |
| IV ტური | დინამო (თბ)-კოლხეთი | 5:0 |
| V ტური | კოლხეთი-ზესტაფონი | 0:2 |
| VI ტური | მეტალურგი-კოლხეთი | 2:1 |
| VII ტური | კოლხეთი-ტორპედო | 1:1 |
| VIII ტური | დინამო (ბთ)-კოლხეთი | 3:1 |
| IX ტური | კოლხეთი-მერანი | 0:1 |
| X ტური | კოლხეთი-დილა | 0:3 |
| XI ტური | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 2:0 |
| XII ტური | ჩიხურა-კოლხეთი | 2:1 |
| XIII ტური | კოლხეთი-სიონი | 0:1 |
| XIV ტური | ზუგდიდი-კოლხეთი | 1:0 |
| XV ტური | კოლხეთი-დინამო (თბ) | 0:2 |
| XVI ტური | ზესტაფონი-კოლხეთი | 2:1 |
| XVII ტური | კოლხეთი-მეტალურგი | 2:3 |
| XVIII ტური | ტორპედო-კოლხეთი | 2:1 |
| XIX ტური | კოლხეთი-დინამო (ბთ) | 1:2 |
| XX ტური | მერანი-კოლხეთი | 4:0 |
| XXI ტური | დილა-კოლხეთი | 1:0 |
| XXII ტური | კოლხეთი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |

*I ეტაპი: 22 მატჩი, 0 მოგება, 4 ფრე, 18 წაგება, ბურთები: 11-43*

| II ეტაპი | | |
|---|---|---|
| XXIII ტური | მეტალურგი-კოლხეთი | 1:0 |
| XXIV ტური | კოლხეთი-სიონი | 2:1 |
| XXV ტური | მერანი-კოლხეთი | 0:1 |
| XXVI ტური | კოლხეთი-დინამო (ბთ) | 1:1 |
| XXVII ტური | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 0:0 |
| XXVIII ტური | კოლხეთი-მეტალურგი | 0:0 |
| XXIX ტური | სიონი-კოლხეთი | 6:2 |
| XXX ტური | კოლხეთი-მერანი | 1:2 |
| XXXI ტური | დინამო (ბთ)-კოლხეთი | 2:2 |
| XXXII ტური | კოლხეთი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |

*II ეტაპი: 10 მატჩი, 3 მოგება, 4 ფრე, 3 წაგება, ბურთები: 11-13*

*სულ: 32 მატჩი, 3 მოგება, 8 ფრე, 21 წაგება, ბურთები: 22-56*

მეკარეები: მიხეილ ხარშილაძე - 14 მატჩი, არდალიონ მიქაბერიძე - 11 მატჩი, ლევან ბუბუტეიშვილი - 8 მატჩი;

მცველები: თემურ ფარულავა - 26 მატჩი, 1 გოლი, გიორგი კილასონია – 24 მატჩი, პავლე დათუნაიშვილი - 19 მატჩი, 3 გოლი, ჯემალ გაბუნია - 18 მატჩი, 1 გოლი, პაატა ცხვიტარია - 17 მატჩი, 2 გოლი, გიორგი კილასონია - 14 მატჩი, გია ჩადუნელი - 12 მატჩი, ზვიად ჩხეტიანი - 11 მატჩი, ლევან კაკულია - 10 მატჩი, გიორგი ტყეშელაშვილი - 8 მატჩი, მამუკა ლორია - 6 მატჩი, სულხან კახიძე – 2 მატჩი;

ნახევარმცველები: ომარ გოგონაია - 27 მატჩი, 2 გოლი, გიორგი კრასოვსკი - 25 მატჩი, ალექსანდრე ქორჩილავა - 16 მატჩი, 1 გოლი, ლაშა ქებაძე - 16 მატჩი, გიორგი ცხადაია - 13 მატჩი, მიხეილ კობერიძე - 10 მატჩი, თორნიკე მოსიაშვილი - 10 მატჩი, ამირან წაზრია - 10 მატჩი, ვიტორ როსინი – 9 მატჩი, 1 გოლი, ბექა ხომტარია - 7 მატჩი, ნიკოლოზ სიჭინავა – 4 მატჩი, 1 გოლი, დავით მეგრელიშვილი - 3 მატჩი, ლაშა ჩალაძე - 3 მატჩი, ლუკა ხომასურიძე - 3 მატჩი, ზვიად ჭედია - 1 მატჩი;

თავდამსხმელები: შალვა კვანტალიანი - 28 მატჩი, 5 გოლი, ილია პავლიაშვილი - 16 მატჩი, 2 გოლი, გიორგი ბუხაიძე - 16 მატჩი, 2 გოლი, ზამირ ჯანაშია – 10 მატჩი, 1 გოლი, იაკობ აფხაზავა - 5 მატჩი, ლევან გულუა – 5 მატჩი, ვასილ ლუჭაშვილი - 5 მატჩი, კონსტანტინე ბარამიძე - 4 მატჩი, ირაკლი მოისწრაფიშვილი – 4 მატჩი, ბიძინა გუჯაბიძე - 1 მატჩი, მიხეილ რუსია – 1 მატჩი.

მწვრთნელები: **დავით მახარაძე (I-XIII ტური), სოსო ფილია (XIV-XXXII ტური)**

ნაპოლი

# კავანიმ პელეგრინი და მოურინიო შეაქო

## ურუგვაელის ბედი კონფედერაციათა თასის შემდეგ გაირკვევა

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა **ედინსონ კავანის** ნეაპოლიდან შესაძლო აბარგებაა. 26 წლის ურუგვაელზე ნადირობაა გამოცხადებული, მისი საბაზრო ღირებულება კი 63 მილიონ ევროს შეადგენს. პირველი წინადადება ნეაპოლელებმა „ჩელსის" მესვეურებისგან მიიღეს: 30 მილიონი ევრო და **ფერნანდო ტორესი**, თუმცა „ნაპოლის" პრეზიდენტმა ცივი უარი განაცხადა. **აურელიო დე ლაურენტისი** ტორესის გამო ფასის განახევრებას არ დათანხმდა და ლონდონელები უარით გაისტუმრა. გუშინ გავრცელებული ცნობის თანახმად, არტისტოკრატებმა სამხრეთელებს ახალი წინადადებით მიმართეს და თანხას 10 მილიონი დაუმატეს - ანუ, 40 მილიონი და ფერნანდო ტორესი... ამ შეთავაზებაზე ნეაპოლელთა პასუხი ჯერ უცნობია, თვითონ კავანიმ კი როგორც იქნა, ამოიღო ხმა და შემდეგი განაცხადა:


ედინსონ კავანი

*„ამ დროისთვის მხოლოდ ურუგვაის ეროვნულ ნაკრებზე ვფიქრობ და კონფედერაციათა თასზე საასპარეზოდ ვემზადები. ჩემი ბედი სწორედ ამ ტურნირის შემდეგ გაირკვევა და იქამდე, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. „მანჩესტერ სიტი" და „ჩელსი"? - არ დავმალავ, რომ ორივე გუნდი მესიმპათიურება და თუ სადმე გადასვლაა, სწორედ ინგლისისკენ ავიღებდი გეზს. გარდა იმისა, რომ პრემიერლიგაა განსაკუთრებული ტურნირი, „სიტისაც" და „ჩელსისაც" ბრწყინვალე მწვრთნელები უდგანან სათავეში. მანუელ პელეგრინისთან და ჟოზე მოურინიოსთან მუშაობა ერთი სიამოვნება იქნება. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ეროვნულ ნაკრებზე ვარ კონცენტრირებული".*

**ლაშა წიკლაური**

ინტერი

# მორატი საქმეს შეუდგა

## ჯერ იკარდი, შემდეგ ოსვალდო...

გასულ სეზონში „ინტერმა" სრული ფიასკო განიცადა და კლუბის მესვეურებს კარგად ესმით, რომ ზაფხულში გუნდის გაძლიერება მართებთ. ამ პროცესს **ვალტერ მაცარი** უნდა გაუძღვეს, რომელიც ჯერჯერობით შვებულებაშია და კომენტარებისგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, ჟურნალისტებს **მასიმო მორატი** გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„გუნდი სერიოზულად უნდა გავაძლიეროთ და ამისთვის ვემზადებით კიდეც. მაცარის შვებულების მშვიდად გატარების საშუალება არ მივეცით და მას „ინტერის" სრული შემადგენლობა გადავუგზავნეთ... მაცარი ჯერ არსებულ კონტინგენტს შეისწავლის, შემდეგ კი სატრანსფერო გეგმაც შემუშავდება. არაერთი ფეხბურთელი დატოვებს გუნდს, თუმცა მთავარი მაინც ისაა, ვინ შემოგვემატება. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია, თუმცა მთავარი ამბები ივლისიდან გველოდება".*

მიუხედავად იმისა, რომ მორატი მთავარ ამბებს ივლისში გვპირდება, სათქმელი დღესაც გვაქვს და თანაც, არაერთი... მაგალითად, 20 წლის **მაურო იკარდიმ** ნეაპოლს მილანი ამჯობინა და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, კარიერას „ინტერში" გააგრძელებს. დღეს, მაურომ სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და გაუთვალისწინებელ შემთხვევაშიც ეს იგულისხმება. იკარდის ტრანსფერი „სამპდორიას" სპორტულმა დირექტორმა **კარლო ოსტიმ** დაადასტურა:

*„მიუხედავად იმისა, რომ პირველი ხაზზე ნეაპოლელები გამოვიდნენ, შეთანხმებას მილანელებთან მივაღწიეთ. ეს დიდწილად თვითონ ფეხბურთელმა განაპირობა, რომელსაც სწორედ „ნერაძურიში" სურს კარიერის გაგრძელება. „ნაპოლის" მესვეურები ჩემპიონთა ლიგის საგზურით იწონებდნენ თავს, მაგრამ მაუროს დაყოლიება მაინც ვერ შეძლეს".*

„ინტერთან" დაკავშირებით კიდევ ერთი ცნობა ვრცელდება, რომლის მიხედვითაც, კლუბის მესვეურები **პაბლო დანიელ ოსვალდოს** გადაბირებას ლამობენ. 27 ფორვარდს „რომაში" აღარ დაედგომება და დიდი ხნის ამბავია, რომ ახალ გუნდს ეძებს. „ინტერი" მისთვის კარგი ვარიანტი უნდა იყოს, მით უმეტეს, მილანურ გრანდს შეტევაში გასაჭირი ადგას.

მოკლედ, მასიმო მორატიმ და კომპანიამ საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდეს – ამ პროცესში მალე ვალტერ მაცარიც ჩაერთვება და ეჭვი არაა, რომ მომდევნო სეზონში „ინტერი" სხვა გუნდი იქნება, შემადგენლობით მაინც...


მაურო იკარდი „ინტერში" გადადის

**ლაშა წიკლაური**

ამბები

### რომა მცველით გაძლიერდა

გასულ სეზონში, „რომას" მთავარი პრობლემა დაცვის ხაზის სისუსტე იყო და როგორც ჩანს, კლუბის მესვეურებმა ამ პრობლემის მოგვარება პრიორიტეტულ მიზნად დაისახეს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მომდევნო სეზონიდან „ჯალოროსის" ღირსებას **მეჰდი ბენეტია** დაიცავს. 26 წლის მაროკოელი 2010 წლიდან „უდინეზეში" ასპარეზობდა და ამ გუნდის დაცვის ბურჯი გახლდათ. ერთი სიტყვით, დედაქალაქელებმა მაღალი კლასის მცველი გადაიბირეს, რომელსაც თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც ცენტრში, ისე ფლანგზე.

ბენეტიას სატრანსფერო ღირებულება 7 მილიონი ევროა, ხელშეკრულების დეტალები კი უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი. აღვნიშნოთ ისიც, რომ გარიგების თანახმად, „რომა" „უდინეზეში" ორ ფეხბურთელს გაანათხოვრებს, რომლებსაც თვითონ ფრიულელები ამ მოთამაშეთაგან აირჩევენ: **ალესიო რომანიოლი, ნიკო ლოპესი, ფედერიკო ვივიანი, ვალერიო ვერე**.

გასულ სეზონში, ბენეტია ტრავმებმა გატანჯეს, რის გამოც მხოლოდ 19 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. უახლოეს დღეებში მეჰდი რომში ჩაფრინდება და ახალ კლუბთან ხანგრძლივვადიან კონტრაქტს გააფორმებს.

### 27 მილიონი პასტორეში

ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ „მილანი" **ხავიერ პასტორეს** გადაბირებითაა დაინტერესებული. 23 წლის არგენტინელი ლომბარდიული გრანდის ახალ პოლიტიკაში, რომელიც გუნდის მაქსიმალურად გაახალგაზრდავებას გულისხმობს, იდეალურად ჯდება და ეს ინტერესი არც არავის გაკვირვებია. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეს თემა კიდევ უფრო გაიშალა და მილანელები უკვე მიმდინარე მოლაპარაკების დეტალებს ამხელენ – აქვე, „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტის, **ადრიანო გალიანის** კომენტარი: *„პასტორე პსჟ-მ 40 მილიონ ევროდ იყიდა და ბუნებრივია, რომ მას იოლად არ შეელევა. თუმცა, ჩვენ უკვე წამოვიწყეთ მოლაპარაკება და დიდი იმედი მაქვს, რომ შეთანხმებამდე მივალთ. ჩემს ახლო მეგობარ ლეონარდოსთან მიწევს ურთიერთობა, რაც პროცესს კიდევ უფრო დააჩქარებს. პირდაპირ ვიტყვი, 40 მილიონის გადამხდელები არ ვართ, მაგრამ არის სხვა ვარიანტები და უკან დახევას არ ვაპირებთ".*

იტალიელი ჟურნალისტები მოლაპარაკების დეტალებს გვამცნობენ, რომლის მიხედვითაც „მილანი" პსჟ-ს პასტორეს სანაცვლოდ 27 მილიონ ევროს და ერთ ფეხბურთელს სთავაზობს. დაუდასტურებელი ინფორმაციით, ხურდაში მოყოლილი ფეხბურთელი **მატია ფლამინია**, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარი არცთუ ურიგოდ ჩაატარა. ვნახოთ, როგორ წარიმართება მოლაპარაკებები.

**ლაშა წიკლაური**

ამბები

### უარი მალაგას

სპორტულმა არბიტრაჟმა მიიღო გადაწყვეტილება „მალაგას" სარჩელზე. ლოზანაში იმსჯელეს და ანდალუსიურ კლუბს ამ სეზონში ევროპალიგაზე თამაშის უფლება არ დართეს. „მალაგას" დაეკისრა ფულადი ჯარიმა 300 ათასი ევრო. მაშ ასე, ევროპალიგაზე ესპანეთს „ვალენსიას" და „ბეტისის" გარდა „სევილია" წარადგენს

### დიდი ცვლილებების ხანა

„სანდერლენდმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლუბში ამიერიდან ორი ახალი ფუნქციონერი იმუშავებს. ლაპარაკია სპორტულ დირექტორ **რობერტო დე ფანტისა** და სკაუტთა სამსახურის ხელმძღვანელ **ვალენტინო ანჯელონიზე**. აღსანიშნავია, რომ აქამდე ტაინსაიდელებს სპორტული დირექტორი არასოდეს ჰყოლიათ, მაგრამ მთავარი მწვრთნელის ნებას დაჰყვნენ. ანჯელონი იტალიაში ცნობილია თავისი განუმეორებელი „ყნოსვით". ის დიდხანს მუშაობდა „უდინეზეში". ფრიულურმა კლუბმა კი წარმატებული სატრანსფერო კამპანიებით გაითქვა სახელი. სწორედ სინიორ ვალენტინოს ინიციატივა იყო თავის დროზე მთელი რიგი უცნობი ფეხბურთელების შეძენა, რომელთაც მერე კლუბი ბევრად უფრო ძვირად ყიდდა, მაგალითად: **სალი მუნტარი** (10 მლნ ევრო), **ასამოა გიანი** (8 მლნ ევრო), **ალექსის სანჩესი** (26 მლნ ევრო), **დავიდ პისარო** (12 მლნ ევრო) და **ვინცენცო იაკვინტა** (11,3 მლნ ევრო). „უდინეზემ" თითოეულ ასეთ გარიგებაში სერიოზული მოგება ნახა.

„სანდერლენდმა" ამ დღეებში ერთბაშად სამ თავისუფალ აგენტს გაუფორმა კონტრაქტები. ესენი არიან: **მოდიბო დიაკიტე** (26 წელი, ცენტრალური მცველი, „ლაციო"), **ვალენტინ რობერჟი** (26 წელი, ცენტრალური მცველი, „მარიტიმუ") და **კაბრალი** (24 წელი, საყრდენი ნახევარმცველი, „ბაზელი"). გუნდს ისინი ივლისში პირველივე შეკრებაზე შეუერთდებიან. მათთან ხელშეკრულებებზე ხელი უკვე ახალმა სპორტულმა დირექტორმა რობერტო დე ფანტიმ მოაწერა. გეტყვით იმასაც, რომ იტალიური წყაროები „სტედიუმ ოფ ლაითზე" უწინასწარმეტყველებენ კარიერის გაგრძელებას „სიენას" 29 წლის ნახევარმცველ **ალესანდრო როზინასაც**. აპენინელს **სტეფან სესინიონის** შეცვლა მოუწევს, ვინც ამ ზაფხულს კარიერის გაგრძელებას უფრო ამბიციურ კლუბში აპირებს.

### ჩელსი შეუთანხმდა, ჯერი ფეხბურთელზეა

ჰოლანდიური „ვიტესის" 20 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **მარკო ვან გინკელმა** 2012/13 წლების საკლუბო სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. 43 თამაშში მის ანგარიშზე 12 გოლი და 12 შედეგიანი გადაცემა იყო. მარკო ისრაელში მიმდინარე 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზეც ძალიან კარგად გამოიყურება და ტურნირის უპირველესი ფავორიტების ულაპარაკო ლიდერია. მან უკვე მიიპყრო ევროპული გრანდების ყურადღება, მათ შორის „ჩელსისა" და „აიაქსის". ჰოლანდიური გამოცემა „დე ტელეგრააფის" ცნობით, ლონდონელებმა არნემელებთან 8,5 მილიონ ევროდ ფეხბურთელის ტრანსფერი უკვე შეათანხმეს და ახლა ყველაფერი უკვე ფეხბურთელზეა დამოკიდებული. ვან გინკელი და მისი აგენტი საბოლოო გადაწყვეტილებას ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მიიღებენ. „ჩელსი" მზადაა, ფეხბურთელს 4-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმოს და სურვილის შემთხვევაში ერთწლიანი იჯარით „ვიტესშივე" დატოვოს.



მარკო ვან გინკელი

### ასპასი უკვე ლივერპულელია

ორშაბათს გვიან საღამოს, ვიგოს „სელტას" 25 წლის თავდამსხმელი **იაგო ასპასი** ლივერპულში ჩაფრინდა, გუშინ კი „მელვუდის" ბაზაზე გამოცხადდა, სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და მერსისაიდულ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მართალია, ფეხბურთელს კონტრაქტით საკომპენსაციო თანხა 10 მილიონი ევრო ჰქონდა განსაზღვრული, მაგრამ „ლივერპულმა" მოახერხა და გალისიელები 8 მილიონ (ზოგიერთი ცნობით 7,7) ევროზე დაითანხმა. ასპასს წინადადებები სხვა პრემიერლიგური კლუბებისგანაც ჰქონდა. ინგლისელების გარდა მის შეძენას ესპანური, იტალიური და პორტუგალიური კლუბებიც ცდილობდნენ.

შეგახსენებთ, რომ **ბრენდან როჯერსისთვის** იაგო ასპასი უკვე მეორე შენაძენია. იქამდე ჩრდილოირლანდიელმა თავისუფალი აგენტის სტატუსით **კოლო ტურე** დაიმატა.

### დიაბის ხანგრძლივი პერსპექტივა

„არსენალის" 27 წლის საყრდენი ნახევარმცველი **აბუ დიაბი** უკვე წლებია, პერმანენტულად ტრავმიანობს. მას ბედმა 2012//13-ის სეზონშიც უმუხთლა. ფეხბურთელმა მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ 16-ჯერ მოახერხა მოედანზე გასვლა. ამჟამად ის მარტში ნატკენ მუხლზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების ბაზა „კლერფონტენზე" გადის რეაბილიტაციას, თუმცა თამაშს საუკეთესო შემთხვევაში დეკემბრის მეორე ნახევარში თუ შეძლებს. *„თავიდან ბაზაზე მხოლოდ ყავარჯნებით გადავადგილდებოდი, ახლა კი უკვე დამოუკიდებლად შემიძლია სიარული. რამდენიმე კვირაში უკვე ძუნძულსაც შევძლებ. იმედია, არაფერი გამირთულდება და იანვარში შევძლებ გუნდის დახმარებას,"* – განაცხადა დიაბიმ.

### ტიოტე რჩება

„დეილი მეილის" ცნობით, „ნიუკასლის" 26 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა **შეიხ ტიოტემ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ 2013/14 წლების სეზონს „სენტ ჯეიმს პარკზე" გაატარებს. ვრცელდებოდა ხმები, რომ ივუარელი საყრდენი კარიერის გაგრძელებას მოსკოვის „ლოკომოტივში" აპირებდა, თუმცა „რკინიგზელებმა" საბოლოოდ უარი მიიღეს. *„ნიუკასლთან" ხანგრძლივი ხელშეკრულება მაკავშირებს (2017წ-მდე. რედ) და შესაბამისად, არსად წასვლაზე არ ვფიქრობ. მოსამზადებელ პერიოდს მოუთმენლად ველოდები. თუკი სეზონს კარგად დავიწყებთ, ვფიქრობ, ევროთასებისთვის ბრძოლას აუცილებლად მოვახერხებთ,"* – განაცხადა ფეხბურთელმა.

**ლევან ბიბილაშვილი**

არგენტინა. ტორნეო ფინალი. XVII ტური

# ძალადობა ისევ პრობლემაა

## ლა პლატაში გულშემატკივარი გარდაიცვალა

**ბელგრანო–სან მარტინი 0:2**

**გოლები:** 0:1 პენკო (74), 0:2 პენკო (85)

**გოდოი კრუსი–ტიგრე 0:1**

**გოლი:** 0:1 რუსკულიედა (71)
**გაძევება:** დ. რამირესი (90. გოდოი კრუსი)

**არსენალი–კილმესი 1:2**

**გოლები:** 1:0 ხ. ორტისი (6), 1:1 კაუტერუჩიო (35), 1:2 ლეიესი (72)
**გაძევება:** ნ. აგირე (75. არსენალი), ბენედეტო (88. არსენალი)

**რივერი–ინდეპენდიენტე 2:1**

**გოლები:** 1:0 იტურბე (21), 2:0 ლანსინი (63), 2:1 მონტენეგრო (90)

**კოლონი–ატლ. რაფაელა 2:2**

**გოლები:** 0:1 დ. ვერა (50), 1:1 ჟიგლიოტი (57), 1:2 ფ. გონსალესი (71), 2:2 ჟიგლიოტი (85-პენ)

**რასინგი–ბოკა 2:0**

**გოლები:** 1:0 გ. ბურდისო (21-საკ. კარში), 2:0 ს. სახა (48-პენ)

**ნიუელსი–უნიონი 5:0**

**გოლები:** 1:0 მაქსი როდრიგესი (31), 2:0 სკოკო (43), 3:0 ჰაინცე (54), 4:0 მაქსი როდრიგესი (71), 5:0 ურუტი (81)

**სან ლორენსო–არ. ხუნიორსი 1:1**

**გოლები:** 0:1 ლ. როდრიგესი (25), 1:1 კორეა (58)

**ესტუდიან–ლანუსი 2:0–ზე შეწყდა**

**გოლები:** 1:0 ლ. დესაბატო (37), 2:0 დ. საპატა (45)

**ველესი–ოლ ბოისი**

**შენიშვნა:** თამაში 26-ე წუთზე შეწყდა და დღეს (21:30) გაგრძელდება

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 17 | 11 | 2 | 4 | 37-20 | 35 |
| 2. რივერი | 17 | 9 | 5 | 3 | 24-16 | 32 |
| 3. ლანუსი | 16 | 7 | 8 | 1 | 19-9 | 29 |
| 4. სან ლორენსო | 17 | 7 | 7 | 3 | 23-14 | 28 |
| 5. გოდოი კრუსი | 17 | 7 | 6 | 4 | 22-15 | 27 |
| 6. კილმესი | 17 | 7 | 6 | 4 | 25-20 | 27 |
| 7. არსენალი | 17 | 7 | 5 | 5 | 21-21 | 26 |
| 8. სან მარტინი | 17 | 6 | 5 | 6 | 28-25 | 23 |
| 9. რასინგი | 17 | 6 | 5 | 6 | 20-17 | 23 |
| 10. ატლ. რაფაელა | 17 | 5 | 8 | 4 | 20-18 | 23 |
| 11. ბელგრანო | 17 | 4 | 9 | 4 | 13-12 | 21 |
| 12. ინდეპენდიენ. | 17 | 5 | 6 | 6 | 15-15 | 21 |
| 13. ტიგრე | 17 | 6 | 2 | 9 | 20-27 | 20 |
| 14 ოლ ბოისი | 16 | 5 | 4 | 7 | 15-19 | 19 |
| 15. კოლონი | 17 | 5 | 4 | 8 | 19-28 | 19 |
| 16. ესტუდიანტესი | 16 | 3 | 7 | 6 | 12-16 | 16 |
| 17. უნიონი | 17 | 3 | 7 | 7 | 16-27 | 16 |
| 18. ველესი | 16 | 3 | 6 | 7 | 15-18 | 15 |
| 19. ბოკა | 17 | 2 | 8 | 7 | 11-28 | 14 |
| 20. არ. ხუნიორსი | 17 | 2 | 6 | 9 | 11-21 | 12 |

**ბომბარდირები:** 11 - სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 10 - ჟიგლიოტი (კოლონი); 8 - სილვიო რომერო (ლანუსი); 7 - დ. საპატა (ესტუდიანტესი); 6 - კაუტერუჩიო (კილმესი), ფრანსოია (უნიონი), ობოლო (გოდოი კრუსი), რიანიო (სან მარტინი), ვიეტო (რასინგი)

**სარელეგაციო ცხრილი**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. კილმესი | 36 | 46 | 1.278 |
| 16. ატლ. რაფაელა | 74 | 93 | 1.257 |
| 17. არ. ხუნიორსი | 112 | 134 | 1.196 |
| 18. სან მარტინი | 74 | 88 | 1.189 |
| 19. ინდეპენდიენტე | 112 | 128 | 1.143 |
| 20. უნიონი | 74 | 73 | 0.986 |

**ტორნეო ფინალის მე-17 ტური ძალიან სკანდალური და ტრაგიკული გამოდგა. გულშემატკივართა მხრიდან ძალადობის ფაქტების გამო, ათი შეხვედრიდან ორი შეწყდა, ერთი კი კინალამ ჩაიშალა. მიმოხილვაც სწორედ ამ მატჩით დავიწყოთ...**

### ინდეBენდიენტე

ესეც ასე - ლიბერტადორესის თასის 7-გზის გამარჯვებული, არგენტინის 14-გზის ჩემპიონი, იმ ორი გუნდიდან ერთ-ერთი, რომელიც პრიმერადან არასდროს გავარდნილა, აველიანედას „ინდეპენდიენტე“ 99,9 პროცენტით მომავალ სეზონს პრიმერა B-ში, ანუ არგენტინის რანგით მეორე დივიზიონში შეხვდება.

„დიდი ხუთეულის“ (რივერი, ბოკა, რასინგი, ინდეპენდიენტე, სან ლორენსო) ორი წევრი, ერთმანეთს „მონუმენტალზე“ შეხვდა. სატურნირო მოტივაცია მასპინძლებსაც ჰქონდათ - „რივერი“ ტორნეო ფინალში გამარჯვებისთვის იბრძვის, მაგრამ ესეც რომ არა, „ლოს მილიონარიოსი“ მეტოქეს მაინც არაფერს დაუთმობდა, რადგან „ინდეპენდიენტეს“ გავარდნა ამ ხუთეულის ყველა დანარჩენ წევრს გაუხარდება, განსაკუთრებით კი „რასინგს“ (როგორც „ინდეპენდიენტეს“ ყველაზე საძულველ მეტოქეს) და „რივერს“, ვინც ორი წლის წინ თავად გამოსცადა ქვედა ლიგაში დაქვეითების მთელი სიმწარე.

შეხვედრა სტუმრებმა უკეთ დაიწყეს და **ერნან ფრედესი** ვალდებული იყო ანგარიში გაეხსნა, თუმცა 26 წლის ნახევარმცველმა რეალური მომენტი ვერ გამოიყენა, რის გამოც მისი გუნდი დაისაჯა. 21-ე წუთზე, რამდენიმე რიკოშეტის შედეგად, ბურთი ცარიელი კარის წინ მყოფ **ხუან იტურბეს** მიუვიდა, ვისაც გატანა არ გასჭირვებია. ამ მომენტიდან მოყოლებული, „რივერი“ უპირატესობას დაეუფლა და სიტუაციას ბოლო წუთებამდე აკონტროლებდა. ლოგიკური იყო **მანუელ ლანსინის** გოლი, რომელიც 20 წლის ნახევარმცველმა იტურბეს პასით გაიტანა.



„რივერის“ გულშემატკივართა დამცინავი პლაკატი: „როხო (წითელი, „ინდეპენდიენტეს“ ერთ-ერთი მეტსახელი): მეორე დივიზიონის სიამაყე“

მეორე ბურთის შემდეგ, მასპინძელთა გულშემატკივრებმა „დიაბლოს“ („ინდეპენდიენტეს“ ერთ-ერთი მეტსახელი) სხვადასხვა დამამცირებელი სიმღერები მიუძღვნეს, რამაც სტუმარი გუნდის ქომაგები გადარია. ფანებმა საკუთარ სექტორში ყველაფერი დაანგრიეს, მოგლეჯილ სკამებს კი „რივერის“ გულშემატკივრებს ესროდნენ. რამდენიმე მათგანი პირველი იარუსის თავზე მდებარი სახურავზე გადაძვრა და მის ჩანგრევასაც (!) კი ცდილობდა. ამ ადამიანებს მიზნისთვის რომ მიეღწიათ, თავად ხომ დაიღუპებოდნენ და თან კიდევ ბევრ გულშემატკივარს გაიყოლებდნენ.

საბოლოოდ, მატჩი მაინც დასრულდა. **დანიელ მონტენეგრომ** ბოლო წუთზე ერთი გოლი კი გაიტანა, მაგრამ სტუმრებმა მეტი ვერაფერი მოასწრეს - 2:1. „რივერი“ ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს, „ინდეპენდიენტეს“ კი მომავალ სეზონში პრიმერაში ველარ ვიხილავთ. იმისთვის, რომ ადგილი შეინარჩუნოს, **მიგელ ანხელ ბრინდისის** გუნდმა დარჩენილი ორივე მატჩი უნდა მოიგოს, „არხენტინოს ხუნიორსმა“ ორივე წააგოს, ხოლო „სან მარტინმა“, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია, მხოლოდ ერთი ქულა უნდა აიღოს.

### ძალადობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი მატჩი შეწყდა და აღარ გაგრძელებულა. ჯერ „ველეს სარსფილდის“ და „ოლ ბოისის“ აბსოლუტურად უმოტივაციო შეხვედრა ჩაიშალა. მატჩის 26-ე წუთზე, როდესაც ანგარიში 0:0 იყო, ტრიბუნებზე სიტუაცია აირია, რის გამოც არბიტრმა შეხვედრა შეაჩერა. ეს გუნდები დღეს, თბილისის დროით 21:30-ზე, ცარიელი ტრიბუნების წინაშე ითამაშებენ.

ტრაგიკული გამოდგა მეორე შეხვედრა, რომელიც ლა პლატაში გაიმართა. „ესტუდიანტესი“ „ლანუსს“ მასპინძლობდა და პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს უგებდა. სწორედ ამ დროს, ორივე კლუბის პრეზიდენტისთვის ცნობილი გახდა, რომ სტადიონზე მყოფი ერთ-ერთი ქომაგი გარდაიცვალა. ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მატჩი აღარ გაგრძელებულიყო. ჯერჯერობით, გარდაცვლილის ვინაობა და ტრაგედიის მიზეზი უცნობია, თუმცა პოლიცია ჩანაწერებს სწავლობს და სიტუაციაში გარკვევას ცდილობს.

პირველი ინციდენტი კი მე-11 წუთზე მოხდა. სტუმართა ტრიბუნასთან თავი სპეცრაზმის წარმომადგენლებმა მოიყარეს და ერთ-ერთმა რამდენჯერმე ჰაერში გაისროლა კიდეც. ეს ყველაფერი საკმარისი იყო **პატრისიო ლუსტაუსთვის**, რომ მატჩი დროებით შეეჩერებინა. მცირე პაუზის შემდეგ შეხვედრა განახლდა და „სტუდენტებმა“ მეტოქის კარში ორი გოლიც გაიტანეს. შესვენებისას და მას შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე კი უკვე მოგახსენეთ.

### უმოტივაციო კლასიკო

ამ ტურში მეორე კლასიკოც გაიმართა. „რივერის“ და „ინდეპენდიენტეს“ მოსისხლე მტრები ერთმანეთს აველიანედაში შეხვდნენ. „რასინგის“ გულშემატკივრები ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე იყვნენ კარგ ხასიათზე, რადგან მათ „მონუმენტალზე“ გამართული შეხვედრის შედეგი იცოდნენ. ქომაგებს ხასიათი არც ფეხბურთელებმა გაუფუჭეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს. საშინელი მატჩი ჩაატარა **გილერმო ბურდისომ**, ვინც პირველ ტაიმში ავტოგოლი მიითვალა, მეორე ნახევარში კი საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და „ბოკას“ კარში პენალტი დაინიშნა. 11-მეტრიანი **სებასტიან სახამ** გაიტანა - 34 წლის მეკარემ ტორნეო ფინალში მეორე გოლი გაიტანა, სულ კი ეს მისთვის პრიმერაში გატანილი მე-14 ბურთი იყო (3 - „რასინგში“, 11 - „სან ლორენსოში“).

### 4 ქულა ტიტულამდე

მორიგი მატჩი მოიგო „ნიუელს ოლდ ბოისმა“ და „რივერს“ ისევ 3 ქულით დაშორდა. **ხერარდო მარტინოს** შეგირდებმა ლიგიდან გავარდნილი „უნიონი“ დაიბრიყვეს და მის კარში 5 უპასუხო ბურთი გაიტანეს. დუბლით გამოირჩა **მაქსი როდრიგესი**, თითო გოლი კი **გაბრიელ ჰაინცემ, იგნასიო სკოკომ** და მოედანზე მის ნაცვლად შემოსულმა **მაქსი ურუტიმ** გაიტანეს.

სკოკოს ანგარიშზე უკვე 11 გოლია და ის ბომბარდირთა დავის ერთპიროვნული ლიდერია. 28 წლის ფორვარდს შესანიშნავი შანსი აქვს, რომ **ხოსე სანდის** შემდეგ (2008/09 წლების აპერტურა/კლაუსურა) გახდეს პირველი ფეხბურთელი, ვინც ზედიზედ ორი ჩემპიონატის ბომბარდირი გახდება. მისთვის ხელის შეშლას **ემანუელ ჟიგლიოტი** ეცდება, ვინც ამ ტურში დუბლი შეასრულა და ახლა, „კოლონის“ შემტევის ანგარიშზე 10 გოლია.

**ტატო ბაციკაძე**

მანჩესტერ იუნაიტედი


დევიდ მოიესს ფაბრეგასიც სჭირდება და ლევანდოვსკიც

# მორიგი სპეკულაცია?

## ლევანდოვსკი და სესკი იუნაიტედში

გუშინ „დეილი მეილმა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სატრანსფერო მიზნებზე „ხმაურიანი“ მასალა შემოგვთავაზა. გამოცემის ინფორმაციით, „დორტმუნდის“ 24 წლის პოლონელმა თავდამსხმელმა **რობერტ ლევანდოვსკიმ** და „ბარსელონას“ 26 წლის ნახევარმცველმა **სესკ ფაბრეგასმა** „ეშმაკებთან“ თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადეს და „იუნაიტედს“ ისღა დარჩენია, კლუბებთან შეათანხმოს ფეხბურთელების საკითხი. „შეათანხმოს“ რამდენადაც იოლი დასაწერია, იმდენად რთული იქნება ამ იდეისთვის ხორცის შესხმა. მოსალოდნელია, რომ მანკუნიანელები ყველაფერს იღონებენ, რათა ივლისის პირველ რიცხვებამდე გარიგებები სრულყონ. **დევიდ მოიესი** ხომ სწორედ ამ პერიოდში იწყებს თავის პირველ მოსამზადებელ შეკრებას ახალ გუნდში.

ფაბრეგასი ინფორმაციას უკვე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „კამპ ნოუ“ მისთვის მეორე სახლია. „არსენალიდან“ შინ დაბრუნება კი იმდენად გაეწელა, რომ მეორედ ადგილსამყოფლის შეცვლაზე ფიქრს არ აპირებს. მეტიც, მას მხოლოდ „ბლაუგრანასთან“ ერთად სურს ტიტულებისთვის ბრძოლა და წასვლაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს ფიქრს, თუკი ის კლუბს აღარ დასჭირდება. „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტ **ხოსეპ ბარტომეუს** თქმით კი სესკის მომავალი მის აღმზრდელ კლუბში თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული.

განსხვავებულია ვითარება **რობერტ ლევანდოვსკის** შემთხვევაში. „შავ-ყვითლებმა“ პოლონელს კატეგორიული უარი უთხრეს „ბაიერნში“ გაშვებაზე, არადა, ის „ალიანს არენაზე“ თამაშის სურვილს უკვე აღარც მალავდა. ლევას კონტრაქტს ვადა ერთ წელიწადში გასდის. გერმანიის ექსჩემპიონი კი ხისტი პოზიციით სერიოზულად რისკავს, რომ ერთი წლის შემდეგ თავდამსხმელი სულაც უფასოდ გაუშვას. პოლონელი „ვესტფალენშტადიონზე“ დარჩენას არაფრის დიდებით არ აპირებს. *„ჰანს-იოახიმ ვატცკემ სულ ცოტა ხნის წინ აღმითქვა, რომ მე თავად გადავწყვეტდი ჩემს ბედს. მან იცის, რაც მინდა. ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ის, რაც მითხრეს. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ განვითარდება მოვლენები,“* – განუცხადა ლევანდოვსკიმ პოლონურ გამოცემა Przeglad Sportowy-ს.

**ლევან ბიბილაშვილი**

დორტმუნდი

# ლევანდოვსკის ხელფასი გაუსამმაგეს

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელებმა **რობერტ ლევანდოვსკი** „ბაიერნში“ არ გაუშვეს, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლონელი გოლეადორი იძულებულია, დორტმუნდში კიდევ ერთი წელი გაატაროს (კონტრაქტი გაისად უმთავრდება). გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, იმისათვის, რომ პოლონელი განაწყენებული არ დარჩეს და „ბორუსიასთვის“ მომავალ სეზონშიც მაქსიმალურად დაიხარჯოს, დორტმუნდელები ლევანდოვსკის ხელფასს გაუსამმაგებენ!

„ბილდის“ ცნობით, ლევანდოვსკის ხელფასი აქამდე წელიწადში 1.5 მილიონი ევრო იყო, მომავალ სეზონში კი 4.5 მილიონს მიიღებს. „ბორუსიას“ ბოსებს იმის იმედიც აქვთ, რომ ლევანდოვსკი ერთ წელიწადში დორტმუნდიდან წასვლას საერთოდ გადაიფიქრებს და „შავ-ყვითლებთან“ სულაც ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### ბაიერნი ვერმაელენსა და რაკიცკისაც აკვირდება

„ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების 24 წლის მცველი **ჰოლგერ ბადშტუბერი**, რომელსაც მძიმე ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა, ამ დღეებში კიდევ ერთ, რიგით მეოთხე ოპერაციას გაიკეთებს და ექიმების თქმით, ფაქტობრივად ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ მთელი სეზონი გაუცდება, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს.

თავის მხრივ, ეს იმასაც ნიშნავს, რომ „ბაიერნს“ უკვე ნამდვილად სჭირდება ერთი ახალი ცენტრალური მცველი. გუშინ ვწერდით, რომ მიუნხენელებს „ვალენსიას“ უკანახაზელი **ჟერემი მატიო** აინტერესებთ. ახალი ცნობების თანახმად, რეკორდმაისტერის სამიზნეში დონეცკის „შახტარის“ მცველი **იაროსლავ რაკიცკი** და „არსენალის“ ბელგიელი უკანახაზელი **თომას ვერმაელენიც** მოხვდნენ. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბაიერნის“ სკაუტები ამ ფეხბურთელებს აქტიურად აკვირდებიან.

### პელემ სკოლარი გააკრიტიკა და გერმანია შეაქო

გერმანულ „შპორტ აინსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში **პელემ** აღნიშნა, რომ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტებად გერმანიისა და ესპანეთის ნაკრებ გუნდებს მოიაზრებს და ოცნებობს იმაზე, რომ ფინალში ერთმანეთს ბრაზილია და გერმანია შეხვდნენ.

*„ბოლო წლებში სანაკრებო დონეზე ამინდს სწორედ ესპანელები და გერმანელები ქმნიან, მაგრამ ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გერმანიის ნაკრები მომწონს,* - აღნიშნა ფეხბურთის 72 წლის ლეგენდამ და დასძინა, - *გერმანელებს გამოცდილი ფეხბურთელებიც ჰყავთ და ახალგაზრდა, უნიჭიერესი ბიჭებიც. თამამად ვიტყვი, რომ ბუნდესგუნდში ახალგაზრდებისა და გამოცდილების იდეალური ნაზავია. ბრაზილიის ნაკრებისგან განსხვავებით, გერმანელების უმთავრესი პლუსი გუნდურობაა.“*

ამასთან, პელემ ბრაზილიის ნაკრების თავკაცი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** გააკრიტიკა: *„სელესაოს“ ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებიც ევროპის საუკეთესო კლუბებში თამაშობენ, მაგრამ ჩვენ არ გვყავს კარგად შეთამაშებული გუნდი. გერმანიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები ამ მხრივ მნიშვნელოვნად გვჯობნიან.“*

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერები

# ნეიმარი, ფალკაო და სხვა

**ზაფხულის სატრანსფერო სეზონი ოფიციალურად 1-ელ ივლისს იხსნება და 31 აგვისტოს, შუაღამით იხურება, თუმცა ევროპაში უკვე ძალიან ბევრი ტრანსფერი განხორციელდა, რომლებიც ოფიციალურად 1 ივლისს გაფორმდება. ესპანეთში ჯერჯერობით ორი ტრანსფერია მთავარი - 21 წლის ნეიმარის მისვლა „ბარსელონაში" და 27 წლის რადამელ ფალკაოს წასვლა „ატლეტიკოდან".**


ნეიმარი - ყველაზე დიდი შენაძენი

## ბარსელონა

ქვემოთ აქამდე განხორციელებული საზაფხულო ტრანსფერების სრულ სიას ნახავთ, რომელიც ლა ლიგის გუნდებს შეეხო. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ტენდენციაზე, რომ ესპანეთს ვარსკვლავები ტოვებენ. ამაზე თავს აღარ შეგაწყენთ, თუმცა სპორტულ მიზეზთა გარდა გვინდა აღვნიშნოთ ფინანსურიც - დასავლეთ ევროპაში ესპანეთშია ყველაზე მაღალი უმუშევრობის პროცენტი და ყველაზე მეტად ესპანეთის ეკონომიკას უჭირს. ბუნებრივია, ეს ყველა სფეროს ეხება, მათ შორის, ფეხბურთსაც.

გრანდებიდან პირველი ხმაურიანი ტრანსფერი „ბარსელონაშია" - **ნეიმარის** საგას მაისის ბოლოს დაესვა წერტილი, ბრაზილიელმა ვუნდერკინდმა კატალონია არჩია. კლუბს ეს ტრანსფერი 57 მილიონი ევრო დაუჯდა. მეტად „ბარსას" ბაზარზე არ უაქტიურია, თუმცა ნამდვილად ვიცით, რომ აპირებს.

## რეალი

მადრიდის „რეალის" სატრანსფერო აქტიურობა ჯერჯერობით შეზღუდულია. კლუბი შეელია ვეტერან პორტუგალიელ მცველ **რიკარდო კარვალიოს**, რაც ორივე მხარისთვის მისაღები გარიგებით დასრულდა - „პორტუს" და „ჩელსის" ყოფილი ვარსკვლავი რუსი მილიარდერის, **დმიტრი რიბოლოვლევის** მდიდრულ პროექტში დაასრულებს კარიერას. კლუბი შეელია 24 წლის გარემარბ **ხუანფრანსაც**. ის აშკარად გაიზარდა სარეზერვო გუნდისთვის, მაგრამ პირველი გუნდამდე ვერ გაიზარდა. ამიტომაც სევილიური „ბეტისი", ევროპალიგის საგზურით, მისთვის მისწრებაა.

**ფლორენტინო პერესმა** დაიბრუნა 21 წლის **დანი კარვახალი**, რომელიც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნდესლიგაში საუკეთესო მარჯვენა მცველი იყო **ფილიპ ლამის** შემდეგ (კარვახალი „ლელოს" სიმბოლურ ნაკრებებში 7-ჯერ მოხვდა). „რეალს" წინდახედულობამ უშველა, „ლევერკუზენთან" კონტრაქტი ისე იყო შედგენილი, რომ „სამეფო კლუბს" მისი დაბრუნება 6,5 მილიონ ევროდ შეეძლო და გააკეთა კიდევაც ეს. ველოდოთ მძაფრ კონკურენციას მარჯვენა ფლანგზე **ალვარო არბელოასა** და მას შორის. ჩვენ ფსონს ახალგაზრდა ფეხბურთელზე ჩამოვდივართ. „სამეფო კლუბის" მეორე გადაწყვეტილება კი ცოტა უცნაური გვეჩვენება: „რეალის" მეორე გუნდში თამაშობს **კარლოს ენრიკე კასემირო**, 21 წლის ნახევარმცველი, რომელმაც უკვე სამჯერ მოასწრო სელესაოში თამაში. კასემირო „რეალმა" „სან პაულოდან" 6 მილიონ ევროდ გამოისყიდა (აქამდე იჯარით თამაშობდა).

## წასულები

ლა ლიგამ იტალიური ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონ **ფერნანდო ლორენტეთი** გააძლიერა, რომელიც უფასოდ გადადის ტურინის „იუვენტუსში". „ფიორენტინაში" გადავიდა „ლევანტეს" ურუგვაელი კარის დარაჯი **გუსტავო მუნუა**.

ლა ლიგიდან პრემიერლიგაში გადავიდნენ **იაგო ასპასი** (თითქმის 10 მილიონ ევროდ იყიდა „ლივერპულმა" „სელტასგან"), **ფერნანდო ამორებიეტა** (ფულჰემი), „ბეტისის" მეკარე **ადრიანი** (ვესტ ჰემი) და ამავე გუნდის მოწინავე ნახევარმცველი **ხოსე კანიასი** (სუონსი). გადასვლები ჯერ ახლა დაიწყო, კიდევ ბევრი ფეხბურთელი შეიცვლის ლა ლიგას ინგლისურ პრემიერლიგაზე.

არგენტინელი **ტინო კოსტა** „ვალენსიადან" 7 მილიონ ევროდ **ჯანო ანანიძის** თანაგუნდელი გახდა „სპარტაკში", **ანდრეს პალოპი** (სევილია) კი კარიერას გერმანულ „ლევერკუზენში" დაასრულებს. მაგრამ ყველაზე დიდი დარტყმა (ჯერჯერობით) ესპანეთის ჩემპიონატს „მონაკომ" მიაყენა - 60 მილიონ ევროდ ერთადერთი ფეხბურთელი გადაიბირა, ვისაც გოლების გატანაში **ლეო მესის** და **კრიშტიანო რონალდოს** კონკურენტობა შეეძლო - **რადამელ ფალკაო**.


რადამელ ფალკაო - ყველაზე დიდი დანაკარგი

## მისულები

ჯერჯერობით, ნეიმარის გარდა ესპანელებს ვარსკვლავი არ შეუძენიათ, მაგრამ ერთი-ორ საინტერესო ფეხბურთელზე მოგითხრობთ - „ატლეტიკომ" ურუგვაული „დანუბიოდან" 18 წლის **ხოსე მარია ხიმენესი** კარგა ხანია, დაიბევა. **დიეგო სიმეონე** ახალგაზრდა მცველს წინასასეზონო შეკრებაზე იახლებს და შანსს მისცემს. საინტერესო ფეხბურთელი ჩანს 21 წლის ჩილელი ნახევარმცველი **ლორენსო რეიესი**, რომელიც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად უკვე „უაჩაპიტოს" კაპიტანი იყო და ეროვნულ ნაკრებშიც ორჯერ უთამაშია, ის „ბეტისში" ითამაშებს. მართალია, ახალგაზრდა სულაც არ არის (31 წლისაა), მაგრამ სევილიურმა კლუბმა ინგლისში წასული ადრიანის სრულფასოვანი შემცვლელი იშოვა, დანიის .ნაკრების მეკარე **სტეფან ანდერსენის** სახით. „ლევანტემ" ვეტერანი ავსტრიელი გამთამაშებელი დაიმატა „მაინციდან" (**ანდრეას ივანშიტცი**).

## შიდა ტრანსფერები

შიდა ტრანსფერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი „რაიო ვალეკანოდან" „ატლეტიკოში" ბრაზილიელი **ლეო კარილიო ბაპტიშტაოს** გადასვლა გვგონია. ლეო ძალიან ნიჭიერია, თუმცა ხშირად იღებს ტრავმას. „როხიბლანკოს" ფორვარდი სულ რაღაც 5 მილიონი ევრო დაუჯდა. კიდევ ერთი შიდაქალაქური როქი მოხდა - „ლევანტემ" **მიჩელი** „ვალენსიაში" გაუშვა.

### ესპანური ტრანსფერები

| თარ. | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 24 იან. | ფერნანდო ლორენტე | ბილბაო | იუვენტუსი | თავ. აგენტი |
| 5 თებ. | მანუ ლანსაროტე | საბადელი | ესპანიოლი | თავ. აგენტი |
| 7 მარ. | ბეტო | ბრაგა | სევილია | 1 მლნ. ევრო |
| 25 აპრ. | ხოსე მარია ხიმენესი | დანუბიო | ატლეტიკო | 1 მლნ. |
| 7 მაი. | რობერტო ლაგო | სელტა | ხეტაფე | თავ. აგენტი |
| 21 მაი. | ედინიო | მალაგა | ბრაგა | თავ. აგენტი |
| 23 მაი. | ფერნანდო ამორებიეტა | ბილბაო | ფულჰემი | თავ. აგენტი |
| 23 მაი. | დიეგო მაინსი | გრანადა | უდინეზე | იჯ. დაბრუნდა |
| 23 მაი. | დიეგო მაინსი | უდინეზე | გრანადა | თავ. აგენტი |
| 23 მაი. | კრისტიან საპატა | მილანი | ვილიარეალი | იჯ. დაბრუნდა |
| 23 მაი. | კრისტიან საპატა | ვილიარეალი | მილანი | 6 მლნ. |
| 25 მაი. | იასინ ბრაიმი | გრანადა | რენი | იჯ. დაბრუნდა |
| 25 მაი. | იასინ ბრაიმი | რენი | გრანადა | 3,5 მლნ. |
| 26 მაი. | ნეიმარი | სანტოსი | ბარსელონა | 57 მლნ |
| 28 მაი. | გუსტავო მუნუა | ლევანტე | ფიორენტინა | თავ. აგენტი |
| 28 მაი. | რიკარდო კარვალიო | რეალი | მონაკო | თავ. აგენტი |
| 29 მაი. | კრისტიან ტერანი | სან ფერნანდო | გრანადა | თავ. აგენტი |
| 31 მაი. | რადამელ ფალკაო | ატლეტიკო | მონაკო | 60 მლნ. |
| 3 ივნ. | ანდრეს პალოპი | სევილია | ლევერკუზენი | თავ. აგენტი |
| 3 ივნ. | ლეო ბაპტისტაო | ვალეკანო | ატლეტიკო | 5 მლნ. |
| 3 ივნ. | დანი კარვახალი | ლევერკუზენი | რეალი | 6,5 მლნ. |
| 3 ივნ. | ხუანფრანი | რეალი II | ბეტისი | თავ. აგენტი |
| 3 ივნ. | ჩული | უელვა | ბეტისი | 0,6 მლნ. |
| 4 ივნ. | ივან კელავა | დინამო ზ. | გრანადა | თავ. აგენტი |
| 5 ივნ. | ჟორდი ჩუმეტრა | ელჩე | ლევანტე | თავ. აგენტი |
| 5 ივნ. | ტინო კოსტა | ვალენსია | სპარტაკი | 7 მლნ. |
| 5 ივნ. | ადრიანი | სევილია | ვესტ ჰემი | თავ. აგენტი |
| 5 ივნ. | მიჩელი | ლევანტე | ვალენსია | 0,42 მლნ. |
| 5 ივნ. | ჩაბი ეჩეიტა | ელჩე | ბილბაო | თავ. აგენტი |
| 5 ივნ. | მიგელ დე ლას კუევასი | ოსასუნა | სპორტინგი | იჯ. დაბრუნდა |
| 5 ივნ. | მიგელ დე ლას კუევასი | სპორტინგი | ოსასუნა | 1,2 მლნ. |
| 5 ივნ. | გატო სილვა | ოსასუნა | უნ. კატოლიკა | იჯ. დაბრუნდა |
| 5 ივნ. | გატო სილვა | უნ. კატოლიკა | ოსასუნა | 1,2 მლნ. |
| 6 ივნ. | იაგო ასპასი | სელტა | ლივერპული | 9,5 მლნ. |
| 6 ივნ. | ხოსე კანიასი | ბეტისი | სუონსი | თავ. აგენტი |
| 7 ივნ. | ლორენსო რეიესი | უაჩიპატო | ბეტისი | 0,9 მლნ. |
| 8 ივნ. | ტიბო კურტუა | ატლეტიკო | ჩელსი | იჯ. დაბრუნდა |
| 8 ივნ. | ტიბო კურტუა | ჩელსი | ატლეტიკო | იჯარა |
| 9 ივნ. | ანდრეას ივანშიტცი | მაინცი | ლევანტე | თავ. აგენტი |
| 9 ივნ. | ხავი ხიმენესი | მურსია | ლევანტე | თავ. აგენტი |
| 10 ივნ. | სედრიკ მაბვატი | ნუმანსია | ბეტისი | თავ. აგენტი |
| 10 ივნ. | სტეფან ანდერსენი | ევიანი | ბეტისი | თავ. აგენტი |
| 10 ივნ. | კარლოს კასემირო | რეალი II | სან პაულო | იჯ. დაბრუნდა |
| 10 ივნ. | კარლოს კასემირო | სან პაულო | რეალი | 6 მლნ. |

*შენიშვნა: თარ - თარიღი, როცა ტრანსფერი გადაწყდა.*

ამბები

### ზიდანს მხოლოდ მწვრთნელობა სურს

ესპანური მედიის ცნობით, მადრიდის „რეალის" ლეგენდა **ზინედინ ზიდანმა** უარი თქვა კლუბის სპორტულ დირექტორობაზე, რადგან სამწვრთნელო მოღვაწეობის დაწყება სურს.

ფრანგი მოწადინებულია, „რეალის" მომავალი მთავარი მწვრთნელის ასისტენტი გახდეს. სავარაუდოდ, ის ამ საკითხზე **კარლო ანჩელოტის** უკვე მოელაპარაკა კიდევაც.

„მარკას" ცნობით, დღეს ზიდანი **ფლორენტინო პერესს** შეხვდება და „რეალის" საჭირბოროტო საკითხებზე მოელაპარაკება. ამ თემაზე უფრო მეტი მხოლოდ მათი შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

### ნეიმარი მალე რონალდოს და მესის გაასწრებს... მაისურების გაყიდვაში

21 წლის **ნეიმარი** სულ რაღაც ერთი კვირის წინ წარადგინეს „ბარსელონაში", ამის მიუხედავად, კლუბის მარკეტინგის მენეჯერები სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტენ - ბრაზილიელის მაისურები სწრაფად იყიდება.

ექსპერტების აზრით, ეს კიდევ არ არის ზღვარი. მოგეხსენებათ, ნეიმარისთვის ჯერ არ მიუნიჭებიათ მუდმივი ნომერი. როგორც კი ეს საკითხი გაირკვევა, გაყიდვები მსოფლიო რეკორდს მიუახლოვდება, ფიქრობენ ექსპერტები.

ამ მხრივ, ნეიმარმა შეიძლება ჩამოიტოვოს კიდევაც **ლიონელ მესი** და **კრიშტიანო რონალდო**, რომელთა მაისურებსაც ყველაზე მეტად ითხოვენ მსოფლიოში.

### ბეტისმა ფეხბურთელი 1 ევროდ და 20 ცენტად შეიძინა

კურიოზული ფაქტი მოხდა ესპანეთში - ლა ლიგის კლუბმა ფეხბურთელი 1 ევროდ და 20 ცენტად შეიძინა! სეგუნდა დივიზიონის „ნუმანსიაში" 21 წლის კონგოელი გარემარბი **სედრიკ მაზვატი** სევილიის „ბეტისში" გადავიდა.

ის 2011 წლიდან თამაშობდა „ნუმანსიაში", მაგრამ კონტრაქტი ისე ჰქონდა შედგენილი, რომ პრიმერა დივიზიონის კლუბის დაინტერესების შემთხვევაში, უსასყიდლოდ გადასვლა შეეძლო.

ასეც მოხდა, ფეხბურთელის სატრანსფერო ფასად 1 ევრო და 20 ცენტი გაფორმდა, ზუსტად ეს სიმბოლური თანხა ჩაერიცხება ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას ტრანსფერის განხორციელებისთვის.

სხვათა შორის, „ნუმანსიამდე" აფრიკელი მადრიდის „ატლეტიკოს" საკუთრება იყო.

### ჰიდინკი ანჟიში დარჩა

ჰოლანდიელი **გუუს ჰიდინკის** სავარაუდო გადასვლა „პარი სენ-ჟერმენში" ჭორად დარჩა, საფრანგეთში 66 წლის სპეციალისტს არ ვიხილავთ. ჰიდინკმა მახაჭყალის „ანჟისთან" კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება.

„ორივე მხარე ყველაფერზე შეთანხმდა, მე მოხარული ვარ", - დაწერა „ტვიტერზე" „ანჟის" ბორდის შეფმა **კონსტანტინ რემჩიუკოვმა**.

ჰოლანდიელი 2012 წლის თებერვლიდან წვრთნის დაღესტნურ კლუბს, მას ჯერ პენსიაზე გასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, შემდეგ კი ხმა დაირხა, „რეალში" წასასვლელად გამზადებულ **კარლო ანჩელოტის** შეცვლის პარიზულ კლუბში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ვარსკვლავი

## ლუის სუარესი:
# რონალდოს გვერდით თამაში მინდა
## ივანოვიჩს რას ვერჩოდი, გონება დამიბნელდა

„ლივერპულის“ 26 წლის თავდამსხმელმა ლუის სუარესმა აღიარა, რომ ბრანისლავ ივანოვიჩთან მომხდარი ინციდენტისას ვერ აკონტროლებდა საკუთარ თავს. ურუგვაელი უარყოფს, რომ მისი გაცეცხლების მიზეზი სერბი მცველის უხეში თამაში გახდა. ცნობილი სკანდალის გარდა ფეხბურთელმა გულშემატკივარს სასიამოვნო ინფორმაციაც ამცნო. მისი მეუღლე სოფია ბალბი ფეხმძიმედ არის. წყვილი რამდენიმე თვეში ვაჟს ელოდება. შეგახსენებთ, რომ ლუისს უკვე ჰყავს 3 წლის გოგონა დელფინა. აი, რა უთხრა ფეხბურთელმა ურუგვაის ნაციონალურ სატელევიზიო არხს, რომელიც ესპანურმა „ასმა“ ბეჭდური სახით შემოგვთავაზა.

- მესმის, რომ ივანოვიჩთან ინციდენტისას უმძიმესი შეცდომა დავუშვი. ეს მხოლოდ ჩემი ბრალი იყო. მას ჩემთვის არაფერი დაუშავებია. საკუთარ თავზე ვიყავი გაბრაზებული, რადგან ხელით ვითამაშე, რის გამოც „ლივერპულის“ კარებში 11-მეტრიანი დაინიშნა. ამ ეპიზოდში გონება დამიბნელდა, საკუთარ თავზე კონტროლი ბოლომდე დავკარგე და რას ვაკეთებდი, ამის ახსნა არ შემიძლია. ვნანობ ჩემს საქციელს. ამ ყოველივეს შემდეგ პრესა ჩემ მიმართ წარმოუდგენლად მკაცრი იყო. პრინციპში, მათი დამოკიდებულება თავიდანვე ასეთი იყო. მათ მე არაერთხელ უსაფუძვლოდ დამდეს ბრალი სიმულანტობასა და რასიზმში. ეს იარლიყი უკვე დიდი ხანია მომენება. პოზიტიურ ტონში კი ჩემზე თითქმის არასოდეს წერდნენ. როცა ხალხი მეუბნებოდა, რომ შემეძლო ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მომეგო, ვპასუხობდი ხოლმე, რომ ამ ქვეყანაში მსგავსი შანსი არასოდეს მომეცემოდა. მასმედიის ასეთი დამოკიდებულება ხალხზეც მოქმედებს. რამდენიმე დღის წინ მანჩესტერის გარეუბანში სავაჭრო ცენტრში ვიყავი მეუღლესა და შვილთან ერთად. ახალგაზრდები მომიახლოვდნენ და მათთან ფოტოს გადაღება მთხოვეს. მე ვერც კი შევამჩნიე, რომ ისინი ისეთ სახეს იღებდნენ, თითქოს ვილაცას კბენდნენ. სოფიამ მთხოვა და იქაურობას სასწრაფოდ გავეცალეთ. ის იმდენად ცუდ ხასიათზე დადგა, რომ ტირილს ცოტა დააკლდა. მსგავსი რამის მოთმენა ძალიან ძნელია. ძნელია იმასთან შეგუებაც, რომ ევრასთან მომხდარი გაუგებრობის გამო ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე 8-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მომცეს, ტერის შემთხვევაში კი, მაშინ, როცა არსებობდნენ მოწმეები, ვიდეოზე ნანახით სპეციალისტმა ამოიკითხა მის მიერ ხმამაღლა ნათქვამი ფრაზა, მას მხოლოდ 4 მატჩი აკმარეს. სამხრეთამერიკელი ვარ და მგონია, რომ მსგავსი უსამართლობა ამის გამო ხდება.



სუარესი პრესას და ინგლისური ფეხბურთის მამებს არაადეკვატურობას საყვედურობს

მინდა თუ არა კრიშტიანო რონალდოსთან გვერდით თამაში? რა თქმა უნდა, ის ხომ ბრწყინვალე ფეხბურთელია. წინასწარ ამაზე ლაპარაკი არ ღირს, რადგან ეს მეტად რთული საკითხია. ამ მომენტისთვის ის „რეალის“ მოთამაშეა, მე „ლივერპულში“ ვარ. მომავალში რა შეიძლება მოხდეს, არავინ იცის. ჩემმა აგენტმა მთხოვა, რომ მაქსიმალურად შევიკავო თავი და სიმშვიდე შევინარჩუნო. მნიშვნელოვან სიახლეებს კი თავად მეტყვის.

მესი, ნეიმარი თუ რონალდო? არ ვიცი. ძნელია შეკითხვაზე პასუხის გაცემა. „ბარსელონამ“ ბოლო წლებში უამრავი ტიტული მოიგო, ნეიმარს კი ახალ გარემოსთან ჯერ კიდევ დიდხანს დასჭირდება შეგუება. ამ ფეხბურთელისკენ ახლა ძალიან ბევრის მზერაა მიპყრობილი.

**ლევან ბიბილაშვილი**




ბლიც-ინტერვიუ. ქარიმ ბენზემა

# მოურინიო დიდი მწვრთნელია, უბრალოდ, მადრიდში მისი დრო დასრულდა

**სეზონს ქარიმ ბენზემასთვის ცუდი დასასრული ჰქონდა - მადრიდის „რეალის“ 26 წლის ფრანგმა თავდამსხმელმა ბრაზილიასთან ამხანაგური მატჩის შემდეგ გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ მიეხედა მტკივანი მუხლისთვის. ბენზემამ სელესაოსთან 70 წუთი ითამაშა, მეორე დღეს კი ლიონში მუხლზე ოპერაცია გაიკეთა. მას სითხე ამოუღეს მუხლიდან. რამდენს გამოტოვებს ამის გამო ბენზემა, ჯერჯერობით უცნობია.**

**მანამდე „მარკამ“ მასთან მცირე ინტერვიუ შემოგვთავაზა, რომელშიც ქარიმი სეზონს აჯამებს. ეს სეზონი მისთვის არცთუ წარმატებული იყო, გუნდი უტიტულოდ დარჩა, ბენზემამ ჩვეულზე ნაკლები გოლი გაიტანა და ხშირად იყო კრიტიკოსთა სამიზნე.**

**- როგორ შეაფასებთ გასულ სეზონს?**

- თქმა არ უნდა, არ იყო კარგი სეზონი. ჩვენ ვერც ჩემპიონატი მოვიგეთ, ვერც - ჩემპიონთა ლიგა და ვერც ქვეყნის თასი. მხოლოდ ესპანეთის სუპერთასი „რეალის“ დონის გუნდისთვის, მეტისმეტად ცოტაა.

**- რას ეტყვით ფანებს ასეთი სეზონის შემდეგ?**



ქარიმ ბენზემა

- ფანებს ვთხოვ, გვიგულშემატკივრონ ისე, როგორც აქამდე. ჩვენ კი ყველაფერს გავიღებთ იმისთვის, რომ მომავალ სეზონში ტიტულები მოვიგოთ, როგორც შიდა ისე, საერთაშორისო.

**- საკუთარ გამოსვლას როგორ შეაფასებდით?**

- წინა სეზონი სჯობდა, მაშინ ყველა მატჩში 30 გოლი გავიტანე, ახლა კი მხოლოდ - 20.

**- რას იტყვით გუნდიდან მწვრთნელის წასვლაზე?**

- ჟოზე მოურინიო დიდი მწვრთნელია. უბრალოდ, მისი დრო მადრიდში დასრულდა.

**- თქვენ თუ რჩებით „რეალში“?**

- რა თქმა უნდა, ვრჩები. მე აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და არსად წასვლას არ ვგეგმავ.

**- ენთუზიაზმით ელით ახალ სეზონს?**

- ცოტა თუ არ დავისვენეთ, არ შეიძლება. მერე კი განახლებული ენერგიით მოვემზადებით ახალი სეზონისთვის.

**- მადრიდში შესაძლოა, ახალი ფორვარდი მოვიდეს, კონკურენციის ხომ არ გეშინიათ?**

- არა, კონკურენციის არასოდეს მეშინოდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. კარლ-ჰაინც რუმენიგე

# გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!

## ბაიერნი გვარდიოლასთან ერთად ახალ ცხოვრებას იწყებს

**სანამ**სატრანსფერო ორომტრიალი გახურდება, გერმანული ფეხბურთის მთავარ თემად მიუნხენის „ბაიერნი" და მისი ტრიუმფული სეზონის შეჯამება რჩება. ვფიქრობთ, რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტ კარლ-ჰაინც რუმენიგეს ინტერვიუ, რომელიც „ბილდში" გამოქვეყნდა, მხოლოდ „ბაიერნისა" და გერმანული ფეხბურთის მოყვარულებს არ დააინტერესებთ. 67 წლის რუმენიგე ზღაპრულ სეზონს აჯამებს და „ბაიერნისა" და ზოგადად გერმანული ფეხბურთის მომავალზე საუბრობს, ყველაზე საინტერესო კი ის უნდა იყოს, თუ რას ელის კალე ხოსეპ გვარდიოლასგან.



ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე

**- ჰერ რუმენიგე, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდგომ ზეიმზე და მერეც, გერმანიის ჰეთთრიკის აღსანიშნავ საღამოზე ისე ცეკვავდით, როგორც ახალგაზრდობაში. ცეკვის გაკვეთილები დანტემ ხომ არ ჩაგიტარათ?**

- (იცინის) დანტეს აქეთ ვასწავლი ბევრ რამეს... ისე, ამდენი მართლა დიდი ხანია, არ მიცეკვია, მაგრამ ხომ იცით, რამდენიმე ჭიქა წითელი ღვინო თვით ვესტფალიელსაც კი სწორად აცეკვებს...

**- ჰეთთრიკმა საფეხბურთო მიუნხენი ჭკუიდან შეშალა...**

- ვფიქრობდი, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ ბიჭები მოეშვებოდნენ, ბევრს დალევდნენ და გერმანიის თასის ფინალის მოგება გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ამ „ბაიერნს" კონცენტრაციის პრობლემა არ ექმნება!

**- ერთ სეზონში სამივე ტიტული აქამდე არც ერთ გერმანულ კლუბს არ ჰქონდა მოგებული. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ეს „ბაიერნი" ყველა დროის საუკეთესო გერმანული კლუბია და თვით ბეკენბაუერის დროინდელ, 70-იანი წლების „ბაიერნსაც" სჯობია?**

- საუკეთესო თუ არა, მინიმუმ ერთ-ერთი საუკეთესოა. ასე იმიტომ ვამბობ, რომ იმ „ბაიერნმა" ჩემპიონთა თასი სამჯერ აიღო! თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ დღეს ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ სამჯერ მოგება ფაქტობრივად შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით რთულია, ვიდრე 70-იანებში იყო. „ბაიერნის" ამჟამინდელი წარმატებები 2001 წლის ტრიუმფზე მაღლაც დგას. ასე რომ, ეს „ბაიერნი" მართლაც ყველა დროის საუკეთესოა. დაუჯერებელია, როგორი კონცენტრაციით იასპარეზა გუნდმა სამივე ტურნირზე. არ მახსოვს, რომ გუნდს მთელი სეზონი ასე სტაბილურად და უნაკლოდ ჩაეტარებინოს.

**- თუმცა 70-იანი წლების გმირები 1972 წელს ევროპის, 1974-ში კი მსოფლიოს ჩემპიონებიც გახდნენ...**

- თუკი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორი გერმანული კლუბი გავიდა, ეს იმის მტკიცებულებაცაა,

> „იუპმა ისე მითხრა, ძალიან მაგარი მწვრთნელი მოგყავთო, რომ დავინახე: ჰაინკესს ოდნავადაც არ შურს გვარდიოლასი"

რომ გერმანიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონობა შეუძლია. ამ თაობას გაისად მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობა უნდა მოვთხოვოთ. ეს ის შემთხვევაა, როცა მოკრძალებულობას აზრი არ აქვს. პროგრამა მინიმუმი აღარ არსებობს - არსებობს მხოლოდ მაქსიმუმი და მე მჯერა, რომ 18-წლიანი უტიტულობის შემდეგ გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი გახდება.

**- ფაქტია, რომ შარშან, ჩემპიონთა ლიგის ფინალის საკუთარ მოედანზე წაგებამ ძალიან დაგწყვიტათ გული, ახლა კი ბედნიერი ხართ, რომ „ბაიერნმა" ეს თასი მოიპოვა. რომელი განცდა იყო უფრო მძაფრი - შარშანდელი წყენა, თუ ახლანდელი სიხარული?**

- ორივე განცდა უმძაფრესი იყო. „ჩელსისთან" მარცხის შემდეგ ჩვენი ფანების სახეები არასდროს დამავიწყდება. ასევე არასდროს დამავიწყდება ული ჰიონესის სახე უემბლის ფინალში, მსაჯის სასტვენის შემდეგ. 85-ე წუთზე ულიმ მითხრა, ახლა თუ კონტრშეტევაზე არ გამოგვიჭირეს, დამატებით დროში უნდა მოვიგოთ, პენალტების სერიას ალბათ ველარ გადავიტანო. მე ვუთხარი, არხეინად იყავი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი ბოლო წუთებზე ორჯერ წავაგეთ, ახლა კი იმის დროა, რომ ჩვენ მოვიგოთ ბოლო წუთებზე-მეთქი.

**- ასეც მოხდა...**

- უმძიმესი წნეხი მოგვეხსნა. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ეს ფინალიც რომ წაგვეგო? ფაქტია, რომ ეს ათწლეულის უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო, რომლის წაგება არაფრით არ შეიძლებოდა.

**- „ბაიერნს" დიდებული სეზონი ჰქონდა, ული ჰიონესს და თქვენ კი გადასახადებთან დაკავშირებით პრობლემები შეგექმნათ...**

- წარმოდგენა არ მქონდა, რომ ნაჩუქარი საათებიც უნდა განმებაჟებინა. თუმცა ჩემი ამბავი ჰიონესის საქმესთან რა მოსატანია... ული ჩემი მეგობარია, მეგობრობა კი მე ასე მესმის: თანადგომა ურთულეს პერიოდშიც. ჰიონესმა იცის, რომ ჩემი მხარდაჭერის იმედი ყოველთვის უნდა ჰქონდეს.

**- ჯერ კიდევ გერმანიის ჩემპიონობის განაღდებამდე თქვით, „ბაიერნი" ბუნდესლიგას და ჩემპიონთა ლიგას თუ მოიგებს, იუპ ჰაინკესი გრანდიოზულ ეტლში უნდა ჩავსვათ, რომელსაც ოთხ თეთრ ცხენს შევაბამთ და ასე უნდა გავაცილოთო. იუპს იდეა არ მოეწონა?**

- მიუხედავად იმისა, რომ ასეთ სურათს სიამოვნებით ვნახავდი, ეს სერიოზულად არ მითქვამს. თან, მართლა არა მგონია, რომ ჰაინკესს ასეთი იდეა მოსწონებოდა. მე მას ვუთხარი, „ბაიერნიდან" გაცილების ორი გზა არსებობს, ან დიდი კარიდან უნდა გახვიდე, ანაც საიდუმლო გასასვლელიდან-მეთქი. მიხარია, რომ დიდი კარიდან გასვლა ამჯობინა.

**- გეშინოდათ, რომ „რეალში" წავიდოდა?**

- არა, რატომ? სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მქონდა, რას აპირებდა და ვერც ვერაფერს ვვარაუდობდი. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მინიმუმ ერთი წლით დასვენება რომ ამჯობინა.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნებოდა, ჰაინკესს ხოსეპ გვარდიოლასთვის ერთი ტიტული მაინც დაეტოვებინა მოუგებელი?**

- არა! პირადად მე სეზონის მიწურულს უკვე ყოველდღე ვამბობდი, ყველაფერი უნდა მოვიგოთ, რაც მაგიდაზე დევს-მეთქი! გვარდიოლამ სამივე ტიტული მოგვილოცა. ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ ვესაუბრე და ისეთი აღტკინებული იყო, რომ ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, ძალიან უნდოდა, „ბაიერნს" ფინალი მოეგო და იცით რატომ? ისევე, როგორც მე, გვარდიოლაც ფიქრობდა, რომ ბოლო ოთხ წელიწადში მესამე ფინალის წაგება ფსიქოლოგიურ ხვრელში ჩაგვაგდებდა და მერე მას ძალიან გაუჭირდებოდა ამ თასის მოგება. „დორტმუნდთან" რომ წაგვეგო, გუნდისა და მთელი სტაფის თავიდან მოტივირება ძალიან ძნელი იქნებოდა.

**- ჰაინკესი ამბობს, გვარდიოლას სრულყოფილ გუნდს ვუტოვებო. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით ასეთი რამ თქვა ფრანც ბეკენბაუერმა 1990 წლის მუნდიალის ფინალის შემდეგაც, როცა გერმანიის ნაკრებს ბერტი ფოგტსს აბარებდა...**



რუმენიგე: „ამ თაობას გაისად მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობა უნდა მოვთხოვოთ"

- ფაქტია, რომ მაშინ ამ განცხადებით ფრანცმა ბერტს კარგი საქმე არ გაუკეთა და მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არც ჰაინკესის ეს განცხადებაა გვარდიოლასთვის კარგი, არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. თუმცა ეს „ბაიერნი" მართლა სრულყოფილი გუნდია! რამდენიმე დღის წინ იუპთან ერთად ყავას ვსვამდი, როცა მითხრა, ძალიან მაგარი მწვრთნელი მოგყავთო. ჰაინკესის აზრით, გვარდიოლა შესანიშნავი ადამიანი და უმაღლესი კლასის სპეციალისტია. მე დავინახე, რომ ჰაინკესს ოდნავადაც არ შურს გვარდიოლასი.

**- ასეთი წარმატებული სეზონის შემდეგ გუნდი „დანაყრებულია" ხოლმე და არსებობს იმის საშიშროება, რომ მოტივაციის პრობლემები შეიქმნას...**

- ასეთი საშიშროება მართლაც არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მოტივაციის პრობლემა არ შეიქმნება, რადგან გუნდს ახალი მწვრთნელი ეყოლება. გვარდიოლას მოსვლით „ბაიერნში" ყველა საათი ნულზე დგება და ახალი ცხოვრება იწყება. ამიტომაც არა მგონია, რომ ფეხბურთელებმა თავი მშვიდად იგრძნონ. მართალია, სწორედ ახლა გვყავს ისეთი გუნდი, როგორსაც ვნატრობდით, მაგრამ წარმატება ყოველ წელს თავიდან იძერწება და ახლაც ასე იქნება. თანაც, უეფას რეიტინგში პირველ ადგილზე ჯერ კიდევ „ბარსელონაა". არ დაგვავიწყდეს, რომ კატალონიური გრანდი ზედიზედ ექვსი წლის მანძილზე მინიმუმ ნახევარფინალში გადიოდა.

**- ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად ფრანკ რიბერი დაასახელეს...**

- რიბერი „ბაიერნში" 2007 წელს გადმოვიდა და მაშინ ისეთი ფეხბურთელის იმიჯი ჰქონდა, რომელიც ერთ კლუბში 2 წელიწადზე დიდხანს ვერ ჩერდება... ექვსი წელია, რიბერი ჩვენთან თამაშობს, ახლა კონტრაქტი კიდევ გააგრძელა და იმასაც ამბობს, რომ კარიერის დამთავრება სწორედ „ბაიერნში" უნდა. ვფიქრობ, ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. რიბერი ამ სეზონში მართლაც გრანდიოზული იყო.

**- რობერტ ლევანდოვსკის „ბაიერნში" არ უშვებენ, „დორტმუნდს" კი მიუნხენიდან მარიო მანჯუკიჩისა და ჯერდან შაჩირის წაყვანა უნდა...**

- ჩვენ პატივი უნდა ვცეთ იმას, რომ რობერტს „ბორუსიასთან" კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს. რაც შეეხება მანჯუკიჩსა და შაჩირის - მათი გასხვისება ჩვენს გეგმებში არ შედის. მარიოს და ჯერდანს არც ლევანდოვსკიში გავცვლით, რადგან ორივე ფეხბურთელით ძალიან კმაყოფილები ვართ. მანჯუკიჩმა „უემბლიზე" უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა და ზოგადად მთელი სეზონი შესანიშნავად ჩაატარა. შაჩირი კი „ბაიერნის" მომავალია.

**- რაფინია „შალკეს" უნდაო...**

- რაფინიაც ჩვენთან რჩება. ვიცი, რომ გელზენკირხენელებს მისი გადაბირება ძალიან უნდათ, მაგრამ ჩვენც ძალიან გვინდა, რომ ყველა პოზიციაზე მინიმუმ ორი კარგი ფეხბურთელი გვყავდეს. ეს სეზონი სწორედ ასეთი ფილოსოფიის გამო იყო ასეთი წარმატებული და „ბაიერნი" ფილოსოფიის შეცვლას არ აპირებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ჭიდაობა. ევროპის პირველობა

# მრავალმხრივ სადებიუტო ტურნირი

## ამიერიდან მოჭიდავე გოგონებსაც ვუქომაგოთ


შმაგი თოდუა

18-23 ივნისს ჩერნოგორიის ქალაქი ბარი ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ისტორიაში პირველად, იქ ჩვენი გოგონებიც გამოვლენ – **გვანცა კარელიძე** (38) და **ანი ნაზარაშვილი** (49), რომლებსაც **ოთარ ტლაშაძე** უხელმძღვანელებს. მათ ამის უფლება ორიოდე კვირის წინათ ანტალიის საერთაშორისო ტურნირში გამოსვლის შემდეგ მოიპოვეს, სადაც ნაზარაშვილი უმეტოქოდ დარჩა, კარელიძემ კი ვერცხლი მოიპოვა, რაც პირველი ჯილდოა ქართველი მოჭიდავე ქალიშვილისა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში **ემზარ ბედინეიშვილმა ალექსანდრე კილაძე** (42, რუსთავი), **შმაგი თოდუა** (46, სამტრედია), **გიორგი პასიკაშვილი** (50, საგარეჯო), **რამაზ მალაკოევი** (54, ყვარელი), **რამაზ ზოიძე** (58, აჭარა), **ედუარდ ნიკოლიშვილი** (63), **ტარიელ გაფრინდაშვილი** (69, ორივე – თბილისი), **გიორგი გოირგობიანი** (76, ქუთაისი), **ვაჟა ომარაშვილი** (85) და **გივი მაჭარაშვილი** (100, ორივე – მცხეთა) შეიყვანა, ბერძენ-რომაელთა დამრიგებელმა **დავით ბედინაძემ** კი არჩევანი შემდეგ ფალავნებზე შეაჩერა: **თორნიკე ქელიძე** (42), **თემურ შავაძე** (46, ორივე – აჭარა), **დავით ჩხარტიშვილი** (50, ოზურგეთი), **გიორგი კურტანიძე** (54, გარდაბანი), **ლევან ქავჟარაძე** (58, ოზურგეთი), **მინდია ბოლქვაძე** (63, აჭარა), **გიორგი მელია** (69, სამტრედია), **ირაკლი თარხნიშვილი** (76, გარდაბანი), **გიგა ქოქოლაძე** (85, აჭარა) და **ზურაბ პატარიძე** (100, ქუთაისი). აღსანიშნავია, რომ ორივე ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის ეს სადებიუტო პირველობაა.

ჩვენი გუნდები ბორჯომში გადიან შეკრებას და – ნაყოფიერადაც, თუმცა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვეულებას არ უღალატა და მორიგი უცნაური, გაუმართლებელი გადაწყვეტილებით პრობლემები შეუქმნა სპორტსმენებს – აქამდე მათ იცოდნენ, რომ ეს შეჯიბრება ძველი წესებით ჩატარდებოდა, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ფილა-დან მოვიდა ცნობა, რომ ახალი წესებით გაიმართება! მართალია, 18 მაისს, როცა ფილამ წესებში შეტანილი ცვლილებები წარმოადგინა, კი მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა შეჯიბრება ამ სიახლეებით ჩატარდესო, მაგრამ მას მერე თვით მან საკუთარ კალენდარში შეტანილი „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირი უფროსებში და ანტალიაში გამართული ახალგაზრდების საერთაშორისო შეჯიბრება „ჩემპიონები“ ძველი წესებით გამართა. ცხადია, თუ აქამდე ეროვნულ ფედერაციებს კონკრეტულად არ აფრთხილებდა (მეტიც – როცა ესენი ეკითხებოდნენ, აიმედებდნენ, ძველი წესებით ჩატარდებაო), ჯობდა, მართლაც ადრინდელი რეალობა დაეტოვებინა, თორემ ერთი კვირით ადრე გაფრთხილება რა ბედენაა! თუმცა სხვა გზა არაა და ჩვენი მწვრთნელები ცდილობენ, შეჯიბრებამდე დარჩენილი მცირე დრო ადაპტაციისთვის მაქსიმალურად გამოიყენონ.

ბარიში პირველები „თავისუფლები“ მიფრინავენ - 16 ივნისს, რადგან ტურნირში პირველები ისინი ჩაებმებიან – 18 ივნისს 42, 50, 58, 69 და 85 კილოგრამების ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კი 19-ში გავლენ ლეიბზე. 20-21 გოგონების საასპარეზო რიცხვებია, თუმცა ქართული დუეტი პირველ დღეს იჭიდავებს. 20-შივე თბილისიდან გაფრინდებიან ჩვენი ბერძენ-რომაელები. მათი 10-ვე წონაც პირველ-მეორე დღეზე ზუსტად იმავე თანამიმდევრობითაა გადანაწილებული, როგორითაც „თავისუფლები“ გამოვლენ ანუ თავდაპირველად მედლებს 42, 50, 58, 69 და 85 კილოგრამების წარმომადგენლები გაითამაშებენ.

ირაკლი თავაძე

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

# ანტალიაში გამრუდებული სამიზნე

ანტალიაში დაიწყო მსოფლიოს თასის რიგით მეორე ეტაპი მშვილდოსნობაში, სადაც გუშინ საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები დასრულდა. მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრები იქ გადახალისებული შემადგენლობით გამოვიდა - ნაკრების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მეჯდრად მხოლოდ ახალგაზრდები წაიყვანეს და შედეგიც შესაბამისია, ქართველები ცხრილის ქვედა ნახევარში დამკვიდრდნენ.

მოლოდინისამებრ, ვაჟთა შორის ჩვენთან საუკეთესო **ლაშა ფხაკაძე**, თუმცა მისი მაჩვენებელი ვერ არის მთლად დამაიმედებელი - 1266 ქულა დააგროვა და 133 მონაწილეს შორის 69-ე ადგილზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ მას დაახლოებით ერთი თვის წინ, მასიში სლოვენიაში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ თასზე 1301 ქულა ჰქონდა, რითიც საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. ეს მაჩვენებელი ახლაც რომ გაემეორებინა, მე-40 ადგილამდე აიწევდა. ფხაკაძე ანტალიაში ყველაზე უკეთ ბოლო სერიაში გამოვიდა, 30-მეტრიან დისტანციაზე, სადაც 351 ქულა დააგროვა, რაც ამ სერიაში 33-ე შედეგი გამოდგა. 90-იანზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა - 297 ქულა, დანარჩენებში კი, შესაბამისად, 310 და 308 დააგროვა.

ვაჟებში ჩვენგან მეორე **ჯაბა მოსეშვილი** აღმოჩნდა - 1202 ქულა და 93-ე ადგილი, **არჩილ ფარსენაძე** კი 1180-ით 96-ეა. ესენიც გვარიანად ჩამორჩნენ თავის სლოვენიურ მაჩვენებელს, სადაც მოსეშვილს 1221 ქულა ჰქონდა, ფარსენაძეს - 1285, თუმცა ბათუმელი მსროლელი მაშინ ჭაბუკებში გამოვიდა, სადაც შედარებით მოკლე დისტანციებია. ვერ გეტყვით, რატომ გააუარესეს შედეგები ჩვენებმა - იარაღის პრობლემა, რამე ტექნიკური ხარვეზი თუ რა მოხდა. მართალია, წინა შეჯიბრება ახალგაზრდებისა და ჭაბუკების ტურნირი იყო, აქ კი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონები გამოდიან; ვითვალისწინებ ჩვენებურთა ასაკსაც - ლამის მამისტოლა ხალხთან უწევთ ჭიდილი, მაგრამ დისტანციები ერთი და იგივეა, თუ ფარსენაძეს არ ჩავთვლით.

მანდილოსნებში ყველაზე უკეთ **ცისალა ფუტკარაძემ** ისროლა - 1124 ქულა და 66-ე ადგილი 82 მონაწილეს შორის. **თეონა კუტალაძე** 1218-ით 68-ეზე გავიდა, **მედეა აბულაძე** კი 1166-ით 77-ეა. ამათაც გააუარესეს სლოვენიური მაჩვენებლები, თუმცა უნდა ითქვას, რომ იქ ფუტკარაძე და აბულაძე 17-წლამდელებში ასპარეზობდნენ. რატომღაც **აკაკი ლაკვეიშვილი** და **ანა დუმბაძე** საერთოდ არ გამოსულან ტურნირში.



შერეული წყვილი აჩჯერად ფხაკაძემ და ფუტკარაძემ შეადგინეს, რომლებსაც ჯამში 2490 ქულა დაუგროვდათ, ეს კი 25 მონაწილეს შორის 22-ე შედეგია. ამდენად, ისინი პლეი ოფში ანუ 16 საუკეთესოში ვერ გავიდნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ვაჟები 3648 ქულით 29-ს შორის 23-ეზე აღმოჩნდნენ და, ქალები კი 3608-ით მე-16 ადგილზე გავიდნენ და მხოლოდ ერთფეი მანდილოსნები ჩამოიტოვეს. ვაჟები პლეი ოფში ვერ გავიდნენ, ქალები კი 14 ივნისს მერვედფინალში საკვალიფიკაციო მომგებ კორეელებს შეხვდებიან.

დღეს პირადი პირველობის პლეი ოფში ფხაკაძე 1/48-ფინალში ბრაზილიელ **ბემარდო ოლივეირას** გაეჯიბრება, ფარსენაძე ჩინელ **შუაი ჭანს** შეხვდება, მოსეშვილი – **ხუან იგნასიო როდრიგესს**. კუტალაძე დღეს იმავე ეტაპზე ფრანგ **ნაომი ბრიანსს** გაეჯიბრება, ფუტკარაძე – მექსიკელ **მარიანა გარსიას**, აბულაძე – ბელარუს **ალენა ტოლკაჩს**.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# პირველი ჩემპიონი


მერი არაბიძე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველი ჩემპიონატი რაპიდში (სწრაფი ჭადრაკი). ხუთი ტურის შემდეგ 4,5 ქულით **ინგა ჭარხალაშვილი** მეწინავეობდა, მაგრამ გუშინ მან პოზიციები ვერ შეინარჩუნა. 9 შესაძლებლიდან 7 ქულით ოქროს მედალი **მერი არაბიძემ** მოიპოვა. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და მეორე-მეოთხე ადგილები ინგა ჭარხალაშვილმა, **ნინო ბაციაშვილმა** და **სოფიო გვეტაძემ** გაინაწილეს.

მანდილოსნები დღეს ბლიცში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ვაჟა დანელია

# ყველა, ჯობავას გარდა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერის - **ბაადურ ჯობავას** გარდა, ყველა უძლიერესი იასპარეზებს მამაკაცებს შორის საქართველოს 72-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც დღეს დაიწყება.

სხვადასხვა ქალაქის 12 წარმომადგენელი დაუპირისპირდება ერთმანეთს წრიული სისტემით. ესენი არიან: **მიხეილ მჭედლიშვილი** (2537), **ლევან ფანცულაია** (2567), **მერაბ გაგუნაშვილი** (2601), **კონსტანტინე შანავა** (2563), **დავით ზარქუა** (2441), **ლუკა პაიჭაძე** (2516), **დავით მაღალაშვილი** (2521), **დავით ლომსაძე** (2342), **ფრიდონ ყალაგაშვილი** (2171), **დავით ჯოჯუა** (2348), **გიგა ყუფარაძე** (2486) და **გაიოზ ნიგალიძე** (2456).

ტურნირის საპრიზო ფონდია 16.000 ლარი. ჩემპიონს 5000 ლარი გადაეცემა. მეორე-მეხუთეადგილოსნები, შესაბამისად, 4000, 3500, 2000 და 1500 ლარით დაჯილდოვდებიან.

პირველ ტურში ითამაშებენ: პაიჭაძე - ყუფარაძე, ფანცულაია - მჭედლიშვილი, ზარქუა - შანავა, გაგუნაშვილი - მაღალაშვილი, ლომსაძე - ჯოჯუა, ნიგალიძე - ყალაგაშვილი.

ვაჟა დანელია

ნიჩბოსნობა

# „თეთრ ტბაზე" – გენერალური რეპეტიცია


ბადრი ყაველაშვილი

საქართველოს კანოეს ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და თბილისის მერიის დაფინანსებით კუს ტბაზე დედაქალაქის ჩემპიონატი გაიმართა კაიაკსა (ბაიდარა) და კანოეში. სპრინტერულ დისტანციაზე (200 მ) სასპარეზოდ თავი მოიყარეს თბილისის, მცხეთის, დუშეთის, ქუთაისისა და ფოთის ნიჩბოსნებმა. ორ ასაკში 70-მდე ქალ-ვაჟი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ორთაბრძოლები დაძაბული და საინტერესო აღმოჩნდა. რამდენიმე სპორტსმენმა ევროკვალიფიკაციის შესაბამისი შედეგები აჩვენა. მაგალითად, ერთადგილიან კაიაკით 17 წლის **ბადრი ყაველაშვილმა** 200-მეტრიანი დისტანცია 0,33 წამში დაფარა, ეს მაშინ, როცა მორჩენილი კონტინენტის ახალგაზრდული პირველობის გამარჯვებულის შედეგია 0,39 წამი. ყაველაშვილი **ზაზა ნადირაძესთან** (კანოე, მცხეთა) და **თეონა შაბურიშვილთან** (კაიაკი, დუშეთი) ერთად 25-27 ივნისს პოლონურ პოზნანში 20-წლამდელთა ევროპის პირველობაზე იასპარეზებს. ზაზა ნადირაძემ მარშან ახლოს იყო ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებასთან — სალიცენზიო ტურნირზე მე-9 ადგილი დაიკავა და მიზნის აღსრულებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. კარგი სპორტსმენია თეონა შაბურიშვილიც, ოღონდ მას საერთაშორისო ტურნირებზე გამოსვლის გამოცდილება აკლია, თუმცა მიგვაჩნია, რომ ეგრომელ გოგონებს ტოლს არ დაუდებს.

*„პოზნანში გამგზავრებამდე 22-23 ივნისს გლდანში „თეთრ ტბაზე" კაიაკსა და კანოეში საქართველოს ღია ჩემპიონატს გავმართავთ. სასპარეზოდ სომხები და აზერბაიჯანელი სპორტსმენებიც მოვიწვიეთ, რომ მეტი კონკურენცია იყოს. „თეთრი ტბის" მფლობელ ნატალია კვანტალიანი ყოველმხრივ გვეხმარება. მისი დახმარებით 1000-მეტრიანი სამეჯიბრო ტრასა გავკეთდით, მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვიყენ შენობა, რომლის პირველ სართულზე ელინგს, საშხაპესა და გასახდელებს მოვაწყობთ, აქვე ჩამოვაყალიბებთ კანოეს ფედერაციის სასპორტო კლუბ „თეთრ ტბას", რომელსაც ქალბატონი ნატალია ჩაუდგება სათავეში. თბილისის ღია პირველობისთვის დედაქალაქელ ნიჩბოსნებს მან შეუძინა ფორმები და ევროპის პირველობაზე გასამგზავრებლად ახალგაზრდა სპორტსმენებსაც ის შემოსავს. ზრუნვის პასუხად, იმედია, ჩვენი ნიჩბოსნები მაღალი შედეგებით გაგვახარებენ",* - გვითხრა საქართველოს კანოეს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **ბორის მხეიძემ**.

**[illegible]**

**უფროსები**

**კაიაკი (ბაიდარა). ვაჟები. ერთადგილიანი.** 1. ბადრი ყაველაშვილი (თბილისი), 2. გიორგი მარტოლეკი (მცხეთა), 3. ნიკა ბოდნაველი (დუშეთი). **ორადგილიანი.** 1. ნიკოლოზ მალაშვილიძე, ზაურ ბერიძე (ქუთაისი), 2. ბადრი ყაველაშვილი, ლევან თხილაიშვილი (თბილისი), 3. გიორგი მარტოლეკი, ლევან სოსელია (მცხეთა). **გოგონები. ერთადგილიანი.** 1. თეონა შაბურიშვილი (დუშეთი), 2. ანა გვილავა (მცხეთა), 3. ელზა სირბილაძე (ქუთაისი). **ორადგილიანი.** 1. თეონა შაბურიშვილი, მარიამ ყარსიმაშვილი (დუშეთი), 2. ანა გვილავა, დალი ზვიადაძე (მცხეთა).

**კანოე. ერთადგილიანი.** 1. ზაზა ნადირაძე (მცხეთა), 2. გიორგი მაბურიშვილი (დუშეთი), 3. ვასილ პეტრიაშვილი (მცხეთა).

**1997–2000 წლებში დაბადებულნი**

**კანოე. ერთადგილიანი.** 1. მურმან მალანია, 2. ბორის კაკულია (ორივე - ფოთი), 3. ლადო ტატუნაშვილი (თბილისი).

**კაიაკი (ბაიდარა). ერთადგილიანი.** 1. ვალერი რიჟველაშვილი (მცხეთა), 2. დავით ტროგინიძე (ფოთი), 3. დიმიტრი ბადაჩკორი (ფოთი). **ორადგილიანი.** 1. გიორგი ოჩხაიძე, ლაშა მჭედლიძე (მცხეთა), 2. ლევან თხილაიშვილი (თბილისი), დიმიტრი ბადაჩკორი (ფოთი), 3. ნიკა პაიჭაძე, ლევან ტატუნაშვილი (თბილისი).

**გოგონები. ერთადგილიანი.** 1. რუსუდან ჯიქურიაული (დუშეთი), 2. ქრისტინა მგელაძე (ფოთი), 3. მარიამ რომელაშვილი (მცხეთა). **ორადგილიანი.** 1. ნინო ჯიქურიაული, ანა ჯიქურიაული (დუშეთი), 2. მარიამ რომელაშვილი, მარიკა სიდიანი (მცხეთა), 3. სალომე ჯიქურიაული, ნინო ხოსროშვილი (დუშეთი).

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

## იმერეთი. ფარიკაობა



# თბილისელთა ტრიუმფით

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გალაქტიონ ჩიქოვანის სახელობის მეცხრე საერთაშორისო ტურნირს ფარიკაობაში 20-წლამდელთა შორის ქუთაისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა. საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გუნდებთან ერთად შეჯიბრებაში სომეხმა მოფარიკავეებმაც იასპარეზეს. მოწვეული იყო თურქეთის გუნდიც, მაგრამ სტამბოლში განვითარებული მოვლენების გამო მათი ჩამოსვლა ვერ მოახერხდა. ტურნირი (მთავარი მსაჯი **მერაბ ბაზაძე**) თბილისელი მოფარიკავეების ტრიუმფით წარიმართა. მათ 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სამდღიანი პაექრობებიდან განსაკუთრებით საინტერესო დაშნაში გოგონათა ფინალი იყო. ქუთაისელი **მარიამ ზაკრიჩენკო** ემა პოგოსიანს (სომხეთი) შეხვედრის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 13:11 უგებდა, მაგრამ დარჩენილ დროში სტუმარმა აგრესიულად შეუტია და გამარჯვებაც მას დარჩა.

გამარჯვებულები და მეორე-მესამე ადგილოსნები ქუთაისის მერიის სპორტის სამსახურმა პრიზებით დააჯილდოვა.

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები. ხმალი:** 1. თემურ ბარათაშვილი (თბილისი), 2. მიხეილ სულაბერიძე, 3. გივი მერკვილაძე (ორივე - ქუთაისი), ლაშა ლოლუა (აფხაზეთი); **რაპირა.** 1.ლუკა ღაღანიძე (თბილისი), 2. ომიკ დანელიანი, 3. მაიკლ ოგანესიანი (ორივე - სომხეთი), გიორგი გელაშვილი (თბილისი); **დაშნა.** 1. მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 2. ირაკლი ამბროლაძე, 3. ანრი სიმსივე (ორივე - ქუთაისი), ედუარდ ნოვიკიანი (სომხეთი).

**გოგონები. ხმალი** : 1. ანა აფრასიძე, 2. ელენე ნანობაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ანა სინატაშვილი, ქრისტინე ნოზაძე (ორივე - ქუთაისი); **რაპირა:** 1. ნუნუ იაგორაშვილი, 2. მარიამ ცუხიშვილი, 3.ანა მელუა (სამივე - თბილისი), ალბინა ატოიანი (სომხეთი); **დაშნა:** 1. ემა პოგოსიანი (სომხეთი), 2. მარიამ ზაკრიჩენკო, 3. ქრისტინე მიქაძე, მარიამ კეკუტია (სამივე - ქუთაისი).

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

## შიდა ქართლი. სამბო

# სამბისტებმა საუკეთესოები გაარკვიეს

ქარელის ახლახან გახსნილი ჭიდაობის დარბაზი 9 ივნისს ვალერი დაბრუნდაშვილის სახელობის შიდა ქართლის რეგიონულ პირველობას მასპინძლობდა სამბოში 1997 - 1998 წწ დაბადებულთა შორის. განსაკუთრებით კარგად ადგილობრივი სამბისტები გამოვიდნენ. სამწუხაროდ, შეჯიბრებაზე კასპის გუნდი არ ჩამოსულა. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთ წონაში კვარცხლბეკის პრიზიორთა საფეხური ცარიელი დარჩა. თითოეული წონითი კატეგორიის ის საუკეთესო სამეულები, რომლებიც კვარცხლბეკზე დადგნენ - მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პირველობაში.

**კვარცხლბეკი**

**42 კგ.** 1. დავით ჩაგელიშვილი (ქარელი), 2. გიგა ბუზიაშვილი, 3. გიორგი კუთხაშვილი (ორივე – გორი).

**46** 1. გიორგი მეტივიშვილი (ხაშური), 2. ლევან გამრეკელაშვილი, 3. შალვა ოსაძე, ვაჟა მარჯანიძე (სამივე – ქარელი).

**50 კგ.** 1. შალვა გაზაშვილი, 2. ბექა ციცქიშვილი, 3. თორნიკე ტიტვინიძე, სერგო კობერიძე (ოთხივე – ქარელი).

**55 კგ.** 1. სერგო მარგიევი, 2. ნიკა კაკაშვილი, 3. ალეკო ღარიბაშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი (ოთხივე – ქარელი).

**60 კგ.** 1. გიგა ელიაშვილი, 2. გიორგი ჯახველაძე, 3. შალვა თურმანიძე (სამივე – ქარელი), ირაკლი გოგატიშვილი (გორი).

**66 კგ.** 1. დავით კოპაძე, 2. დიმიტრი ბზიშვილი (ოროვე – გორი), 3. ბექა ხარშილაძე და იმედა მამულაშვილი (ორივე – ხაშური).

**72 კგ.** 1. გიორგი მულაძე, 2. გაგა ქიტიაშვილი (ორივე ქარელი), 3. გიორგი მცურავიშვილი (გორი).

**78 კგ.** 1. ნიკა სიდამონიძე (ქარელი), 2. ნიკა ჭილლაძე (გორი).

**84 კგ.** დავით იმერლიშვილი, 2. გიორგი პოლიტაშვილი (ორივე - ქარელი).

**ვასილ ბალახაძე**
ქარელიდან

## თბილისი. მძლეოსნობა

# ეროვნულის რჩეულნი

### საქართველოს ჩემპიონატმა საევროპო გუნდი დააკომპლექტა



**დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელოს" გუშინდელ ნომერში**

**ტექნიკური შედეგები**

**ქალები. 100 მ.** 1. დიანა ხუბესერიანი (სომხეთი, 12,30), 2. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12,89), 3. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 12,97). **100 მ. თარჯებით.** 1. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 14,75), 2. მარი გაგნიძე (ვანი, 15,68). **200 მ.** 1. მარიამ ბედუკაძე (26,4), 2. ალექსანდრა მშვიდობაძე (ორივე - თბილისი, 26,6), 3. სალომე სირაძე (ქუთაისი, 26,7). **400 მ.** 1. მარი მარტინენკო (59,60), 2. გაიანე უსტიანი (ორივე - ახალციხე, 59,62), 3. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 1.00,87). **400 მ. თარჯებით.** 1. თეა ფაცურია (ფოთი, 1.09,3), 2. ელენე ხუსკივაძე (1.10,2), 3. სალომე ჩაბაკაური (ორივე - თბილისი, 1.12,7). **800 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 2.14,9), 2. სოფო წულუკიძე (თბილისი, 2.27,7), 3. ნინა პაპიკიანი (ახალციხე, 2.36,3). **1500 მ.** 1. ნინა პაპიკიანი (5.34,13), 2. მარინე სირაკანიანი (ორივე - ახალციხე, 5.36,82), 3. მარი სეროფიანი (გორი, 6.04,38). **3000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 10.26,9), 2. მარინა სირაკანიანი (ახალციხე, 12.09,4), 3. მარი სეროფიანი (გორი, 12.71,1). **5000 მ.** 1. გიული დეკანაძე (ვანი, 18.35,74). **სიმაღლე.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 150), 2. ქრისტინა ზოლოტუხინა (150), 3. ნინო კობაიძე (ორივე - თბილისი, 140). **სამხტომი.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 12,23), 2. სატენიკ ჰოვანესიანი (სომხეთი, 12,18). **სიგრძე.** 1. სატენიკ ჰოვანესიანი (სომხეთი, 6,09), 2. მაიკო გოგოლაძე (თბილისი, 6,09), 3. მარი ძაგნიძე (ვანი, 5,99). **ჭოკი.** 1. დიანა ზალატუხინა (თბილისი, 2,40). **ბირთვი.** 1. სალომე რიგიშვილი (თიანეთი, 15,27), 2. სოფო შათირიშვილი (ოზურგეთი, 10,17), 3. ნათია ნაჭყებია (ფოთი, 9,80). **ბადრო.** 1. სალომე რიგიშვილი (55,70), 2. ნათია უშიკიშვილი (ორივე - თიანეთი, 38,92), 3. ნანი პაკელიანი (ოზურგეთი, 34,19). **შუბი.** 1. ლალი კალაძე (თბილისი, 33,32), 2. შუშანიკ ვოსკანიანი (ახალციხე, 28,01), 3. თეა ფაცურია (ფოთი, 27,75). **4X100 მ.** 1. თბილისი (50,68), 2. ვანი (53,03). **4X400 მ.** 1. ახალციხე (4.17,8), 2. თბილისი (4.22,1).

**კაცები. 100 მ.** 1. ბაჩანა ხორავა (ჩხოროწყუ-ზუგდიდი, 10,74), 2. ირაკლი აშორდია (თბილისი-ზუგდიდი, 10,79), 3. ბექა ასლანიშვილი (თბილისი, 10,96). **110 მ. თარჯებით.** 1. ვაჟა ძაგანია (ფოთი, 17,06), 2. ლაშა ვაშალომიძე (აჭარა, 22,04). **200 მ.** 1. სოსო მარუქაშვილი (თბილისი, 22,0), 2. ნიკა კარტავცევი (თბილისი-ოზურგეთი, 22,1), 3. ბექა ასლანიშვილი (თბილისი, 22,2). **400 მ.** 1. ნიკა კარტავცევი (48,30), 2. ენდრიკ ზილბერშტეინი (ახალციხე, 48,53), 3. სოსო მარუხაშვილი (თბილისი, 48,62). **400 მ. თარჯებით.** 1. დენის ჟვანია (54,5), 2. ლევან ფიფია (ორივე - ზუგდიდი, 58,4), 3. ვაჟა ძაგანია (ფოთი, 1.00,2). **800 მ.** 1. ანდრანიკ მატინიანი (ახალციხე, 1.52,7), 2. ტიგრან მიკირტიჩიანი (1.57,5), 3. არმენ ჰოვანესიანი (ორივე - სომხეთი, 2.00,6). **1500 მ.** 1. თენგიზ ლვინჯილია (ზუგდიდი, 3.58,19), 2. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 4.12,05), 3. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 4.13,0). **3000 მ.** 1. დავით ხარაზიშვილი (თბილისი, 8.40,7), 2. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 8.49,5), 3. თენგიზ ლვინჯილია (ზუგდიდი, 8.54,2). **3000 მ. ნინაღობებით.** 1. ჯეირან ხოფერია (ფოთი, 9.48,4), 2. თორნიკე გიორგაძე (ქუთაისი, 11.24,0), 3. გიორგი გულუა (ჩხოროწყუ, 13.49,2). **5000 მ.** 1. გიგლა ზილბერშტეინი (ახალციხე, 15.46,39), 2. გიორგი შეკრელიძე (დუშეთი, 16.25,70), 3. გელა ტაბატაძე (ახალციხე, 17.48,82). **სიმაღლე.** 1. ზურა გოგოჭური (2.24), 2. სანდრო ჟამერაშვილი (1.75), 3. ირაკლი კენჭუაშვილი (სამივე - თბილისი, 1.70). **სამხტომი.** 1. ლაშა თორლვაძე (ახმეტა, 15,02), 2. გოგა მაღლაკელიძე (14,62), 3. საბა კურდღელია (ორივე - ქუთაისი, 13,47). **სიგრძე.** 1. ვარდენ პაჰლევანიანი (სომხეთი, 7,77), 2. გიორგი გურეშიძე (7,43), 3. ბოლესლავ სხირტლაძე (ორივე - თბილისი, 7,29). **ჭოკი.** 1. გიორგი გურეშიძე (3,80), 2. ლაშა ქარქუსაშვილი (2,60), 3. საბა სოსელია (სამივე - თბილისი, 2,40). **ბირთვი.** 1. სურენ ხაჩატურიანი (სომხეთი, 14,68), 2. დავით შონია (ფოთი, 12,43), 3. გოგა ჭიხვარია (ოზურგეთი-თბილისი, 12,21). **ურო.** 1. გოგა ჭიხვარია (53,30), 2. ბესიკ ხაზალია (41,70), 3. გურამ სამხარაძე (ორივე - თბილისი, 41,07). **ბადრო.** 1. ილია მარტყოფლიშვილი (სიღნაღი, 51,10), 2. სურენ ხაჩატურიანი (სომხეთი, 50,50), 3. კობა ტატულაშვილი (თბილისი, 38,67). **შუბი.** 1. როსტომ ჭინჭარაული (დუშეთი, 66,72), 2. ზურაბ რუსეიშვილი (ოზურგეთი, 45,05), 3. ვანო კობაიძე (ყაზბეგი, 43,80). **4X100 მ.** 1. ზუგდიდი (44,18), 2. ოზურგეთი (46,69), 3. აჭარა (46,86). **4X400 მ.** 1. თბილისი (3.28,2), 2. ახალციხე (3.34,2), 3. ზუგდიდი (3.37,0).

**გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისი (424), 2. ახალციხე (407), 3. ქუთაისი (255). **II ჯგუფი.** 1. ოზურგეთი (181), 2. თიანეთი (83), 3. მარტვილი (83).

ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტდა ნაკრები: **დავით ილარიანი, როსტომ ჭინჭარაული, ლალი კალაძე, ზურაბ გოგოჭური, მაიკო გოგოლაძე, ლაშა თორლვაიძე, თათია პაიკიძე, გიორგი გურეშიძე, სალომე რიგიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი, გიორგი ჭიხვარია, სალომე სირაძე, სოფი ჩალაშვილი, ირაკლი აშორტია, ბაჩანა ხორავა, დენის ჟვანია, ლუდვიგ ზილბერშტეინი, ნიკა კარტავცევი, იოსებ მარუქაშვილი, გაიანე უსტიანი, ანდრანიკ მატინიანი, თენგიზ ლვინჯილია, თეა ფაცურია, დავით ხარაზიშვილი, ჯეირან ხოფერია, გიული დეკანაძე, გიგლა ზილბერშტეინი.**

**ვაჟა დანელია**

## მცხეთა-მთიანეთი. ქართული ჭიდაობა

# საჭიდაო სახლი მუხრანში

ვახუშტის მიხედვით მუხრანის „ქვეყანაში" 56 სოფელი შედიოდა. მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მუხნარი-მუხრანი უკვე კონკრეტულ დასახლება, კერძოდ ძველ სოფელ შიოსუბანს ენოდა.

სამუხრანბატონოში, ანუ მცხეთის უმშვენიერეს სოფელ მუხრანში, ადრეც და დღესაც იყვნენ ქართული ჭიდაობის ნამდვილი ფალავნები. მეოცე საუკუნის დასაწყისში, მაგალითად, ბრწყინვალე მოჭიდავის სახელი ჰქონდა მუხრანელ „დრიგიგანს" ანუ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე გრიგოლ **ჯიქიძე-მერაბიშვილს** (1893-1918).

შარშან ნოემბერში კი მუხრანელმა **გიორგი ბაინდუროვმა** (90 კგ) მინსკში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა სამბოში, რომლის მწვრთნელები არიან მუხრანელი მამა-შვილი - **ვასილ და დავით ლაზრიშვილები.**

უწყვეტად რომ იწრთობოდნენ საქართველოს ამ სოფელში მოჭიდავე-ფალავნები, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ" დააპროექტა და დააფინანსა კიდეც საკმაოდ კარგი საზაფხულო საჭიდაო „სახლები". ერთ-ერთი პირველი ასეთი საჩუქარი მუხრანშიც აიგო, იქ, სადაც სოფლის პირველი საჯარო სკოლის და აფრიკელთათვის თავდადებული მებრძოლის, ქართველი დიდგვაროვნის **ნიკო ბაგრატიონის** (ბურის) ეზო-კარია.

იმრავლოს!

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო



მუხრანის ახალი საჭიდაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის თასი

# მთავარი ტესტში მოგებულია

11.06. თბილისი.
ავჭალა.
მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 27 |
| ურუგვაი | 3 |

**საქართველო**

(15-9) ნიკლაური, მაჩხანელი, ზიბზიბაძე (კაჭარავა 64), შარიქაძე, თოდუა, ხმალაძე (მალაღურაძე 77), ბეგაძე (ხუციშვილი 41). (1-8) მირცხულავა (ჩილაჩავა 48), ბელქანია (ს. მაისურაძე 57), ზირაქაშვილი, ვ. მაისურაძე, ჩხიაძე (ბერიშვილი 74), სუთიაშვილი (ნემსაძე 32), კოლელიშვილი, ბინაძე.
ლელო: თოდუა, ზიბზიბაძე, ნემსაძე.
3 გარდასახვა: ნიკლაური
2 საჯარიმო: ნიკლაური.

**ურუგვაი**

(15-9) ეჩევერი, გონსალესი (ხიბერანუ 41), პრადა, რომანი, ლეივასი, დურანი (კასტიჯო 41, ტასისტრო 56, ს.საგარიო 77), ალვანელი. (1-8) კორალი (ხიმენესი 52), კლაპენვახი (ავალო 52), მ. საგარიო (დე მულა 52), ესპიგა, ლამანა, ს.საგარიო (დე ფრეიტასი 41), ვასკოუ, გამინარა.
საჯარიმო: ალვანელი
მსაჯი: ვლად იორდანესკუ (რუმინეთი).

*„პირველი ტაიმით კმაყოფილი ვარ. გუნდმა კარგად ითამაშა, შეტევების ორგანიზება შესანიშნავად შევძელით. არა უშავდა მეორე ტაიმის პირველ ნაწილს. მატჩის ბოლო 15 წუთში კონცენტრაცია დავკარგეთ. მინდოდა თამაში დაგველაგებინა, ფაზები აგვეკინძა. არ გამოგვივიდა. არადა აუცილებლად უნდა გაგვეტანა მეოთხე ლელო, რათა პრემიალური ქულა აგველო და ტურნირის მოსაგებად უფრო ხელსაყრელი პოზიცია დაგვეკავებინა"* - თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა.**

„თბილისის თასის" გათამაშების მეორე ტურში საქართველოს ნაკრებმა ურუგვაის ეროვნულ გუნდს 27:3 მოუგო და ტურნირში გამარჯვების შანსი შეინარჩუნა. „ბორჯღალოსნებისა" და „ლოს ტეროსის" დაპირისპირების შედეგი, ცხადია, მსოფლიოს კლასიფიკაციაზე გავლენას იქონიებდა და, ამიტომ, მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

მზარდ ირლანდიასთან დასანანი მარცხის შემდეგ, ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე ცვლილება განხორციელდა, მაქსიმალურად მობილიზებული და საბრძოლველად შემართული გამოვიდა. აშკარად ჩანდა გუნდის თითოეული წევრის განწყობა. ურუგვაის ნაკრებთან დამარცხება არაფრით არ შეიძლებოდა.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს პირველი ტაიმის შეფასებაში. თუმცა ვერაფრით ვერ ვიტყვით, რომ ჩვენს გუნდს თამაშში ხარვეზები არ ჰქონდა. ზედ ჩათვლის მოედანთან მისულებს ბურთი ორჯერ გაუვარდათ ხელიდან. რამდენიმე შეტევა კი, იმავე მიზეზით, ურუგვაელთა 22-მეტრიანი ზონის ხაზთან ჩაიშალა.

რომ არა ეს, ერთი შეხედვით ელემენტარული შეცდომები, ცხადია, პირველი ტაიმის და მატჩის საბოლოო ანგარიშშიც სხვაობა ბევრად მეტი იქნებოდა. ერთის თქმა თამამად შეიძლება. მილტონ ჰეიგი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ აღწევს დასახულ მიზანს. გუნდი ხელდახელ ათამაშდა და თუ ამას მორკინალების კიდევ უფრო გააქტიურება მოჰყვება, იმედია, ჩვენი ნაკრების ახალზელანდიელი თავკაცის „საოცნებო გუნდსაც" მივიღებთ.

ურუგვაელებთან მატჩი, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენმა მორაგბეებმა აქტიურად დაიწყეს და უკვე მეორე წუთზე ანგარიში გახსნეს. სტუმრებმა რაკში თამაშისას წესი დაარღვიეს და საჯარიმო 45 მეტრიდან „ბორჯღალოსნების" ფულბეკმა **ბექა ნიკლაურმა** ზუსტად დაარტყა - 3:0. აქვე შევნიშნავთ, რომ ირლანდიელებთან მატჩისგან განსხვავებით, ამ შეხვედრაში ნიკლაურის ყველა დარტყმა კარის აღებით დასრულდა.

პირველი ლელო საქართველოს ნაკრებმა მატჩის მეათე წუთზე გაიტანა შესანიშნავი მრავალფაზიანი შეტევით, რომლის დროსაც იერიშის მიმართულება „ბორჯღალოსნებმა" ორჯერ შეცვალეს და მასში მონაწილეობა თითქმის მთელმა გუნდმა მიიღო. დერეფანი მეტოქის ჩათვლის მოედნიდან 47 მეტრში მოვიგეთ. პირველი დარტყმა მესამეხაზელმა **ვიქტორ კოლელიშვილმა** განახორციელა, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. მერე ცხრა ნომერმა **გიორგი ბეგაძემ** შეტევის მიმართულება შეცვალა და მარცხნივ, მოკლე ფრთაზე ბურთი ნიკლაურს გაატანა. მან რამდენიმე მეტრით წინ წაიწია და შებოჭეს.


ბურთით ბექა ნიკლაური

ბეგაძემ ახლა ბურთი მარჯვნივ ჩაათამაშა, ჯერ პირველხაზელმა **დავით ზირაქაშვილმა** შეუტია, მერე მეორეხაზელმა **ვახტანგ მაისურაძემ** სცადა მეტოქის დაცვის ხაზის გაჭრა. ამის შემდეგ იერიშში მგეზავი **ლაშა ხმალაძეც** ჩაერთო, რომელმაც კიდევ უფრო მარჯვნივ, შუამარბ **მერაბ შარიქაძეს** გადააწოდა. კიდესკენ სამი „ბორჯღალოსანი" ერთი ურუგვაელის წინააღმდეგ იყო დარჩენილი. შარიქაძემ ეს დროულად შენიშნა, შეტევაში მეწყვილე **თედო ზიბზიბაძე** ჩართო, რომელმაც ბურთი უკეთეს პოზიციაზე მყოფ გარემარბ **ალექსანდრე თოდუას** გაატანა, რომელსაც ლელოს გატანა არ გასჭირვებია. ნიკლაურმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 10:0.

მომდევნო ათწუთიან მონაკვეთში უპირატესობას ვერავინ ფლობდა. ჩვენი მგეზავი და მეტოქის უკანახაზელები აზრაგანების დარტყმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამასთან, ისევ იჩინა თავი საქართველოს ნაკრების სენმა — „ბორჯღალოსნები" მეტოქეზე ხშირად არღვევდნენ თამაშის წესებს. ურუგვაელებმა პირველ 20 წუთში სამი საჯარიმო დაარტყეს და სამივე გააცუდეს.

პირველი ტაიმის შუაწელიდან მოყოლებული საქართველოს ნაკრების უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. მეტიც, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში სტუმრებს ერთხელაც არ განუხორციელებიათ სალელოვე შეტევა, ჩვენი გუნდის ჩათვლის მოედანს არ მიახლოებიან.

მეორე ლელო პირველზე არანაკლებ ეფექტური გამოვიდა. 35-ე წუთზე საკუთარი დერეფანი ცენტრთან ახლოს **გიორგი ჩხაიძემ** სუფთად მოიგო და მოლი შევკარით. ხუთიოდე მეტრი გავიარეთ და მერე ბეგაძემ ბურთი მარცხნივ, გრძელ ფრთაზე გაიტანა. შუამარბმა მერაბ შარიქაძემ ხაზი გაჭრა, 22-მეტრიან ზონაში შეაღწია. მის შეჩერებას მეტოქის სამი მოწინააღმდეგე ცდილობდა, თუმცა ფეხზე მყარად მდგარი ქართველი მორაგბის წაქცევა ვერაფრით შეძლეს. შარიქაძემ ბრძოლაში 15 მეტრი გაიარა და ბოლო მომენტში, როცა თითქოს მისი ძირს დაცემა მოხერხდა, მან იქვე მიმყოლ თედო ზიბზიბაძეს ბურთი შესანიშნავად ამოუგდო. თედოს ხელი ვერავინ შეუშალა. ნიკლაურმა თანაგუნდელებს გარჯა დაუფასა - 17:0.

ანგარიშის გაზრდის შანსი დარჩენილ დროში რამდენჯერმე გვქონდა, თუმცა მეტოქის ლელოში მეტჯერ ვეღარ შევაღწიეთ და პირველი ტაიმიც ასე დასრულდა.

შესვენების შემდეგ, მეორე ნახევარი, პირველის იდენტურად დაიწყო. „ბორჯღალოსნებმა" ორ წუთში საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს და ნიკლაურმა ანგარიშში სხვაობა ოცამდე გაზარდა - 20:0. აღსანიშნავია, რომ ჰეიგმა მეორე ტაიმში მოედანზე ახალგაზრდა ცხრა ნომერი **ვაჟა ხუციშვილი** გამოუშვა, რომელმაც დაკისრებულ მოვალეობას თავი შესანიშნავად გაართვა.

მესამე ლელო საქართველოს ნაკრებმა ძველებურ სტილში, 55-ე წუთზე გაიტანა. საჯარიმოს დარტყმის უფლება „ბორჯღალოსნებმა" მარჯვენა ფრთაზე მოიპოვეს. ხმალაძემ ბურთი აუტში გადაიტანა. ხუთმეტრიანი დერეფნიდან ჩვენმა მორკინალებმა მოლი ააგორეს და მეტოქე ლელოში შეათრიეს. ბოლოს ბურთით ხელში შეცვლაზე შესული მეორეხაზელი **გიორგი ნემსაძე** იყო. ნიკლაურმა ესეც გარდასახა - 27:0.

მეოთხე ლელოს გასატანად, რომელიც ერთ პრემიალურ ქულას გვარგუნებდა, ჩვენს ეროვნულ გუნდს ძალ-ღონე არ დაუშურებია, თუმცა მეტოქის ჩათვლის მოედანში შეღწევა ვერაფრით მოახერხეს. ურუგვაელებმა სანუგეშოდ 57-ე წუთზე ერთი საჯარიმო გაიტანეს - 3:27. ერთი ხანობა ჩვენი ლელოს მისადგომებთანაც იბრძოლეს, ქართველების კედელივით დაცვას ვერაფერი დააკლეს.

## მატჩის შემდეგ

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„ის, რომ, მეორე ტაიმი პირველზე უარესი იყო, ფიზმომზადების არცთუ კარგი დონის ბრალია. მოთამაშეები როცა იღლებიან, კონცენტრაციას კარგავენ და თამაში აღარ გამოსდით. ამიტომაც არის ხშირი ტექნიკური წუნი. ვფიქრობ, საერთო ფიზიკურ მომზადებაზე სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ.*

*არგენტინაში ორ ჯგუფად გავემგზავრებით. პირველ ჯგუფში ათი მორაგბე იქნება. ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე, ლევან დათუნაშვილი - ესენი „თბილისის თასის" გათამაშების განაცხადში არ არიან. დანარჩენ შვიდს მოგვიანებით შევარჩევთ. ვნახავთ, ვის რა ხარისხის ტრავმა აწუხებს და ამის მიხედვით გადავწყვეტთ"*

**ირაკლი მაჩხანელი,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„პირველი მატჩის წაგების შემდეგ ფსიქოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება ადვილი არ იყო. მით უფრო, როცა ვიდეოფირი ვნახეთ, აშკარად ჩანდა, რომ ირლანდიის ნაკრებთან არ უნდა წაგვეგო. ამ დროს რომ გამოხვიდე და ითამაშო, ძალიან ძნელია. თანაც ურუგვაის ნაკრები კარგი გუნდია. მიუხედავად ამისა, შევძელით და კარგად ვითამაშეთ. შერკინებისა და უკანა ხაზის სინთეზურად შერწყმა მოვახერხეთ. ამინდის გამო, ორჯერ შევცვალეთ ტაქტიკა და ორივეჯერ შესანიშნავად გავისარჯეთ".*

**ფაბიო მანიო,** ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:

*„პირველ მატჩზე ცუდად არ გვითამაშია. უბრალოდ, ზოგიერთმა მოთამაშემ ვერ შეძლო ფსიქოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, სხვებიც აიყოლიეს და თამაში მთელმა გუნდმა ჩააგდო.*

*საქართველოს ნაკრები ძალიან კარგი გუნდია. პირველ ტაიმში ბევრად უკეთ გამოიყურებოდა. გამოვყოფდი მგეზავ ლაშა ხმალაძეს, რომელიც თამაშს შესანიშნავად აკონტროლებდა და ფეხით ბრწყინვალედ ითამაშა. ერთი სიტყვით, ირლანდიასთან გამართულ მატჩთან შედარებით, თქვენი გუნდი დღეს ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა".*



მატჩის საუკეთესო მოთამაშე ვიქტორ კოლელიშვილი

11.06. თბილისი.
ავჭალა.
მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამხ. აფრიკა | 19 |
| ირლანდია | 8 |

**ს. აფრიკა**

(15-9) ფან ვეიკი, ბოკი (პრეტორიუსი 74), ლოუ, ენგელბერხტი (ვატერმეიერი 78), სპეკმანი, ბესუიდენჰაუტი, ნტანდა. (1-8) კოხი, ჰერნე, ესპახი (დრეიერი 74), ფან დერ ვალტი, სნეიმანი (მტიანადა 79), შაბანგუ, კასიმი, იორდანი (ბოუვერი 56).
ლელო: ბოკი.
4 საჯარიმო: ბესუიდენჰაუტი.
გარდასახვა: ბესუიდენჰაუტი.

**ირლანდია**

(15-9) ქარნი, მორისი, მექინი (გრიფინი 80), რიდი, ოჰალორანი (ალენი 48), ქითლი, ქუნი (ჰინი 56). (1-8) მაკგრასი (ლუთონი 48), ენეთი (ჰერინგი 48), ბენთი, ფოლი (ოქალენი 56), ნეგლი, რადოქი, მერფი, დიაქი.
ლელო: ალენი.
საჯარიმო: ქითლია
მსაჯი: ნიკ ბრაიანთი (ახალი ზელანდია)

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამხ. აფრიკა | 2 | 2 | 0 | 0 | +39 | 9 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | +19 | 5 |
| 3. ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | -6 | 4 |
| 4. ურუგვაი | 2 | 0 | 0 | 2 | -52 | 0 |

**16 ივნისი**

**III ტური**

საქართველო-სამხრეთი აფრიკა
ურუგვაი-ირლანდია

**ბესიკ ჯანგავაძე**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*

კალათბურთი. ქართველი იტალიაში

# სქუდეტოს გზა რომიდან დაიწყო

## სანიკიძემ პირველი ფინალი მოიგო

იტალიაში ფინალური სერია გუშინ გაიხსნა. ერთმანეთის პირისპირ რომში ადგილობრივი „რომა“ და „მონტეპასკი“ დაუპირისპირდნენ. რეგულარულ ეტაპზე დედაქალაქელებმა უკეთესი პოზიცია დაიკავეს და ფინალშიც მოედნის უპირატესობა ჰქონდათ. თუმცა სიენელებმა ეს ფორა პირველივე შეხვედრაში გაუბათილეს - რომში 85:76 მოიგეს.

„მონტეპასკიმ“ პირველივე მეოთხედში უჩვენა, რომ არაფრის დამთმობი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები **ვიქტორ სანიკიძის** გუნდს დიდი სხვაობით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ, სიენელებმა ბოლო წუთებზე მაინც მოახერხეს მეტოქის გატეხვა და 1:0 დაწინაურდნენ.

გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტი **დევიდ მოსმა** ჩააგდო (20 ქულა). მას ოდნავ ჩამორჩნენ თანაგუნდელები **დანიელ ჰაკეტი** (18) და **ბობი ბრაუნი** (17). სანიკიძემ 17 წუთი ითამაშა და მატჩი 2 ქულითა და 5 მოხსნით დაასრულა.

სერიის (ოთხ მოგებამდე) მეორე შეხვედრა 13 ივნისს გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი. ქალთა ლიგის თასი

# ვეჯინი ელის

1/2-ფინალი

11 ივნისი. რუსთავი

ვეჯინი-ახმეტა 74:59

26:10, 11:11, 23:14, 14:24

**ვეჯინი:** მუმლაძე, ფუტკარაძე (13ქ), მაციკაძე (2ქ), ბაციკაძე (8ქ, 19მ), შალამბერიძე (3ქ), ურუშაძე (6ქ, 5მ, 3ჩ), ციკორიძე (6ქ, 8მ), საჯაია (15ქ, 14მ, 4პ, 2დ), ჩირგაძე, მაისურაძე (19ქ, 5მ), შეყილაძე, მემანიშვილი (2ქ).



**ახმეტა:** ზარავანდიშვილი (16ქ, 6მ, 5პ, 3ჩ), ნ. ხოხობაშვილი (7ქ), მამუკელაშვილი (17ქ, 9მ, 3ჩ), მარი ხოხობაშვილი, სიმონიშვილი (4ჩ), თ. ხოხობაშვილი (13ქ, 8მ, 4ჩ), მარიზა ხოხობაშვილი (2ქ, 7მ), ჯულაშვილი, ესტათიშვილი, მარუქაშვილი (5მ), ნინიაშვილი (4ქ).

რუსთავში ქალთა ლიგის თასის გათამაშება დაიწყო. ტიტულის მოსაპოვებლად ოთხი გუნდი იბრძვის: რუსთავის „ვეჯინი“, „ახმეტა“, „ქუთაისი“ და „ზესტაფონი“. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს, პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს „ვეჯინი“ და „ახმეტა“ დაუპირისპირდნენ, მეორე კი, იმერელთა მონაწილეობით დღეს გაიმართება.

რუსთაველებმა ახმეტელებთან პირველივე პერიოდში ისეთი უპირატესობა მოიპოვეს (26:10), რომ მეათე წუთზევე იოლი იყო გამარჯვებულის გამოცნობა. საბოლოოდ 74:59 „ვეჯინის“ სასარგებლოდ.

მატჩში ერთადერთი ორმაგი დუბლი შესრულდა. მისი ავტორი **ხათუნა საჯაია** გახდა, რომელსაც 15 ქულისა და 14 მოხსნის მოსაგროვებლად 20 წუთიც ეყო. 19 ქულით მატჩის ბომბარდირი ასევე ვეჯინელი **ანა მაისურაძე** გახდა.

რუსთავის გუნდი ლიგის თასის ფინალში „ქუთაისსა“ და „ზესტაფონს“ შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდება. მეორე ნახევარფინალი დღეს 14 საათზე დაიწყება.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი. საქართველო. U 13



# ხუბულაშვილის 44

დასასრულს უახლოვდება 13-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული ეტაპი, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობს. პლეი ოფის საგზური ზოგს განაღდებული აქვს, ზოგს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ბრძოლების გადახდა მოუწევს.

ბოლო ტურში შეჯიბრების ლიდერებმა ფავორიტის სტატუსი გაამართლეს. „გორს“ წარმატების მიღწევაში დაეხმარა **გიორგი ხუბულაშვილი,** რომელმაც ტურში ყველაზე მეტი, 44 ქულა ჩააგდო.

თსსუ-ქუთაისი 69:62

25:18, 16:14, 16:11, 12:19

**სამედიცინო:** ს. მდივანი (37), ნ. კეკელიძე (15)...
**ქუთაისი:** დ. გვენცაძე (23), გ. კენჭაძე (18)...

აკადემია-რუსთავი 84:44

29:6, 21:8, 20:14, 14:16

**აკადემია:** გ. კვაჭანტირაძე (18), მ. ზურაბაშვილი (15)...
**რუსთავი:** დ. ფუტკარაძე (20), ვ. კვახაძე (10)...

კარდინალები-ჰიუნდაი 50:79

8:19, 12:21, 14:25, 16:14

**კარდინალები:** ლ. ტალახაძე (18), ნ. ოქრუაშვილი (10)...
**ჰიუნდაი:** ნ. აბაშიძე (25), გ. გოგიტაშვილი (15), ლ. წენგუაშვილი (14)...

კარდინალები 2-აკადემია 2 62:67

11:20, 19:15, 14:18, 18:14

**კარდინალები:** ნ. ნიკოლაიშვილი (26), გ. გორგაძე (19)...
**აკადემია:** რ. ანდრონიკაშვილი (16), ლ კაზანჯიანი (10), ლ. მიქელაძე (10)...

მართვე-გორი 71:75

15:20, 15:17, 16:19, 25:19

**მართვე:** ნ. ნადარეიშვილი (23), გ. მიქელაძე (18)...
**გორი:** გ. ხუბულაშვილი (44), ნ. თაგვარელი (13)...

გათამაშების ცხრილი

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აკადემია | 17 | 16 | 1 | +520 | 33 |
| 2. ჰიუნდაი | 17 | 15 | 2 | +355 | 32 |
| 3. გორი | 17 | 14 | 3 | +308 | 30 |
| 4. დინამო | 17 | 11 | 6 | +263 | 28 |
| 5. ქუთაისი | 16 | 10 | 6 | +108 | 26 |
| 6. აჭარის ნაკ. | 17 | 7 | 10 | -7 | 24 |
| 7. თსსუ | 15 | 8 | 7 | -58 | 23 |
| 8. აკადემია 2 | 19 | 3 | 16 | -414 | 22 |
| 9. რუსთავი | 13 | 8 | 5 | +68 | 21 |
| 10. კარდინალები | 17 | 5 | 12 | -261 | 21 |
| 11. მართვე | 16 | 2 | 14 | -278 | 18 |
| 12. კარდინალები 2 | 17 | 0 | 17 | -604 | 17 |

**შენიშვნა:** ტექნიკური წაგებების გამო „გორს“ და „კარდინალებს“ დაკლებული აქვთ თითო ქულა.

საკალათბურთო ფესტივალი

# აქაც აკადემია

გუშინ სპორტის სამინისტროს დარბაზში 2002 წელს დაბადებულთა საკალათბურთო ფესტივალის ფინალური შეხვედრა გაიმართა. ვიდრე გუშინდელზე ვიტყოდეთ, მოგახსენებთ, რომ შეჯიბრებაში 10 გუნდი ჩაერთო, რომლებიც ორ ჯგუფად გაიყვნენ. პირველში მოხვდნენ: „ორბი“, „მართვე“, „დინამო 2“, „ჰიუნდაი“, „აკადემია 2“. მეორეში: „დინამო“, „აკადემია“, თიბისი, „ალბიონი“ და „ვესტა“. შეჯიბრება თბილისის სპორტის განვითარების კავშირის ორგანიზებით ჩატარდა და გამარჯვებულები ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **პაატა გურასპაულმა** დააჯილდოვა.

პირველი ჯგუფიდან ნახევარფინალში გავიდნენ „ჰიუნდაი“ და „აკადემია 2“, ხოლო მეორეში პირველი ადგილი ერთი ტურით ადრე გაინაღდა „დინამომ“. პლეი ოფში გამსვლელი მეორე ადგილისთვის დაძაბულ ბრძოლაში „აკადემიამ“ თიბისის სძლია (41:37).

ნახევარფინალში მეორეჯგუფელებმა პირველი ჯგუფის წარმომადგენლებს აჯობეს და ფინალში „დინამო“-“აკადემია“ ვიხილეთ. გადამწყვეტი შეხვედრის მეოთხედების ანგარიშებს გადახედეთ და თავად დარწმუნდებით, რაოდენ თანაბარი იყო თამაში. **გაგა გოდერძიშვილის** წინამძღოლობით „აკადემიამ“ (მწვრთნელები **ალექსანდრე ჯაფარიძე** და **ირაკლი ტომარაძე**) ორი ქულის სხვაობით იმარჯვა და ჩემპიონისთვის განკუთვნილ თასს დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ კვირის წინ ერთი წლით უფროსმა აკადემიელებმა თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის მიერ ორგანიზებული ასეთივე შეჯიბრება მოიგეს.

ყოველი გუნდის საუკეთესო ორ კალათბურთელს „პალიტრა L“-ისგან საჩუქრად წიგნები გადაეცა. შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 2004 წელს დაბადებული **გუგა ნაცვლიშვილი** კომპანია „ბილაინმა“ ტელეფონით დააჯილდოვა. ფინალური შეხვედრის საუკეთესოებს, „აკადემიადან“ **გაგა გოდერძიშვილსა** და „დინამოდან“ **ლუკა გელოვანს** „დიზელის“ ფირმის აქსესუარები გადაეცათ.

11 ივნისი

ფინალი

დინამო-აკადემია 38:40

14:12, 8:12, 10:10, 6:6

**დინამო:** გელოვანი (9), გონგაძე (11)...
**აკადემია:** გოდერძიშვილი (16)...

III ადგილისთვის

აკადემია 2-ჰიუნდაი 28:32

3:8, 7:12, 11:8, 7:4

**აკადემია 2:** სეხნიაძე (12), ოჩხიკიძე (11)...
**ჰიუნდაი:** გაჩეჩილაძე (7ქ), ჭიჭინაძე (6ქ)...

10 ივნისი

1/2-ფინალი

დინამო-აკადემია 2 39:25

13:1, 8:8, 8:8, 10:8

**დინამო:** გელოვანი (12)...
**აკადემია:** გონგაძე (7)...

აკადემია-ჰიუნდაი 35:26

7:2, 7:12, 18:3, 3:9

**აკადემია:** გოდერძიშვილი (15)...
**ჰიუნდაი:** სკამკოჩაშვილი (7)...

ვაჟა სიმონიშვილი

ჩოგბურთი

# დაიწყო და დასრულდა

ბრიტანულ ბირმინგემში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი), რომლის ძირითად ბადეში ჩაება თბილისელი **ანა ტატიშვილი.** გუშინ ჩვენებური მე-15 ნომრად განთესილ ფრანჩესკა სკიავონეს (იტალია) დაუპირისპირდა. პირველი ხელი ტატიშვილმა შედარებით იოლად მოიგო - 6:2, მომდევნოში იტალიელმა წონასწორობა აღადგინა, მერე მესამე სეტშიც გაიმარჯვა და მომდევნო წრეში გავიდა, ანა კი შეჯიბრებას დაემშვიდობა.

■ ■ ■

პადოვაში (იტალია) ქალთა 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ძირითად ბადეში გააღწია **მაკა ჩახნაშვილმა,** იქ კი სტარტზევე ვერაფერს გახდა პარაგვაელ ვერონიკა სეპედესთან - 3:6, 6:2, 4:6 და მაყურებლებში გადაინაცვლა. **სოფიო შაფათავა** კი ერთეულთა თანრიგში დღეს გამართავს პირველ ბრძოლას, წყვილებში რუს მარინა შამაიკოსთან შეამხანაგებულმა ჯორჯია ბრეშას და ჯულია პაირონეს (ორივე-იტალია) აჯობა - 6:3, 6:4 და მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც მე-3 ნომერ კორინა დენტონისა (იტალია) და ალექსანდრინა ნაიდენოვასთან (ბულგარეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

ვაჟა დანელია

AUTOPIA.GE
ავტონაწილების სუპერმარკეტი
5000 მეტი დასახელების ძარის ნაწილები
იტალიური PRASCO ოფიციალური წარმომადგენელი
მინდელის ხიდის მიმდებარე ტელ.: 514 933 933
ქუთაისი, ქუტირი ტელ.: 514 923 923

ქართული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დეტროიტმა იპოვა, მემფისმა დაკარგა


მორის ჩიქსი

"დეტროიტ პისტონზის" ხელმძღვანელობამ მთავარ მწვრთნელად **მორის ჩიქსის** დანიშვნა გამოაცხადა, - წერს NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი. კონტრაქტის პირობებისა და ხანგრძლივობის შესახებ პრესისთვის არაფერია ცნობილი. 56 წლის სპეციალისტმა "პისტონზში" **ლოურენს ფრენკი** შეცვალა, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაათავისუფლეს.

ჩიქსისთვის ეს არის მესამე კლუბი კარიერაში, სადაც მთავარ მწვრთნელად იმუშავებს. მანამდე ის სათავეში ედგა "პორტლენდს" (2001-05) და "ფილადელფიას" (2005-08).

ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში, ჩიქსი "სან ანტონიოში" მუშაობდა მთავარი მწვრთნელის ასისტენტად. თავის დროზე, მას იგივე თანამდებობა ეკავა "ფილადელფიაში", როცა ეს გუნდი ორჯერ გავიდა NBA-ის ფინალურ სერიაში. მოთამაშის რანგში, მორის ჩიქსი 1983 წელს გახდა NBA-ის ჩემპიონი. მას ოთხჯერ უთამაშია "ყველა ვარსკვლავის მატჩში".

■ ■ ■

"მემფის გრიზლისის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ გააგრძელოს კონტრაქტი მთავარ მწვრთნელ **ლაიონელ ჰოლინზთან**. თავად მწვრთნელს სურდა "გრიზლისში" მუშაობის გაგრძელება, მაგრამ მხარეები მომავალი თანამშრომლობის პირობებზე ვერ შეთანხმდნენ.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰოლინზის გადაბირებით "ბრუკლინ ნეტსია" დაინტერესებული.

შეგახსენებთ, რომ 2012-13 წლების სეზონში "მემფისმა" ჰოლინზის ხელმძღვანელობით დასავლეთი კონფერენციის ფინალამდე მიაღწია, სადაც დათმო სერია "სან ანტონიო სპურსთან".

■ ■ ■

დიუკის უნივერსიტეტის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ**, რომელიც აშშ-ის ნაკრებში დაბრუნდა, ასისტენტები დაასახელა, - იტყობინება ამერიკის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი.

კჟიჟევსკის თანაშემწეებად იმუშავებენ: სიკარუზის უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის მთავარი მწვრთნელი, 68 წლი **ჯიმ ბეიჰაიმი**, "ჩიკაგო ბულზის" დამრიგებელი, 55 წლის **ტომ ტიბოდო** და "ნიუ იორლეანის" მთავარი მწვრთნელი, 41 წლის **მონტი უილიამსი**.

როგორც იცით, მაისის შუაში აშშ-ის კალათბურთის ფედერაციამ 66 წლის კრჟიჟევსკისთან 2016 წლის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სპეციალისტი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატსა და 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე უხელმძღვანელებს აშშ-ის ნაკრებს. კჟიჟევსკის ხელმძღვანელობით, ამერიკელებმა ზედიზედ ორი ოლიმპიადა (პეკინსა და ლონდონში) მოიგეს, სულ კი 62 მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ.

# რეკლამა მოედანზე დაშვებულია

როგორც ESPN.com წერს, მომავალი სეზონიდან, NBA-ს მოედნებზე პირველად გაჩნდება სარეკლამო გამოსახულებები.

გეგმის მიხედვით, რეკლამისთვის გამოყოფენ ადგილს გვერდითი ხაზის გარეთ, სადაც, ჩვეულებრივ, გუნდები თავიანთი ოფიციალური ვებგვერდის სახელებს წერენ. სარეკლამო ლოგოების განთავსება შესაძლებელი იქნება სათადარიგოთა სკამის გვერდით. კლუბებს შეეძლებათ ამ სივრცის გაყიდვა მხოლოდ იმ მატჩებზე, რომლის ტრანსლაციას ადგილობრივი ტელევიზია ახორციელებს.

იდეა შეთავაზებულია NBA-ის კომისრის თანაშემწის **ადამ სილვერის** მიერ. სიახლეს ახალი სეზონის დასრულების შემდეგ შეაფასებენ და იმსჯელებენ მომავალში მისი დანერგვის მიზანშეწონილობაზე.

სარეკლამო გამოსახულებები პარკეტზე, სავარაუდოდ, მაისურებზე რეკლამის ალტერნატივაა, რომლის იდეას ლიგა ადრე განიხილავდა, მაგრამ ამან განვითარება ვერ პოვა.

ველოსპორტი

# ტურის სტარტი ჩაშლის პირას?



ჩაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ველორბოლის – ტურ დე ფრანსის სტარტი, რომელიც 29 ივნისს არის დანიშნული, - წერს გაზეთი "ეკიპი".

ფრანგული ველომარათონი კორსიკაზე, კერძოდ კი ქალაქ პორტო-ვეკიოდან უნდა დაიწყოს. მაგრამ სიტუაცია რთულდება იმის გამო, რომ იმ ბორნების მუშებმა, რომლითაც კუნძულზე უნდა გადაიტანონ ველოსაჭინიბოების ალჭურვილობა, 27 ივნისისთვის გაფიცვა დანიშნეს. ამან, შეიძლება ხელი შეუშალოს ტურ დე ფრანსის სტარტს.

იტყობინებიან, რომ ტურ დე ფრანსის ორგანიზატორები პროფკავშირებთან მოლაპარაკებების გამართვას აპირებენ.

კრივი

# დიდების დარბაზში სიკვდილის შემდეგ

პირველ მჩატე და პირველ ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, კანადელი **არტურო გატი**, რომელიც 2009 წელს, 37 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა, ამერიკის ქალაქ კანასტოტეში კრივის საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს (სიკვდილის შემდეგ).

იტალიაში დაბადებული გატი ოთხი ისეთი შეხვედრის მონაწილეა, რომელმაც "წლის ბრძოლის" სტატუსი მიილო (1997, 1998, 2002, 2003), 1997 წელს კი კანადელმა მიიღო ნომინაცია "წლის ნოკაუტი". მის კარიერაში ყველაზე ღირსშესანიშნავი მომენტია "ტრილოგია" ირლანდიური წარმოშობის ამერიკელთან **მიკი უორდთან**.



ცენტრში გატის ქალიშვილი

გატიმ 2007 წელს დაასრულა კარიერა, 2009 წელს კი ბრაზილიის კურორტ პორტო დე გალინასის ერთ-ერთ სასტუმროში მკვდარი იპოვეს. ოფიციალურმა გამოძიებამ დაადგინა, რომ მოკრივემ თავი მოიკლა, არაოფიციალურმა - გატის სიკვდილი მის ცოლს დააბრალა, რომელმაც შემდეგ არტუროს ქონების დიდი ნაწილი მემკვიდრეობით მიიღო.

გატისთან ერთად, დიდების დარბაზში კიდევ ორი მოკრივე შეიყვანეს. ნახევრადმძიმე და პირველ მძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **ვირჯილ ჰილი**, რომელმაც კარიერაში 29 საჩემპიონო ბრძოლა ჩაატარა და ამ შეხვედრებში მხოლოდ ხუთჯერ დამარცხდა. აგრეთვე ჰილი იმით იყო გამორჩეული, რომ ძალიან ხანგრძლივი პერიოდი ჰქონდა პირველ და ბოლო საჩემპიონო ბრძოლებს შორის – 20 წელი და 2 თვე (1987 წლის სექტემბერი – 2007 წლის ნოემბერი).

მესამე მოკრივე, რომელიც დიდების დარბაზში შეიყვანეს, პირველ უმჩატეს წონაში მსოფლიოს ორგზის ყოფილი ჩემპიონი, სამხრეთკორეელი **იუ მიონ უა**. ის არის 21 საჩემპიონო ბრძოლის მონაწილე და აქედან მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. იუ მიონ უ პირველი კორეელია, რომელიც მსოფლიოს ათ საუკეთესო მოკრივეს შორის მოხვდა.

მათ გარდა, საერთაშორისო დიდების დარბაზში შეიყვანეს რეფერი **მილზ ლეინი**, რომლის ფრაზას - Let's get it on-ს კარგად იცნობს კრივის მოყვარული, ტელეარხ Showtime-ის რინგ-ანონსერი **ჯიმი ლენონი**, მენეჯერი **არტურო ერნანდესი**, კარიკატურისტი **ტედ კეროლი** და ჟურნალისტი **კოლინ ჰარტი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

კალათბურთი

## ევრობასკეტი იბაკასაც არ უნდა

"ოკლაჰომა-სიტისა" და ესპანეთის ნაკრების მძიმე ფორვარდი **სერჟ იბაკა** დარწმუნებული არ არის, რომ 2013 წლის ევრობასკეტზე დაეხმარება ეროვნულ გუნდს.

*"მე ჯერ საკმარისი დრო მაქვს იმისთვის, რომ ამ საკითხში საბოლოოდ გავერკვე. სამი წლის განმავლობაში შესვენების გარეშე ვითამაშე. ამიტომაც, ახლა უნდა დავფიქრდე, რას გავაკეთებ ამ ზაფხულს"*, - ამბობს იბაკა.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა იუარა "ლეიკერსის" ფორვარდმა **პაუ გასოლმა**. ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ არის ევრობასკეტზე პაუს უმცროსი ძმის - **მარკ გასოლის** თამაში.

## პარგო ცსკა-ში გადავიდა

2013-14 წლების სეზონისთვის მოსკოვის ცსკა-ს პირველი ახალწვეული გახდა მცველი **ჯერემი პარგო** (27 წლის, 188 სმ). კალათბურთელმა არმიულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პარგომ, რომელიც 2009 წელს NBA-ის დრაფტზე არც ერთმა კლუბმა არ აიყვანა, ისრაელში დაიწყო ევროპული კარიერა და იქ ორი კლუბის - "ჰაპოელ გილბოა ჰალილისა" და თელ-ავივის "მაკაბის" შემადგენლობაში გახდა ქვეყნის ჩემპიონი. 2011 წელს, "მაკაბიში" თამაშისას, პარგო ევროლიგის მეორე სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ამის შემდეგ, ჯერემიმ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა "მემფისთან", თუმცა გასულ ზაფხულს, ის გაცვლის შედეგად "კლივლენდში" მოხვდა, იანვარში კი "ფილადელფიაში" ამოყო თავი. ორი წლის განმავლობაში, მცველმა NBA-ში 83 მატჩი (16 - სასტარტოში) ჩაატარა და საშუალოდ 4.7 ქულა, 1.0 მოხსნა და 1.8 პასი დააგროვა.

ფორმულა 1

## ლოტუსი ბრიტანეთისთვის გაძლიერდება

მალაიზიური საჯინიბოს, "ლოტუსის" შეფმა **ერიკ ბულიემ** ხაზი გაუსვა იმას, რომ კანადის გრან პრიზე წარუმატებელი გამოსვლა არა გუნდის ჩავარდნამ, არამედ უარყოფით გარემოებათა წყებამ გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ მონრეალში **კიმი რაიკონენმა** მეცხრე ადგილი დაიკავა, **რომენ გროსჟანმა** - მე-13 ადგილი.

*"კანადაში ძალიან სპეციფიკური კონფიგურაციაა, რომელიც არ გვაძლევდა საბურავების საჭირო ტემპერატურამდე გახურების საშუალებას*, - ამბობს autosport-თან კომენტარში ბულიე. - *რომენი ახერხებდა ვარჯიშებზე ნორმალური ტემპის ჩვენებას, მაგრამ რბოლაში ნახევარი წამით ჩამოვრჩებოდით "რედ ბულსა" და "მერსედესს". გასაგებია, რომ ეტაპებს შორის პაუზისას, მეტოქეები ასეთ დიდ უპირატესობას ვერ მიიღებდნენ. უბრალოდ, ჩვენ რაღაც არ გამომგვივიდა. სილვერსტოუნისთვის მნიშვნელოვან ტექნიკურ განახლებებს ვაპირებთ და ამან ლიდერებთან მიახლოების საშუალება უნდა მოგვცეს. გარდა ამისა, ბრიტანეთში უფრო ტრადიციული ტრასაა, რომელიც ერგება ჩვენს მანქანას"*.

## ფედერაციამ ტრიბუნალი დანიშნა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ტრიბუნალმა გამოაცხადა, რომ "მერსედესისა" და "პირელის" ერთობლივი კერძო ტესტების გახმაურებული საქმის მოსმენა 20 ივნისს, პარიზში დაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ ეს საქმე მონაკოს გრან პრის დასრულებისთანავე, "რედ ბულისა" და "ფერარის" პროტესტის შემდეგ აღიძრა. როგორც ვარაუდობენ, "მერსედესს" სერიოზული სანქციები ელის. არ არის გამორიცხული, გერმანულ საჯინიბოს კონსტრუქტორთა თასზე ქულები ჩამოაკლონ.

ჰოკეი

## ედმონტონს მწვრთნელი დაუმტკიცეს

როგორც მოსალოდნელი იყო, "ედმონტონ ოილერზმა" ახალ მთავარ მწვრთნელად **დალას იკინსი** დანიშნა, - ამის შესახებ წერს "ედმონტონის" ოფიციალური ვებგვერდი.

იკინსმა ამ პოსტზე **რალფ კრიუგერი** შეცვალა, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაითხოვეს.

"მენავთობეების" ახალი მთავარი მწვრთნელი ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამერიკის ჰოკეის ლიგის (AHL) კლუბ "ტორონტო მარლისს". 2012-13 წლების სეზონში "ედმონტონმა" მე-12 ადგილი დაიკავა დასავლეთ კონფერენციაში.

## სოჭისთვის მწვრთნელი დანიშნულია

ფინეთის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს – ეროვნული გუნდი 53 წლის სპეციალისტმა **კარი იალონენმა** ჩაიბარა. ხელშეკრულება ორწლიანია და იალონენი გაისად გუნდს სოჭის ოლიმპიადაზე უხელმძღვანელებს.

*"ეროვნულ გუნდთან მუშაობა - ფანტასტიკაა*, - აცხადებს იალონენი. - *ნაკრები ფინური ჰოკეის ფლაგმანია და, რა თქმა უნდა, ასეთ პოსტზე დანიშვნა ჩემთვის დიდი პატივია"*.

## ევროპელი ჰოკეისტები მოკვეთეს

ორგანიზაცია CHL-მა, რომელიც სამ უმსხვილეს კანადურ ლიგას - ლიგა ონტარიოს, ლიგა კვებეკსა და ჰოკეის დასავლეთ ლიგას აერთიანებს (ამ ჩემპიონატებში 16-დან 20 წლამდე მოთამაშეები მონაწილეობენ), როგორც მოსალოდნელი იყო, აკრძალვა დააწესა ევროპელი მეკარეების მიწვევაზე. ეს ნაბიჯი იმის გამო გადაიდგა, რომ უფრო მეტი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ ადგილობრივ მეკარეებს და შეწყდეს ქვეყანაში სამეკარეო სკოლის ვარდნა.

ასე რომ, 2013 წლის დრაფტი ბოლო იქნება, რომელზეც იუნიორთა ლიგის კლუბებს შეეძლებათ ოკეანისგაღმელი მეკარეების აყვანა. ზოლო ოთხი წლის განმავლობაში, როცა ამოიწურება იუნიორთა კონტრაქტები, CHL-ში ევროპელი მეკარეები აღარ იქნებიან. მიუხედავად ამისა, კლუბებში ძველებურად დარჩება ორი ვაკანსია ლეგიონერებზე, მაგრამ მას შეავსებენ მხოლოდ მცველებით ან ფორვარდებით.

ჩოგბურთი

## აზარტული ჩოგბურთელი დასაჯეს

ჰოლანდიელმა ჩოგბურთელმა **იანიკ ებინგჰაუსმა** ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიილო იმის გამო, რომ ტოტალიზატორში საჩოგბურთო მატჩებზე აკეთებდა ფსონებს. გარდა ამისა, იანიკი ათი ათასი დოლარითაც დაისაჯა.

როგორც სააგენტო AP იუწყება, 2012 წლის მაისიდან 2013 წლის თებერვლამდე, ებინგჰაუსმა 67-ჯერ დაარღვია საშეჯიბრო რეგლამენტი.

ასევე აღვნიშნავთ, რომ თუ ჰოლანდიელი ითანამშრომლებს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან (ITF) და პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციასთან (ATP), ამ შემთხვევაში, ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია სამ თვემდე შემცირდება.

## ფორმულა 1

# ფეტელი და რედ ბული: არის ახალი კონტრაქტი!


სებასტიან ფეტელი

გუშინ ავსტრიულმა საჯინიბო „რედ ბულმა“ ოფიციალურად დაადასტურა კონტრაქტის გაგრძელება **სებასტიან ფეტელთან**. ახალი ხელშეკრულების თანახმად, გერმანელი თავის ამჟამინდელ გუნდში, მინიმუმ, 2015 წლის ბოლომდე დარჩება.

*„რედ ბული“ მოხარულია დაადასტუროს, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა სებასტიან ფეტელმა გაახანგრძლივა თავისი მრავალწლიანი ხელშეკრულება გუნდთან 2015 წლის ბოლომდე.*

*სებასტიანი, რომელიც ადრე „რედ ბულის“ ახალგაზრდული პროგრამის წევრი იყო, პირველად გუნდში 2009 წელს გამოჩნდა. 25 წლის პილოტმა კარიერაში 29 გამარჯვება, 51 პოდიუმი და 39 პოული მოიპოვა. ის მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი და ტიტულის სამგზის მფლობელია“,* - წერია ავსტრიული საჯინიბოს მოკლე განცხადებაში.

სებასტიანის თანაგუნდელის ვინაობა მომდევნო სეზონისთვის ჯერ არ არის ცნობილი - „რედ ბული“ ამ საკითხში სიცხადეს ზაფხულის პაუზის დროს შეიტანს.

# შუმახერი: კორინას პირადი კომენტატორი ვარ

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა **მიხაელ შუმახერმა** ინტერვიუ მისცა გაზეთ „ბილდს“ და განაცხადა იმის შესახებ, რომ არ ნანობს ფორმულა 1-ში კარიერის საბოლოოდ დასრულებას. ამავდროულად, მან აღიარა, რომ თუ შეამჩნევდა გუნდში ტიტულისთვის ბრძოლის პერსპექტივას, კონტრაქტს აუცილებლად გააგრძელებდა.

მიხაელ შუმახერი: *„გუნდს ტიტულისთვის ბრძოლის იმედი რომ ჰქონოდა, მე ამას ვიგრძნობდი და ამ შემთხვევაში, სხვა გადაწყვეტილებას მივიღებდი. მაგრამ ახლა კმაყოფილი ვარ. შინ იმაზე იშვიათად ვარ, ვიდრე წინა წლებში, სამაგიეროდ, ახლა მთელ ოჯახთან ერთად ვმოგზაურობ. კარგია, რომ ერთად ამდენ დროს ვატარებთ. სასიამოვნოა კორინასთან ერთად რბოლების ტელევიზორში ყურება და მის პირად კომენტატორად ყოფნა. მე მას ყველა ეპიზოდს 3-4 წრით ადრე ვუხსნი, სანამ ეს ფაქტობრივად მოხდება“.*

ამას წინათ, შუმახერმა ცნობილ „ჩრდილოეთის მარყუჟზე“ სახელდახელო რბოლაში მიიღო მონაწილეობა. ის გახდა პირველი პილოტი **ხუან-მანუელ ფანხიოს** (1954 წელი) შემდეგ, რომელიც იქ ფორმულა 1-ის მანქანით გამოვიდა.

გერმანელის სიტყვებით, ეს გასვლა ტრასაზე, სავარაუდოდ, ბოლო არ იქნება მისთვის.

მიხაელ შუმახერი: *„ეს არის ახალი შეგრძნებების მიღების იშვიათი შესაძლებლობა. ბრწყინვალე ტრასა - ერთი წრე 25 კილომეტრი, აღმართები, დაშვებები... არ მგონია, რომ ბოლოჯერ დავჯექი „მერსედესის“ ბოლიდის საჭესთან.*

*ფორმულა 1-თან კავშირი არ გამიწყვეტია, არის რამდენიმე ადამიანი „მერსედესსა“ და „ფერარიში“, რომლებიც მუდმივად არიან ჩემთან კავშირში. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამით დიდად ვარ დაინტერესებული. 3-4 კილოგრამი მოვიმატე, მაგრამ ეს ზედმეტი კვების ბრალი არ არის, უბრალოდ, აღარ ვატარებ ვარჯიშებს ამტანობაზე“.*

ახლა, შუმახერს არ შეუძლია ძველებურად კალორიების დაწვა ფეხბურთის დახმარებით. გაზაფხულზე მან ბარძაყი დაიზიანა მოტოციკლით სეირნობის დროს და საქველმოქმედო მატჩებში უკვე იშვიათად ჩნდება. თუმცა გერმანელი ქველმოქმედებას მაინც არ ივიწყებს - მან გადაწყვიტა თავისი ერთ-ერთი სარბოლო კომბინეზონის აუქციონზე გაყიდვა, რათა გერმანიაში წყალდიდობით დაზარალებულებს დაეხმაროს.

მიხაელ შუმახერი: *„საშინელებაა, რომ ამ ადამიანებმა „საუკუნის წყალდიდობიდან“ 10 წლის თავზე, მეორედ დაკარგეს ქონება. იმედია, აუქციონზე კარგ თანხას მივიღებთ, რასაც საკუთარ ფულს დავუმატებ. თუ ჩვენ მივიღებთ 100 ათას ევროს, ამ თანხას გავაათმაგებ“.*


მიხაელ შუმახერი

## ავტოსპორტი

# ადამიანი-ობობას ტრიუმფი

გასულ უქმეებზე, ამერიკულ სარბოლო სერიებში მორიგი ეტაპები გაიმართა.

**ჯიმი ჯონსონმა** მოიგო NASCAP Sprint Cup-ის ეტაპი პენსილვანიაში და გაიმყარა ლიდერობა გენერალურ კლასიფიკაციაში. ეს გამარჯვება მესამეა სეზონში ჯონსონისთვის და ამ მაჩვენებლით **მეტ კენსეტს** დაეწია. ეტაპზე მეორე იყო **გრეგ ბიფლი**, მესამე - **დეილ ერნჰარდტ-უმცროსი**.

რბოლამ სერიოზული ინციდენტების გარეშე ჩაიარა, ლიდერი კი მთელი დისტანციის განმავლობაში მხოლოდ ოთხი პილოტი იყო. წრეების დიდი ნაწილი – 128 და 160 სწორედ ჯონსონი ლიდერობდა. *“ბიჭებმა ძალიან კარგი მანქანა მომიმზადეს - შასი და ძრავა უბრალოდ ბრწყინვალე იყო”,* - განაცხადა ჯონსონმა.

NASCAP Sprint Cup-ის მორიგი ეტაპი უახლოეს უქმეებზე გაიმართება – Michigan International Speedway-ის ტრეკზე.


ჰელიო კასტრონევეში

■ ■ ■

ინდიკარის სერიის მორიგ ეტაპს Texas Motor Speedway-ის ტრეკი მასპინძლობდა. აქ გამარჯვება მოიპოვა **ჰელიო კასტრონევეშმა** და ჩემპიონატის ლიდერი გახდა. ბრაზილიელმა პილოტმა მოგება მისთვის ტრადიციულ სტილში აღნიშნა – ტრიბუნების დამცავ ლობეზე აცოცდა. თავის დროზე, სწორედ ამის გამო მიიღო მან მეტსახელი – “ადამიანი-ობობა”.

*„ეს შესანიშნავი რბოლა იყო და გუნდმა დაიმსახურა ეს გამარჯვება,* - განაცხადა რბოლის შემდეგ ტრიუმფატორმა. - *ჩვენ ჯიუტად ვიბრძოდით და მოვახერხეთ საერთო ჩათვლაში ლიდერობის მოპოვება”.*

მეორე ადგილი ფინიშზე **რაიან ჰანტერ-რეიმ** მოიპოვა, მესამეზე გავიდა ინდი-500-ის გამარჯვებული **ტონი კანაანი**. რაც შეეხება პოულის მფლობელ **უილ პაუერს**, მან რბოლა მხოლოდ მეშვიდე ადგილზე დაასრულა.

ინდიკარის შემდეგი ეტაპი 16 ივნისს, Milwaukee Mile-ს ტრეკზე გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **ევროპა** | |
| დანია-სომხეთი | 0:4 |
| შვედეთი-ფარერები | 2:0 |
| ბელარუსი-ფინეთი | 1:1 |
| **სამხრეთ ამერიკა** | |
| კოლუმბია-პერუ | 2:0 |
| ეკვადორი-არგენტინა | 1:1 |
| **აზია** | |
| ს. კორეა-უზბეკეთი | 1:0 |
| ირანი-ლიბანი | 4:0 |
| ავსტრალია-იორდანია | 4:0 |
| ერაყი-იაპონია | 0:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჩინეთი-ჰოლანდია | 0:2 |
| კატარი-ჩრ. კორეა | 0:0 |
| ესტონეთი-ყირგიზეთი | 1:1 |
| ნორვეგია-მაკედონია | 2:0 |
| იტალია-ჰაიტი | 2:2 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| ისრაელი-ინგლისი | 1:0 |
| ნორვეგია-იტალია | 1:1 |
| **ევრო 2015** | |
| **UNDER 21** | |
| ფინეთი-ლიტვა | 2:2 |
| სან მარინო-მოლდოვა | 0:3 |
| ესტონეთი-ანდორა | 1:1 |
| ლუქსემბურგი-სლოვაკეთი | 1:7 |
| ბოსნია-ალბანეთი | 4:1 |
| ლატვია-ლიხტენშტაინი | 4:0 |
| ჩერნოგორია-ფარერები | 3:0 |
| ბელარუსი-ყაზახეთი | 0:1 |
| **ევრო 2015** | |
| **UNDER 19** | |
| ირლანდია-სერბეთი | 0:0 |
| შვეიცარია-სლოვაკეთი | 0:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფალკენბერგსი-სუნდსვალი | 1:2 |
| **პარაგვაი** | |
| ლუკენო-სერო პორტენიო | 2:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| რომა-მონტეპასკი | 76:85 |
| **ესპანეთი** | |
| რეალი-ბარსელონა | 71:72 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ჰალე** | |
| კამკე-კუბოტი | 6:4,6:0 |
| მონფილსი-რაონიჩი | 6:4, 6:2 |
| ბაშიჩი-იანოვიჩი | 7:6, 3:6, 7:6 |
| შტებე-ვანგი | 6:2, 6:4 |
| ბაღდატისი-გულბისი | 4:6, 6:3, 3:6 |
| შტრუფი-ლ. მაიერი | 6:7, 4:6 |
| მელცერი-გედინი | 7:6, 3:6, 6:4 |
| კოლშრაიბერი-ბერლოკი | 6:3, 6:1 |
| **ATP. ლონდონი** | |
| კუერი-ბედენე | 7:6, 5:7, 7:6 |
| როსოლი-გროტი | 6:7, 6:3, 6:2 |
| კუზნეცოვი-ისტომინი | 6:7, 6:7 |
| ფ. ლოპესი-ბერანკისი | 3:6, 6:3, 6:4 |
| მანარინო-ბენეტო | 6:7, 3:6 |
| ნიემინენი-ჰარისონი | 6:3, 6:3 |
| ტომიჩი-ბეკერი | 4:6, 7:6, 6:7 |
| რამი-დე სხეპერი | 6:7, 6:2, 6:4 |
| დელ პოტრო-მალისე | 7:6, 1:6, 7:5 |
| ჟემლია-ედმუნდი | 6:4, 7:6 |
| ლოდრა-ანდუხარი | 6:3, 6:1 |
| პერი-კუდლა | 3:6, 4:6 |
| **WTA. ნიურნბერგი** | |
| დუკე მარინო-დომინგეს ლინო | 5:7, 3:6 |
| საფაროვა-კარატანჩევა | 6:2, 7:6 |
| ტორრო ფლორი-პერეირა | 4:6, 6:4, 6:4 |
| ბრატჩიკოვა-ბეკი | 2:6, 2:6 |
| პარმენტიე-კორნე | 3:6, 4:6 |
| მინელა-პეგულა | 7:5, 4:6, 6:3 |
| გორგესი-კადანტუ | 6:4, 7:5 |
| კნაპი-პფიცენმაიერი | 2:6, 7:6, 7:5 |
| შმიტკოვა-კოენი | 6:7, 3:6 |
| პეტკოვიჩი-არვიდსონი | 6:3, 6:2 |
| პანოვა-ვოსკობოევა | 2:6, 2:6 |
| ლარსონი-ბეიგელციმერი | 6:3, 6:7, 7:5 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| ჰლავაჩკოვა-პუჩკოვა | 6:2, 6:4 |
| პუტინცევა-ვიკმაიერი | 2:6, 6:7 |
| მური-მლადენოვიჩი | 7:5, 6:7, 4:6 |
| სანჩესი-ჩეპელოვა | 6:3, 6:2 |
| დელაკუა-ჰანტუხოვა | 1:6, 6:7 |
| ნარა-კონტა | 2:6, 4:6 |
| დოლონცი-ბარტელი | 5:7, 6:2, 5:7 |
| უოტსონი-ჩინკი | 6:4, 7:6 |
| სკიავონე-ტატიშვილი | 2:6, 6:3, 7:6 |
| რისკე-პაჩეკი | 2:6, 6:2, 6:3 |
| ჰემპტონი-კისი | 6:2, 3:6, 6:7 |
| ვეკიჩი-უ. რადვანსკა | 6:3, 6:2 |

## TV პროგრამა

### 12 ივნისი. ოთხშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ანჟი.
**13:00** გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-ბაიერნი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ სიტი.
**16:00** ევროპის ლიგა.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ევროპის ლიგა.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-დორტმუნდი.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
**01:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჩელსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. სან ანტონიო-მაიამი. III მატჩი.
**15:00** ფეხბურთი..
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კარდიფი-მონპელიე.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ლევანტე-ტვენტე.
**22:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. კობი ბრაიანტი. I ნაწილი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. სან ანტონიო-მაიამი. III მატჩი.

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**12:15** სპორტ-NEWS.
**12:45** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**16:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ჰიუსტონი.
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.
**21:10** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-ლეიკერსი.
**23:10** ჩოგბურთი. უიმბლდონი-2013. ლონდონი. ინგლისი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 26 | (მზე) |
| ქუთაისი | 17 | 32 | (მზე) |
| ბათუმი | 18 | 27 | (მზე) |
| ძობულეთი | 13 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 17 | 29 | (მზე) |
| ზუგდიდი | 15 | 31 | (მზე) |
| გორი | 13 | 27 | (მზე) |
| თელავი | 14 | 24 | (მზე) |
| სიღნაღი | 13 | 23 | (მზე) |
| ბაკურიანი | 7 | 17 | (მზე) |
| ბორჯომი | 12 | 24 | (მზე) |
| მესტია | 10 | 22 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2005 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6571 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5765 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1153 |

ჩოგბურთი


როჯერი და ტომი კარგად გაერთნენ

# ვეტერანებმა წააგეს

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ჰალეს ტურნირზე ერთეულთა თანრიგის გარდა, წყვილებში თამაშიც გადაწყვიტა და ამისთვის გერმანელ ვეტერანს **ტომი ჰაასს** შეუამხანაგდა, ვისთანაც შარშან, ამ ტურნირზე ფინალური მატჩი წააგო.

31 წლის შვეიცარიელმა და 35 წლის გერმანელმა უკვე ჩაატარეს წყვილებში პირველი წრის მატჩი. მათ ძლიერი მეტოქეები ერგოთ - 2011 წლის უიმბლდონის ჩემპიონები: ავსტრიელი **იურგენ მელცერი** და გერმანელი **ფილიპ პეტცშნერი**. გამარჯვება სწორედ ამ დუეტს ერგო – 7:6(3), 6:4.

ფედერერმა და ჰაასმა ერთი ბრეიკი გააკეთეს, მაგრამ მათმა მეტოქეებმა ორჯერ აიღეს სხვისი მოწოდება და საათსა და რვა წუთში მიაღწიეს გამარჯვებას.

*"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პროფესიული ტურის "დინოზავრები" ვართ, მე და ტომიმ პირველად ვითამაშეთ ერთად,* - განაცხადა ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდთან კომენტარში ფედერერმა. - *ძალიან მოგვეწონა ეს გამოცდილება. უდიდესი სიამოვნება მივიღე და მინდა ამისთვის ტომის მადლობა გადავუხადო. სამწუხაროდ, ჩვენი გამოსვლა პირველივე რაუნდში დასრულდა, მაგრამ ამის გამო დიდად არ ვნაღვლობთ".*

# ნადალი უკვე ლონდონშია

როლან გაროსის რვაგზის ჩემპიონი, ესპანელი **რაფაელ ნადალი** ამ სეზონში პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც ATP-ის წლის შემაჯამებელ ტურნირში მონაწილეობა გაინაღდა.

შეგახსენებთ, 2013 წელს, ნადალმა შვიდი ტურნირის მოგება მოასწრო: აქედან ერთი "დიდი სლემის" ჩემპიონატია, სამი – მასტერსის სერიის ტურნირი და კიდევ სამი – უფრო დაბალი კატეგორიის. წლის ბოლომდე, ესპანელ ჩოგბურთელს რეიტინგში მხოლოდ 90 ქულა აქვს დასაცავი: ჰალეს ტურნირის მეოთხედფინალისთვის და უიმბლდონის მეორე რაუნდში გასვლისთვის. დანარჩენი მოპოვებული ქულა მას აქტივში ჩაეთვლება.

ATP-ის ოფიციალური გვერდი იმასაც იტყობინება, რომ გაირკვა წყვილებში წლის შემაჯამებელი ტურნირის პირველი მონაწილე – ეს არის ამერიკელი ძმების, **ბობ** და **მაიკ ბრაიანების** დუეტი, რომელმაც როლან გაროსზე გამარჯვება შეძლო.

ისევე, როგორც ბოლო ორ სეზონში, წელსაც შემაჯამებელი ტურნირი ლონდონში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


რაფა ნადალი პარიზის დისნეილენდში

# 9.06.2013 BUSINESS CHAMPIONS LEAGUE


1/2 ფინალი

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის მე-5 გათამაშების დასკვნითი და ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპი გრძელდება. მონაწილე გუნდებს აღარ აქვთ შეცდომის დაშვების უფლება, ფინალურ შეხვედრებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია დარჩენილი.

კვირას, 9 ივნისს გაიმართა ოქროს ლიგის ნახევარფინალური წყვილის მეორე შეხვედრა მინი-ფეხბურთის სამოყვარულო კლუბ „ალგოსა" და იურიდიულ კომპანია „ერისთავს" შორის. „ერისთავმა" მინიმალური ანგარიშით იმარჯვა და მეორე შეხვედრაშიც, რომელიც 16 ივნისს გაიმართება, უშელავათო ბრძოლას უნდა ველოდოთ.

თასის გათამაშების ნახევარფინალურ შეხვედრაში ოქროს ლიგაში მოასპარეზე პატრულის გუნდმა შედარებით იოლად სძლია ვერცხლის ლიგის ნახევარფინალისტს „საქართველოს ბანკის" გუნდს.

ბრინჯაოს ლიგაში კი გამოვლინდნენ ფინალური შეხვედრის მონაწილეები:
22 ივნისი „ბარამბო" – ჯი პი აი ჰოლდინგი

## GOLD LEAGUE

ALGO 1:2 ERISTAVI LAW GROUP

| | | | |
|---|---|---|---|
| 11' | ბუნია | 17' | ლაცაბიძე |
| | | 18' | მოდებაძე |

პირველი მატჩი

ALGO 5:2 PSP

| | | | |
|---|---|---|---|
| 5' | ქახოზერიაშვილი | 17' | კვირკველია |
| 7' | ქახოზერიაშვილი | 33' | სარდანაშვილი |
| 26' | სეფერთელაძე | | |
| 30' | ყაზარაშვილი | | |
| 40' | ქუცურუა | | |

პირველი მატჩი

| ბომბარდირები: | | |
|---|---|---|
| უხურგუნაშვილი | UN OF GEO | 22 |
| სარდანაშვილი | PSP | 20 |
| მოდებაძე | ERISTAVI | 11 |
| რალაძე | ALGO | 10 |

## CUP

3:5

| | | | |
|---|---|---|---|
| 9' | დარახველიძე | 4' | ბიორჩაძე |
| 37' | სურგულაძე | 25' | ჯლარქავა |
| 40' | ტაბატაძე | 27' | ბიორჩაძე |
| | | 29' | ბიორჩაძე |
| | | 40' | ჯლარქავა |

პირველი მატჩი – 0:4

PSP

12.06.2013

| ბომბარდირები: | | |
|---|---|---|
| ქუცურუა | NATAKHTARI | 26 |
| ივანიძე | Bank of Geo | 15 |
| ჯობავა | VTB | 12 |
| ბიორჩაძე | PATRUL | 12 |

## BRONZE LEAGUE

7:3

| | | | |
|---|---|---|---|
| 3' | ჯალიაშვილი | 15' | ხელაძე |
| 6' | ქაციტაძე | 21' | ჯორბენაძე |
| 8' | ჯალიაშვილი | 23' | ხელაძე |
| 9' | ჯალიაშვილი | | |
| 14' | ჯალიაშვილი | | |
| 31' | ჯალიაშვილი | | |
| 32' | ჯალიაშვილი | | |

მარშე 2:3 ჯიპიაი

| | | | |
|---|---|---|---|
| 3' | მესტვირიშვილი | 17' | დოქვაძე |
| 8' | რომელაშვილი | 37' | ჩოჩია |
| | | 39' | ქავანაძე |

| ბომბარდირები: | | |
|---|---|---|
| მესტვირიშვილი | MARSHE | 13 |
| ჯალიაშვილი | BARAMBO | 12 |
| ქაციტაძე | BARAMBO | 10 |
| დოქვაძე | GPI HOLDING | 8 |

SPORT BUSINESS MANAGEMENT GEORGIA

VTB Joma SBM SELLS

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:55. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოყენება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608